ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„რიშელიე“
8 ლარი
30 მაისიდან
13 ივნისამდე




ხუთშაბათი, 2 ივნისი, 2011 №129 (5510) ფასი: 30 თეთრი

# ბადრი ბიწაძე 100 ათასი ღირს



## ნინო ბურჯანაძე:

„მე რომ დამაპატიმრონ, ამაზე შემდეგ მთელი მსოფლიო აყვირდება“



გვ.2

## შალვა ხაჭაპურიძე საქართველოს ხელისუფლებას ჰააგის სასამართლოში უჩივის

გვ.2

## ნიკა ქვინტრაძის მკვლელობას გამოვიძიებ!

გვ.5

ომებს და რევოლუციებს უპასუხისმგებლო ლიდერები ახდენენ





გვ.10

## ნინო ბურჯანაძეს, როგორც ქალს და დედას, თანაგრძნობას ვუცხადებ



## პანკისში არაჯანსაღი სიტუაციაა

ოპოზიციამ რუსეთის მიმართულებით არ უნდა იაქტიუროს

გვ.8



## სააკაშვილს მალე განახებთ ბექჰზე დადებულს

გვ.7

## გუშინ შალვა ნათელაშვილის ბიძაშვილი დააკავეს

გვ.3



## ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარება პარლამენტს არ აღელვებს

გვ.4

## ოპოზიცია სახალხო დამცველის უფლებების გაზრდას ითხოვს

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 სათამაშო აპარატების მფლობელებს ცხოვრება უძვირდებათ

4 26 მაისი ყველასთვის წამგებიანი იყო და ამ დღეს ყველა დამარცხდა

9 რა გამოხმაურება მოჰყვება ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას

2 26 მაისი საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაადეკვატურად შეაფასეს

## 26 მაისი საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაადეკვატურად შეაფასეს



ადამიანის უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძის განცხადებით, 26 მაისს „ხელისუფლების მიერ საკუთარი ხალხის მიმართ განხორციელებული ვანდალიზმი“ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა არაადეკვატურად შეაფასეს, რადგან თავიანთ განცხადებებში სათანადო ყურადღება არ დაუთმეს იმ გარემოებას, რომ 26 მაისის შემდეგ ათეულობით ადამიანი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

როგორც უფლებამდაცველმა „მედიანიუსს“ განუცხადა, 26 მაისს მომხდარი ვანდალიზმის ადეკვატურად შეფასება სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ წარმომადგენლებსაც კი გაუჭირდათ, რადგან მომხდარის აღქმა უაღრესად რთული იყო.

— ეს ვანდალიზმი, რომელიც 26 მაისს მოხდა მე ვფიქრობ, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოებისგანაც კი ვერ იქნა შეფასებული ადეკვატურად იმიტომ, რომ აღქმა იყო ძალიან რთული. არც ერთ საერთაშორისო სტანდარტში არ ჯდებოდა ის ფაქტები, რაც იმ დღეს მოხდა. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც კი სრულად ვერ ასახეს ის ვანდალიზმი, რაც იმ ღამეს დაფიქსირდა. ყოვლად გაუმართლებელია, როდესაც საერთაშორის ორგანიზაციების შეფასებებში არ არის აღნიშნული, რომ აქციის დარბევის შემდგომ მოხდა ადამიანების გაუჩინარება. ათეულობით ადამიანი დღემდე დაკარგულია. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც ჩუმად ეძებენ თავიანთ დაკარგულ ოჯახის წევრებს და ამას ვერ აფიქსირებენ საჯაროდ, რადგან ეშინიათ ზეწოლის. შესაბამისად, ეს ადამიანები უფლებადამცველების მიერ შედგენილ სიებში ვერ მოხვდნენ. ასევე არ არის ცნობილი ზუსტი რიცხვი დაღუპული ადამიანებისა. ხელისუფლება მხოლოდ ოთხ ადამიანს ასახელებს, თუმცა მსხვერპლი სავარაუდოდ, გაცილებით დიდია. ასეთ პრობლემებზე თავის არიდება, როდესაც ხდება ბუნებრივია, რომ ასეთი შეფასებები ადეკვატური არ არის. ეს ხელს უწყობს რეჟიმების გააქტიურებას და აღვირახსნილობას. არ შეიძლება დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებებმა და უფლებადამცველებმა არ მისცენ ამას ადეკვატური შეფასებები, — განაცხადა კაკაბაძემ.

**მედიანიუსი**

## გრიგოლ ვაშაძე კუბაში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე კუბაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა. როგორც „მედიანიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ეს ამ ქვეყანაში მისი პირველი ვიზიტია. დაგეგმილია ვაშაძის შეხვედრა კუბელ კოლეგასთან, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელსა და კულტურის მინისტრთან.

გრიგოლ ვაშაძის ვიზიტი 4 ივნისს დასრულდება.

**მედიანიუსი**

# ბადრი ბიწაძე 100 ათასი ღირს

## ნინო ბურჯანაძე: „მე რომ დამაპატიმრონ, ამაზე შემდეგ მთელი მსოფლიო აყვირდება“

ნათია ხურცილავა





**„სახალხო კრების“ ერთ-ერთ ლიდერ ნინო ბურჯანაძეს აინტერესებს, რატომ არ აპატიმრებენ აქამდე.**

**ეს კითხვა საზოგადოების არაერთმა წარმომადგენელმა დასვა. თუ ის ყველაფერი მართალია, რასაც ხელისუფლება ტელეეკრანიდან ჩანაწერების სახით გვაჩვენებს, მაშინ ლოგიკური კითხვა ჩნდება, რატომ არ აკავებენ ბურჯანაძეს ან ექვმიტანილის სტატუსით რატომ არ იმყოფება დაკითხვაზე.**

ხელისუფლება ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით გამოდის. ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არაერთ განცხადებას აკეთებენ, თუმცა, ვერც ერთი ვერ აკონკრეტებს, რატომ ვერ აკავებენ ბურჯანაძეს.

თუ რეალურად საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს ქვეყანას, თანაც სახელმწიფო გადატრიალება უცხო ქვეყანაში დაიგეგმა და ამ ყველაფერში გრუს აგენტურას უნდა მიეღო მონაწილეობა, რატომ არ იჭერენ ერთ-ერთს, თუ არა მთავარ ორგანიზატორს ნინო ბურჯანაძეს?

ბურჯანაძემ თავის დროზე, როდესაც პარლამენტში ცნობილი განცხადება გააკეთა, რომ ის აღარ იყრიდა კენჭს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, მაშინ ჟურნალისტების კითხვაზე, აპირებდა თუ არა ოპოზიციაში გადასვლას, განაცხადა, ეს კითხვა საერთოდ როგორ მაკადრეთო.

დღეს არა თუ ოპოზიციაშია ბურჯანაძე, არამედ მას ის ხელისუფლება, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელი და „ვარდების რევოლუციის“ ტრიუმვირატის წევრია, დღეს სახელმწიფო გადატრიალებაში სდებს ბრალს.

ექსპერტების ნაწილის განცხადებით, ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერია. შესაბამისად მისი დაპატიმრება არ იქნება ხელისუფლებისთვის მომგებიანი, რადგან ოპოზიციის ლიდერებს იმ ქვეყნებში აპატიმრებენ, სადაც დიქტატურა თუ არა, ავტორიტარული რეჟიმია. ამდენად, დღევანდელი ხელისუფლება ვერ წავა ამ დონის გამწვავებაზე.

26 მაისის აქციის დაშლის დროს არც ერთი ლიდერი არ იქნა დასჯილი, მაგრამ დაისაჯა ხალხი, რომლებმაც პროტესტი გაბედეს. ეს იყო გზავნილი, რომელიც პირდაპირ უნდა მიეღო ხალხს და არა ლიდერებს. ასეთია ის განწყობები, რომლებიც ექსპერტებს აქვთ.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ თუ ის ყველაფერი მართალია, რასაც ხელისუფლება აცხადებს ერთი პროცენტით მაინც, მაშინ უნდა დააპატიმრონ და თავისუფლად მოქმედების საშუალება არ უნდა ჰქონდეს.

რატომ შეიძლება ვერ აპატიმრებდნენ ნინო ბურჯანაძეს, ამ კითხვას გუშინ მან ასე უპასუხა.

— მე რომ დამაპატიმრონ, ამაზე შემდეგ მთელი მსოფლიო აყვირდება, — განაცხადა ბურჯანაძემ.

შესაბამისად „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას ერთი სული აქვს მისი დაკავების, მაგრამ მისი დაკავებისგან მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს შიშით იკავებს თავს.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის მეუღლეს ბადრი ბიწაძეს, სასამართლომ მას გირაოდ 100 ათასი შეუფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიწაძეს აღმკვეთ ღონისძიებად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 100 ათასი შეუფარდა.

აღნიშნული ინფორმაცია მთავარი პროკურატურის ვებგვერდზეა განთავსებული.

— 2011 წლის 31 მაისს საქართველოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულ, ბადრი რეზოს ძე ბიწაძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს 100 ათასი ლარის გამოყენების შესახებ. 2011 წლის 1 ივნისს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა პროკურატურის შუამდგომლობა, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ბადრი ბიწაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ განცხადება მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ გააკეთა.

მთავარი პროკურორის მოადგილის განცხადებას ნინო ბურჯანაძემ უპასუხა. ის აცხადებს, რომ თავისი მეუღლის ბადრი ბიწაძისთვის გირაოს გადახდას არ აპირებს.

— როგორ ვერ გაიგო ხელისუფლებამ, რომ ჩვენ არც გამოძიებასთან თანამშრომლობას და არც გირაოს გადახდას არ ვაპირებთ, — ეს განცხადება ბურჯანაძემ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

სასაზღვრო პოლიციის ყოფილ უფროს ბადრი ბიწაძეს ბრალად ედება წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციაზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზება, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

27 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ფარული ვიდეოჩანაწერები, სადაც ერთ-ერთ ეპიზოდში ბადრი ბიწაძე ფიგურირებს და საუბარია „სახალხო კრების“ „შეფიცულთა“ ჯგუფის სამზადისზე, 21 მაისს საპროტესტო აქციების წინ.

„სახალხო კრებამ“ შეფიცულთა ჯგუფი რამდენიმე თვის წინ ჩამოაყალიბა. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანი იყო, როგორც თავად აცხადებდნენ ხელისუფლების უკანონობისა და ძალადობისგან მოსახლეობის დაცვა.

27 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე გამოაქვეყნა „შეფიცულთა“ ერთ-ერთი მეთაურის გია უჩავას აღიარებითი ჩვენება, სადაც უჩავა „სახალხო კრების“ ძალადობრივ გეგმებზე საუბრობს და ამ პროცესის ხელმძღვანელად ბადრი ბიწაძეს ასახელებს.

გადამდგარი გენერალი გია უჩავა პოლიციამ 22 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ მიმდინარე აქციაზე დააკავა.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მან ბადრი ბიწაძის ადგილსამყოფელი არ იცის.

გაურკვეველია, იმალება თუ არა ბიწაძე.

## ადა მარშანია ჯონ ბასის განცხადებებს აპროტესტებს



აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრმა ადა მარშანიამ ამერიკის საელჩოსთან ელჩის ჯონ ბასის განცხადებები გააპროტესტა.

ადა მარშანიას განცხადებით, აქციის დაშლამდე და დაშლის შემდეგ, ჯონ ბასის მიერ გაკეთებული განცხადებები მისთვის მიუღებელია.

— ფაქტობრივად, ბატონმა ელჩმა ამ განცხადებებით ხელი შეუწყო და სანქცია გასცა ამ დარბევისა. ეს მიუღებელია. მართალია ამერიკა ზესახელმწიფოა და არაერთხელ დახმარებია საქართველოს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უნდა ჩაერიოს საქართველოს შიდა საქმეებში, — განაცხადა ადა მარშანიამ.

მან საელჩოს შენობასთან მიიტანა მცირე ზომის პლაკატი, რომელზეც გამოსახულია 26 მაისის მოვლენების ერთ-ერთი ფოტო, გვერდით კი განთავსებულია ჯონ ბასის სურათი წარწერით პერსონა ნონ გრატა.

ადა მარშანია აცხადებს, რომ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, აპირებს გააპროტესტოს საფრანგეთისა და ევროკავშირის ელჩების განცხადებები.

**ინტერპრესნიუსი**

## შალვა ხაჭაპურიძე საქართველოს ხელისუფლებას ჰააგის სასამართლოში უჩივის

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე 26 მაისს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს ხელისუფლებას ჰააგის სასამართლოში უჩივის.

როგორც ადვოკატმა „მედიანიუსს“ განუცხადა, სარჩელი უკვე მზადდება და ჰააგის სასამართლოში დაახლოებით ერთ კვირაში გადაიგზავნება.

— ერთი კვირის განმავლობაში დაველოდებით საქართველოს მთავარი პროკურატურის ღონისძიებებს, თუმცა სიმართლე გითხრათ, არ გვჯერა, რომ პროკურატურა დამნაშავეების გამოსავლენად ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, ამიტომ ვგეგმავთ, რომ სიმართლის დასადგენად ჰააგის სასამართლოს მივმართოთ. ხელისუფლებას ვადანაშაულებთ ჟენევის კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევაში, რაც შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებას ითვალისწინებს. ასევე მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაში, — განაცხადა ხაჭაპურიძემ და დასძინა, რომ სარჩელში აუცილებლად მოხვდება კონკრეტული დაზარალებული ადამიანების საქმეები.

— გავითვალისწინებთ გაუჩინარებული ადამიანების საქმეებსაც, — განაცხადა ხაჭაპურიძემ.

**მედიანიუსი**



## რუსმა სამხედროებმა საჩხერის რაიონიდან 6 ქართველი გაიტაცეს

რუსმა სამხედროებმა საჩხერის რაიონში მცხოვრები 6 ქართველი გაიტაცეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთი გატაცებულის ოჯახის წევრმა, თეა ქიმაძემ განუცხადა, უკვე მეცხრე დღეა დაკავებულები არიან მისი ნათესავები და თანასოფლელები. მათ შორის არიან მამა-შვილი ტარიელ და ავთო ქიმაძეები, კობა მაკასარაშვილი, როინ მაკასარაშვილი, მალხაზ მაკასარაშვილი და მურმან ჩოჩორაძე.

როგორც თეა ქიმაძე აცხადებს, აღნიშნული მამაკაცები 9 დღის წინ, დილით ტყეში სოკოს საკრეფად წავიდნენ. ისინი რუსმა სამხედროებმა დააკავეს ზნაურის რაიონში, ამის შემდეგ კი ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს, სადაც ამ დრომდე რჩებიან.

ქიმაძის თქმით, მან და სხვა დაკავებულების ოჯახის წევრებმა გატაცების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს ადგილობრივ სამართალდამცველებს, ევროკავშირის სადამკვირვებლოს მისიისა და წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, მათგან მიიღეს დაპირებები, რომ ყველაფერს ილონებენ დაკავებულების გასათავისუფლებლად, თუმცა ამ დრომდე არანაირი შედეგი არ ყოფილა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## აფხაზეთმა და ვანუატუს რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს

აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა და ვანუატუს რესპუბლიკის მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს. აღნიშნულის შესახებ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება.

— ვანუატუს რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ აფხაზეთთან დიპლომატიური ურთიერთობების არსებობა, სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს და დამატებით შესაძლებლობებს მისცემს მათ ერთობლივი პროექტების განვითარებისათვის, — აღნიშნულია აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო უწყების განცხადებაში.

აფხაზეთის ე.წ. მთავრობა მიესალმება, ვანუატუს რესპუბლიკის „ამ მნიშვნელოვან, ისტორიულ და გაბედულ ნაბიჯს“.

შეგახსენებთ, რომ ვანუატუს რესპუბლიკა შედის მელანეზიის შემადგენლობაში. მას ჩრდილოეთიდან სოლომონის კუნძულების ტერიტორიული წყლები ესაზღვრება, დასავლეთიდან ავსტრალიის ეკონომიკური ზონა, სამხრეთიდან ახალი კალედონიის წყლები, აღმოსავლეთიდან კი ფიჯის ტერიტორიული წყლები. მისი დედაქალაქი პორტ-ვილაა.

რუსეთის, ნიკარაგუის, ვენესუელის და ნაურუს შემდეგ ვანუატუ მეხუთე სახელმწიფოა, რომელმაც აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დამოუკიდებლობა აღიარა.

**მედიანიუსი**

## საქართველოს პრეზიდენტი იტალიაში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი იტალიაში გაემგზავრა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი იტალიის პრეზიდენტის პირადი მოწვევით, მონაწილეობას მიიღებს იტალიის რესპუბლიკის გაერთიანების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებში. ჯორჯო ნაპოლიტანოს მოწვევით იტალიაში ჩავლენ სხვადასხვა ქვეყნის პირველი პირები. რომში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი იტალიის გაერთიანების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმს დაესწრება.

საქართველოს პრეზიდენტი, ასევე, ორმხრივ შეხვედრებს გამართავს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა ლიდერებთან. დაგეგმილია შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტთან ჯო ბაიდენთან.

**ინტერპრესნიუსი**

## გაეროს უმაღლესი კომისარიატი 26 მაისის მოვლენების გამოძიებას ითხოვს

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გამოიძიოს 26 მაისს თბილისში საპროტესტო აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები.

როგორც ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე გაეროს ადამიანის უფლებათა უმღლესი კომისრის პრესსპიკერმა რუპერტ კოლვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „პოლიციამ საპროტესტო აქციის დასაშლელად არაპროპორციული ძალა გამოიყენა“.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სახალხო დამცველის მოწოდებას, რომლის თანახმადაც, პოლიციის ქმედებების სრულყოფილი, ეფექტიანი და ობიექტური გამოძიება უნდა განხორციელდეს. ხაზს ვუსვამთ, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ძალის გამოყენება უნდა მოხდეს მინიმალური საჭიროების შემთხვევაში და პროპორციულობის პრინციპის დაცვით. ნებისმიერი მხარის მიერ ფიზიკური შეტევები დროულად უნდა იქნას გამოძიებული, — აღნიშნა რუპერტ კოლვილმა.

მანვე ხაზი გაუსვა, რომ არსებობს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული დაკავებულთა სიები. მისი თქმით, ყველა დაკავებულ პირს უნდა მიეცეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის საშუალება.

აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ მკურნალობის საშუალება, დაკავებულებმა უნდა იცოდნენ დაკავების მიზეზი, უნდა ჰქონდეთ იურიდიული მომსახურებით სარგებლობის უფლება. ამასთან, დაკავებულებს საპატიმროებში არ უნდა აწამებდნენ.

— ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, მომავალში თავი შეიკავონ ძალადობისგან და იმოქმედონ იმ ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, — განაცხადა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატის პრესსპიკერმა.

**მედიანიუსი**

# გუშინ შალვა ნათელაშვილის ბიძაშვილი დააკავეს

## სოსო ჯაჭვლიანი უკანონო პატიმარია

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტები იმ ადამიანებს, ვინც 26 მაისს აღლუმზე პრეზიდენტისგან ბრწყინვალების ორდენები მიიღეს, ამ ორდენების სააკაშვილისთვის უკან დაბრუნებას მოუწოდებენ. როგორც ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი აცხადებს, სამარცხვინოა, როდესაც აქციის სასტიკად დარბევისა და ადამიანების დახოცვიდან რამდენიმე საათის შემდეგ რუსთაველის გამზირზე გამართულ აღლუმზე ადამიანს გადასცეს სახელმწიფო ჯილდო და მან ეს ჯილდო სიხარულით და ღიმილით მიიღოს. ლეიბორისტული პარტიის წევრი კითხვის ნიშნებსაც სვამს ჯილდოების გაცემის სამართლიანობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, რამდენად ეკუთვნოდათ მათ ეს სახელმწიფო ჯილდოები, ეს მეორე საკითხია.**

**სად არის რუსული ფული, რატომ არ ვრცელდება ინფორმაცია, ვინ გადმორიცხა ეს ფული? — ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ სოსო შატბერაშვილს.**



*— ბატონო სოსო, ელოდით, რომ რუსთაველზე სახალხო კრების აქციებს ასეთი დასასრული ექნებოდა?*

— ისეთი არაპროგნოზირებადი პრეზიდენტისგან, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, ჩვენ, რა თქმა უნდა, ველოდით მოვლენათა განვითარების ყველა სცენარს. მაგრამ არ ველოდით, რომ ეს ყველაფერი ადამიანების მკვლელობებით დამთავრდებოდა. ჩვენ გავლილი გვაქვს 2007 წლის 7 ნოემბერი. მაშინაც იყო გაზი, ხელკეტები, მაშინაც იყო აკუსტიკური იარაღი, რომელიც საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულია და მისი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მიზნებით შეიძლება და არა სამოქალაქო მიტინგების დაშლის დროს. ბევრი კანონდარღვევა იყო, ბევრი უდანაშაულო მოქალაქე იქნა მოწამლული. ყველაფერს ველოდით, მაგრამ მკვლელობას ნამდვილად არა. ასეთი გამხეცებული და ასე გავეშებული სპეცნაზი არავის არ ახსოვს. ასე რომ, იმაზე მეტი მოხდა, ვიდრე ჩვენ ველოდებოდით. მკვლელთა ესკადრონებმა საკუთარ ხალხს ცხვირ-პირი დაალეწეს, თავები დაუხეთქეს და ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი მსხვერპლით დასრულდა.

*— თქვენი აზრით, რამ განაპირობა სპეცნაზის ასეთი სასტიკი მოქმედება. ხელისუფლება აცხადებს, რომ სახალხო კრებას და აქციის ლიდერები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ.*

— არ ვიცი, სახალხო კრება რას გეგმავდა. მე მარტო ის ვიცი, რაც ტელევიზიით მქონდა მოსმენილი. მათი მოთხოვნა იყო მიხეილ სააკაშვილის გადადგომა, რაც ანტიკონსტიტუციური ნამდვილად არ არის. ასევე ანტიკონსტიტუციური არ არის მათი შეკრება, თუნდაც რუსთაველის პროსპექტზე ან პარლამენტის წინ. ასეთი თავშეყრა იყო 2009 წლის აპრილის მიტინგების დროს, როდესაც ხელისუფლებამ გადადო აღლუმი. კონსტიტუციის 24-ე მუხლში პირდაპირ წერია, რომ ადამიანებს აქვთ თავისუფალი შეკრების უფლება. ამისთვის სანქცია არც არის საჭირო. სანქცია საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თუ ისინი აპირებენ მოძრაობის გადაკეტვას და აფრთხილებენ უბრალოდ მერიას, რომ ამ დღეს ამ საათზე მოძრაობა გადაიკეტება. ასე რომ, ანტიკონსტიტუციური ეს აქცია არ ყოფილა. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალებას, მათ ნაციონალებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს 2003 წლის 23 ნოემბერს. ვის სახელმწიფო გადატრიალებაზე ლაპარაკობენ, როდესაც თვითონ არიან ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულები. თუმცა ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ერთი სიტყვაც არ მჯერა, თითქოს მართლაცდა მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება. თუ გადატრიალება მზადდებოდა, რატომ ელოდებოდნენ 25 მაისის ღამეს? რატომ მანამდე არ მიიღეს ზომები და არ აღკვეთეს. რატომ მანამდე არ აღძრეს სს საქმეები კონკრეტული პირების წინააღმდეგ და არ აღკვეთეს სახელმწიფო გადატრიალება თუ ეს ნამდვილად იგეგმებოდა. ასე რომ, მათი ნათქვამი და მათ მიერ შეთხზული ვერსიები საკუთარი პარტიის წევრებს უკითხონ და ამით ერთმანეთი ასიამოვნონ. მე ვნახე ერთი კადრი ტელევიზიით, როგორ შემოდის ნინო ბურჯანაძე მიტინგზე. მას მომიტინგეები ტაშით ხვდებიან. ამ დროს არ წვიმდა. სახელისუფლო ტელევიზიებმა კი ეს შეაფასეს, როგორც ბურჯანაძის გაქცევა. აი, როგორ სიმართლეს გადასცემენ ის ჟურნალისტები და ის ტელეკომპანიები, რომლებიც ათასგვარი სისულელით გვიტენიან თავს. ხალხს ამ ჩანაწერების უკვე არ სჯერა, მით უმეტეს, ჩვენ.

*— ხელისუფლების ნაბიჯებში უფრო მეტი იყო დანაშაულებრივი, ვიდრე აქციის მონაწილეებისა და ლიდერთა ნაბიჯებში?*

— აქციის ორგანიზატორების ნაბიჯებში არაკანონიერი არაფერი არ ყოფილა. მათ ჰქონდათ სანქცია აღებული ტელევიზიის წინ მიტინგის ჩატარებაზე. ჰქონდათ სანქცია აღებული პარლამენტის წინ მიტინგის ჩატარებაზე. 12 საათის შემდეგ, მართალია სანქციას ვადა გაუვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მათ კონსტიტუცია დაარღვიეს. კიდეც რომ დაერღვიათ კონსტიტუცია, ეს საკმარისი არ იყო ამ ხალხის აჩეხვის ბრძანების გაცემისთვის.

*— უფლებადამცველების ნაწილი ფაშიზმის კვალზე საუბრობს. რატომ არ გაუხსნა კორიდორი აქციის მონაწილეებს ხელისუფლებამ, თუ მიზანი აქციის დაშლა იყო?*

— რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი ფაშიზმია. რაც ამ ხელისუფლებამ ჩაიდინა, ნამდვილად ფაშიზმის გამოვლინებაა. შემდეგ ურცხვად, რამდენიმე საათში, როდესაც ისევ სისხლის ოხშივარი ასდიოდა ასფალტს, როდესაც ჯერ ჯიდევ გაზის სუნი იდგა რუსთაველზე და ცხედრები მიწას არ იყვნენ მიბარებულები, ამ დროს ახალი მასკარადი მოაწყო ხელისუფლებამ. ისეთივე მასკარადი, როგორიც 2008 წლის 12 აგვისტოს და მოაწყო ჩვენი მოქალაქეების სამარცხვინო დაჯილდოება. მათ გადაეცათ ბრწყინვალების ორდენები. თუმცა იმ ადამიანების მორალურ სახეზე ლაპარაკი ცალკე თემაა, ვინც ეს ორდენები მიიღო. იმის მორალურ სახეზეც ცალკე უნდა ვილაპარაკოთ, ვინც ამ აღლუმზე იმღერა.

*— მოდით ფარულ ჩანაწერებზე ვიხსაუბროთ. ხელისუფლება ცდილობს ამ ჩანაწერებით დაამტკიცოს, რომ რუსეთიდან იმართებოდა ეს აქციები და რომ რუსული საქმე კეთდებოდა სახალხო კრების ხელით. რუსული კვალი დამაჯერებელია?*

— ფარული ჩანაწერების, რა თქმა უნდა, არ მჯერა. მსგავსი ჩანაწერები გააკეთეს შალვა ნათელაშვილზეც და ჩვენი პარტიის წევრებზე. იმდენად სულელური იყო მაშინდელი ჩანაწერები ნათელაშვილთან მიმართებაში, რომ შემდეგ თვითონვე შერცხვათ და აღარ უჩვენებენ. რა იყო მაშინ ნაჩვენები — როგორ შემოდიოდა ჩვენთან რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი და როგორ შედიოდა ნათელაშვილი რუსეთის საელჩოში. მეც არაერთხელ ვყოფილვარ რუსეთის საელჩოში. თითქმის ყველა ქვეყნის საელჩოში და წარმომადგენლობაში ვყოფილვარ. რა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ამ კონკრეტული ქვეყნების ჯაშუშები ვართ? მსგავსი აბსურდული ჩანაწერები გაკეთდა ახლაც. რა თქმა უნდა, ამ ჩანაწერების არ გვჯერა. რაც შეეხება რუსულ კვალს, თუ ვინმეს რუსულ კვალზე ლაპარაკობენ, მოდით ამერიკულ კვალზე ვილაპარაკოთ. ჩვენი ხელისუფლება მთლიანად ვაშინგტონიდან იმართება. 26 მაისსაც აქციის დაშლის ბრძანება გასცა ამერიკის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა. ასე რომ, საქართველო კვლავ გახდა ორი სუპერსახელმწიფოს — რუსეთის და ამერიკის დაპირისპირების არენად. ეს ასე აშკარად მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასე რომ, თუ აქცია რუსეთიდან იმართებოდა, მაშინ ჩვენი ხელისუფლება მთლიანად ამერიკიდან იმართება.

*— ხელისუფლება ბურჯანაძე-ბიწაძის პასუხისმგებლობას გამოკვეთს. თქვენი აზრით, ვის ეკისრება რუსთაველზე განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა?*

— პასუხისმგებლობას რაც შეეხება, მთლიანად, ასი პროცენტით ეკისრება ხელისუფლებას და არა მარტო მიტინგის დაშლაზე, ადამიანების მკვლელობაზე და ჟურნალისტების შეურაცხყოფაზე. საერთოდ, ქვეყანაში რაც ხდება, ყველაფერზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. რაც უნდა დააშავოს მომიტინგემ ან კონკრეტულმა ადამიანმა, პასუხს ყველაფერზე აგებს ხელისუფლება. კრიმინალი რომ კრიმინალია, რომელიც დანაშაულს ჩადის, მასზეც პასუხს ხელისუფლება აგებს. მან უნდა აღკვეთოს კრიმინალი. თუ ვერ აღკვეთა, მაშინ უნდა წაუყენოს კონკრეტული ბრალდება და გაასამართლოს, რასაც ჯერჯერობით მე ვერ ვხედავ. ვერავის ვერ წაუყენეს მათ სერიოზული ბრალდება. ვერ დავინახე ვერც მოლოტოვის კოქტელი და ვერ რუსეთიდან შემოსული ფული. კონკრეტულად არ თქმულა, ვინ გადმორიცხა, ვინ შემოიტანა, რამდენი შემოიტანა. ან დაპატიმრებული მანახეთ, ვისაც ეს ფული შემოჰქონდა. ან იარაღი სად იყო ან მოლოტოვის კოქტეილები? ეს ყველაფერი არის ბლეფი. ფაქტია, რომ დღემდე დასაბუთებული ბრალდება ხელისუფლებამ ვერავის ვერ წაუყენა. დღეს არიან უკანონოდ დაკავებულები. ისინი არიან პოლიტიკური ნიშნით დაკავებულები. სახელმწიფო გადატრიალების ელემენტები, რასაც აბრალებენ ამ დაკავებულებს, იმდენად სასაცილო და აბსურდულია, რომ ყველა ნორმალურ ადამიანს ამაზე უნდა გაეცინოს.

*— უკანონო და პოლიტიკური პატიმარია სოსო ჯაჭვლიანი, რომელიც მცხეთის იზოლატორში შიმშილობს?*

— რა თქმა უნდა, უკანონო პატიმარია. ის არის პოლიტიკური პატიმარი.

*— გავრცელდა ინფორმაცია, რომ დააპატიმრეს შალვა ნათელაშვილის ბიძაშვილი თამაზ ნათელაშვილი. დაპატიმრების მიზეზზე რას იტყვით?*

— ჩვენ ვართ ის პარტია, რომელმაც ძალიან დიდი დანაკარგები მიიღო ამ ბარბაროსული დარბევის შედეგად. მართალია, ჩვენ ლიდერების დონეზე ამ აქციას არ ვუერთდებოდით, აქციაში არ ვმონაწილეობდით, მაგრამ თუმცა ჩვენ სიტყვიერად სოლიდარობის განცხადება აქციების დაწყებამდე გავავრცელეთ. საერთოდ, ჩვენ ყველას მიმართ ვართ სოლიდარულნი, ვისი მიზანიც არის სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები აქციებზე არ ვიყავით, ჩვენ გვქონდა გამოცხადებული თავისუფალი დასწრება. ქალაქ თბილისის აქტივი მთლიანად იქ ესწრებოდა და ასევე იყვნენ რაიონებიდან ჩამოსული ჩვენი აქტივისტებიც. დაპატიმრებულია შოთა წიკლაური, ჩვენი თიანეთის კოორდინატორი. დღეს დააპატიმრეს თამაზ ნათელაშვილი, რომელიც გარდა იმისა, რომ ჩვენი აქტივისტია, შალვა ნათელაშვილის ბიძაშვილია. მოკლულია ნოდარ ცხადაძე, რომელიც გახლავთ ზესტაფონიდან, სოფელ სვირიდან. ის ჩვენი პარტიის სვირის კოორდინატორი იყო. ასევე დასახიჩრებული და ნაცემია ჩვენი პარტიის უამრავი წევრი. ასე რომ, ჩვენ ძალიან სერიოზული დანაკარგებით გამოვედით ამ აქციებიდან, ისევე, როგორც 7 ნოემბერს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არანაკლები რეპრესიები განვიცადეთ, ვიდრე მიტინგში ოფიციალურად მონაწილე პარტიებმა.

*— ანუ სააკაშვილმა პოლიტიკური ოპონენტების და რიგითი მოქალაქეების მიმართ რეპრესიები გააძლიერა?*

— სააკაშვილმა თამაზ ნათელაშვილიც აიყვანა ე.წ. სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით. ვიმეორებ, ვერც ერთ მონაწილეს, მათ შორის ლიდერებსაც კი ვერ წაუყენეს ბრალდება სახელმწიფო გადატრიალების დასაბუთებით. ამ ბრალდებას ვერ ასაბუთებენ. არანაირი სახელმწიფო გადატრიალება არ ხდებოდა. მაშინ მანახეთ, ვინ შეიჭრა კანცელარიაში, პარლამენტში, საკრებულოში. კი აცხადებდნენ, ეს იგეგმებოდა, ის იგეგმებოდაო, მაგრამ ასე ბევრი რამის თქმა შეიძლება. კონკრეტული ქმედება მანახონ ანდა ერთი მოლოტოვის კოქტეილი მაინც მანახონ, ვის წაართვეს. მსგავსი არაფერი არ მომხდარა. რუსულ ფინანსებზე იყო ლაპარაკი.

*— თქვენი აზრით, ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტი გაიზრდება თუ საბოლოოდ ჩაკვდება?*

— ეს პროტესტი უკვე არსებობს. ახლა საჭიროა მხოლოდ პროტესტის გაძლიერება. ჩვენ მხოლოდ ამ კუთხით ვმუშაობთ. თუ იქნება პარტიების და ხალხის ერთსულოვნება, სააკაშვილი ძალიან მალე დასრულდება. სამწუხაროდ, პარტიების ერთსულოვნებას ვერ ვხედავ. ზოგიერთი პარტია ისევ აქციაში მონაწილე სახალხო კრების წარმომადგენლებს ამტყუნებს და დამდგარია სააკაშვილის გამართლების გზაზე. ეს მე ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია. ვფიქრობ, სააკაშვილის ქმედებებზე უარესია, ვინც მას ამართლებს.

# ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარება პარლამენტს არ აღარდებს

ნანა მიშელაშვილი

**ვანუატუს რესპუბლიკის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ქართველი დეპუტატები არ ფლობენ.**

**გავრცელებული ინფორმაციით, ვანუატუმ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. ეს უკვე მეხუთე სახელმწიფოა, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.**

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი აცხადებს, რომ ვანუატუს რესპუბლიკის შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია არა აქვს.

— ვანუატუს მიერ აფხაზეთის აღიარების შესახებ დეტალური ინფორმაცია არა მაქვს, თუმცა, ჯერ ვაპირებ, რომ რუკაზე ვანუატუ ვიპოვო და შემდეგ გავაკეთებ კომენტარს, — აღნიშნა კუბლაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის თქმით, ვანუატუს აღიარების პარალელურად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხვდება ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს.

— რუსეთის მიერ მიკროწარმონაქმნების მოქრთამვის შედეგია ვანიატუ, რომლის არსებობა ძალიან ცოტა ადამიანმა თუ იცის. ვანუატუ აღიარებს იმას, რაც არ არსებობს. ანუ ერთ შემთხვევაში რეალურ პოლიტიკურ შედეგებთან გვაქვს შეხება და მეორე მხრივ, ვირტუალურ რეალობასთან, რომელიც იქმნება ფულითა და მედიით, რაც რეალურია, ის ხანგრძლივვადიანი და სოლიდურია და რაც არარეალურია, საპნის ბუშტივით სკდება, — აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

უმრავლესობის ზოგიერთი წევრი ვანუატუს შესახებ ხუმრობის ხასიათზე დადგა. ბევრმა ამ რესპუბლიკის არსებობა გუშინ გაიგო და კარგადაც იხალისა.

— არა მგონია, ეს სახუმარო თემა იყოს. ყველა კარგად ხვდება, რომ რაც არ უნდა ჯუჯა სახელმწიფოს წარმოადგენდეს და კვაზი სახელმწიფოს ნიშნების მატარებელი იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ ოფიციალური სახელმწიფოს სტატუსი აქვს, რაოდენობრივად ისეთი სახელმწიფოების დაგროვება, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთს, ეს გარკვეულ ეტაპზე აუცილებლად იქცევა პრობლემად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გარკვეული ეტაპის შემდეგ რაოდენობა შეიძლება გადავიდეს ხარისხში, — განაცხადა თარგამაძემ.

უმცირესობის ლიდერი საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუწოდებს, არა თუ მთელი სერიოზულობით მოეკიდოს ასეთ შემთხვევებს, არამედ თვით ყველაზე პატარა და არასერიოზული ავტორიტეტის მქონე, ჯუჯა, მინი სახელმწიფოების მიმართულებით დიპლომატიური ურთიერთობა გამოიჩინოს.

— როდესაც სალაპარაკოდ მიდგება საქმე, იქ უკვე ითქმევა, რამდენმა სახელმწიფომ აღიარა, ვანუატუა თუ გაურკვეველი სახელწოდების მქონე ქვეყანა, რომლის არსებობაზე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე შესაძლოა დღემდე მე წარმოდგენაც კი არ მქონდა, გარკვეულ ეტაპზე, შესაძლოა გახდეს ძალიან ნეგატიური ფაქტორი. შეშფოთებული ვარ ამ ფაქტით და ვთვლი, რომ არც ერთი ასეთი სახელმწიფო ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. წინასწარ უნდა ვიაქტიუროთ, მთელი ჩვენი დიპლომატიური რესურსი უნდა იყოს მიმართული სწორედ ამ მიმართულებით, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ვანუატუსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სპიკერმა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე ჯერჯერობით ვანუატუსთან დაკავშირებით ინფორმაციას ვერ ადასტურებს, რადგან ეს ცალმხრივი ფორმატით გავრცელებული ინფორმაციაა. დავით ბაქრაძის თქმით, ასეთი ინფორმაცია ძალიან ბევრ ქვეყანასთან დაკავშირებით გავრცელებულა, მაგრამ არ დადასტურებულა.

— ჯერჯერობით, მისი დადასტურების საშუალება არა მაქვს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თავად ამ სახელმწიფოს ტერიტორია, გეოგრაფია და სხვა მახასიათებლები ძალიან ნათლად აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, არანაირი ფორმით ეს არ იქნება მსოფლიოში არსებული განწყობის შეცვლის ნიშანი. პირიქით, ეს იქნება კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რამდენად ღრმად არის ჩიხში შესული და მარგინალიზაციისკენ წასული რუსეთის მცდელობა, ნებისმიერ ფასად მოძებნოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელსაც დაითანხმებს აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებაზე. ამიტომ, დადასტურდება თუ არ დადასტურდება ეს ინფორმაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, ვერანაირ ცვლილებას ის საერთაშორისო განწყობაში ვერ შეიტანს, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საერთაშორისო განწყობას ქმნის ევროკავშირი, აშშ, დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებიც ძალიან მყარად დგანან არაღიარების პოზიციაზე.



— ვანუატუს ან მსგავსი ტიპის სახელმწიფოების მხრიდან ცნობა ან არცნობა ამ ტენდენციას ნამდვილად ვერ შეცვლის, თუმცა, ვიმეორებ, ამ ეტაპზე ამის დადასტურება საბოლოოდ არ შემიძლია, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

რაც შეეხება აფხაზეთის ე.წ. მთავრობას, ის მიესალმება ვანუატუს მიერ გადადგმულ „მამაც ნაბიჯს“ და მას „ისტორიულს“ უწოდებს.

— ვანუატუს რესპუბლიკამ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების საქმეში, საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, დიდი წვლილი შეიტანა, — იუწყება სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო. მათივე ინფორმაციით, აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობისა და ვანუატუს რესპუბლიკის მთავრობამ ერთა თვითგამორკვევის უფლებით იხელმძღვანელეს და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.

ამ დღეებში ვანუატუმ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა. ვანუატუ წყნაროკეანური სახელმწიფოა, შედის მელანეზიის შემადგენლობაში, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სოლომონის კუნძულების ტერიტორიული წყლები, დასავლეთიდან — ავსტრალიის ეკონომიკური ზონა, სამხრეთიდან — ახალი კალედონიის წყლები, ხოლო აღმოსავლეთიდან ფიჯის ტერიტორიული წყლები. სახელმწიფო განფენილია ახალი ჰებრიდების 83 კუნძულზე.

2008 წლის აღწერის მონაცემებით, ვანუატუს მოსახლეობა 215 ათასი ადამიანია.რუსეთის, ნიკარაგუის, ვენესუელისა და ნაურუს შემდეგ ვანუატუ მეხუთე სახელმწიფოა, რომელმაც აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა.

ვანუატუ საპარლამენტო რესპუბლიკაა, მისი დედაქალაქია პორტ-ვილა. აქვს საკუთარი ვალუტა — ვანუატუს ვატუ. ოფიციალური ენებია: ბისლამა, ინგლისური და ფრანგული.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გუშინ დავით ბაქრაძემ კომენტარი გააკეთა, დამოუკიდებლობის დღეს განვითარებულ მოვლენებს შეეხება. პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა 26 მაისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. რამდენიმე დღეა, რაც დავით ბაქრაძე მედიის წინაშე არ გამოჩენილა. ორშაბათს პარლამენტის ბიუროს სხდომა და სამშაბათს პარლამენტის სხდომა პირველ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს მიჰყავდა.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, საქართველო 90-იან წლებში თემურ ხაჩიშვილების ეპოქაში დაბრუნებას გადაურჩა. დავით ბაქრაძის შეფასებით, ქართული სახელმწიფო და ხელისუფლება არ დაუშვებს ქვეყნის დაბრუნებას 90-იან წლებში და არ დაუშვებს, რომ ქვეყანაში სიტუაციას მართავდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან თემურ ხაჩიშვილი და გია უჩავა.

— ამ ადამიანების ბოგინმა თავის დროზე გააუბედურა ათი-ათასობით ოჯახი და საქართველოს ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ ქვეყანა აღარასდროს წავიოდეს უკან — იმ საშინელი წლებისკენ. ძალიან ვწუხვარ და ვუთანაგრძნობ ყველა დაზარალებულისა და გარდაცვლილების ოჯახებს, მაგრამ ყველას უნდა გვესმოდეს და იმედი მაქვს საზოგადოებას ესმის, რომ ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობას შეეძლო მოეტანა ბევრად მეტი ზიანი. ვინაიდან, რაც ჩვენ ვიხილეთ ამ დღეების განმავლობაში და ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მოვისმინეთ, ნათლად ადასტურებს, რომ არსებობდა სერიოზული გეგმები საქართველოს უკან დახევისა და უკან დაბრუნების, — განაცხადა ბაქრაძემ და დასძინა, რომ საქართველოს უკან, 90-იან წლებში დაბრუნება ნიშნავს ათი ათასობით და ასი ათასობით ქართული ოჯახის გაუბედურებას.

დავით ბაქრაძის განცხადებით, ასეთ სიტუაციაში ხელისუფლება ვალდებულია იმოქმედოს. „ქართული სახელმწიფო და საქართველოს ხელისუფლება არ დაუშვებს, ამ ქვეყანაში დაბრუნდეს თემურ ხაჩიშვილების დრო“, — აღნიშნა ბაქრაძემ.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის,
ბილაინის აბონენტებმა
დარეკეთ ნომერზე
700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# 26 მაისი ყველასთვის წამგებიანი იყო და ამ დღეს ყველა დამარცხდა

**26 მაისს განვითარებულ მოვლენებსა და პოლიტიკურ შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

*— პროკურატურამ ბადრი ბიწაძეს წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე თავდასხმის ორგანიზებაში დასდო ბრალი და მას გირაოს გადახდა შესთავაზა. ნინო ბურჯანაძემ უკვე განაცხადა, რომ გირაოს არ გადაიხდის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას ბიწაძის დაკავება არ სურს ან ვერც მოსკოვთან კავშირსა და სახელმწიფო გადატრიალების მზადებას ვერ უმტკიცებს. თქვენ შეფასება როგორია?*



— საერთოდ, ბოლო პერიოდის მოვლენების შეფასება ჭირს, ვინაიდან ამ პროცესებში პოლიტიკური ლოგიკის დანახვა სულ უფრო რთულია. მომხდარში ბევრი რამ რომ ყველა მიმართულებით ალოგიკურია, ფაქტია. ამ თვალსაზრისით, ბიწაძესთან დაკავშირებული ისტორიაც ალოგიკურია. ძნელია ერთიანი ლოგიკა გამოიყვანო ყველაფერში, რაც ხდება. ბევრი საუბრობს იმაზე, თუ დანაშაულებრივი ჯგუფი იყო შექმნილი, საერთოდ რატომ ადრე არ მოხდა მათი დაკავება და გამოვლენა. თუ დამნაშავე ჯგუფი იყო, გაუგებარია, მას პოლიციასთან შეტაკება სურდა მარტო, თუ ქვეყანას ღალატობდა? თუ მოღალატეთა ჯგუფი არსებობდა, ამ ჯგუფმა რატომ არ გამოავლინა თავისი პოტენციალი თბილისში მოვლენათა განვითარევბის კულმინიცაციის დროს, ანუ 26 მაისს. თუ ამ ჯგუფთან კავშირში იყო მეორე შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც სამართალდამცავებმა ყინწვისში დააკავეს, მაშინ რატომ არ იყვნენ ისინი თბილისში და ეს დაჯგუფებები გეოგრაფიულად სხვა ადგილას რატომ აღმოჩნდნენ.

რაც შეეხება ბიწაძეს. თუ არანაირი პრობლემა არ არის მისი დაკავების, რატომ აქამდე არ არის დაკავებული. გაუგებარია, რატომ უდგენს მას გირაოს გადახდის საკითხს პროკურატურა, თუ ის დაკავებული არ არის. თუ იგი უკვე გასულია ქვეყნიდან, მაშინ მის წინაშე გირაოს საკითხის დაყენებაც გაუგებარია. ვიმეორებ, უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებში ერთიანი ლოგიკა არ იკითხება.

***— სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულია ყინწვისში დაკავებული 24 მოქალაქე, რომეთაც შშს-ს მტკიცებით, თემურ ხაჩიშვილი ხელმძღვანელობდა. თუ ყინწვისში დაკავებულ 24-კაციან ჯგუფს სახელმწიფო გადატრიალებაში ედება ბრალი და ეს ჯგუფი „სახალხო კრებასთან“ კოორდინაციაში იყო, მათ მიმართ წაყენებული ბრალდება სხვადასხვა რატომ არის?***

— ოპოზიცია რომ რუსეთის საქმეს აკეთეს, ეს ბრალდებები ჩვენ მაშინ გავიგეთ, როცა ბურჯანაძე რუსეთის მიმართულებით გააქტიურდა. აქციის დარბევის არგუმენტი იყო, რომ ოპოზიცია უცხო ქვეყნის სცენარით მოქმედებდა. ამ მოტოვით დარბევის გამართლების შემდეგ მის ერთ-ერთ ორგანიზატორს მხოლოდ პოლიციის წინააღმდეგ ჯგუფის შექმნისა და დაპირისპირების ბრალდებას უყენებენ. ამის ფონზე სრულიად ცალკე თემად ჩანს ყინწვისის ჯგუფის ამბავი. თუმცა, იქაც გაიელვა, რომ აქციაში მონაწილე ერთ-ერთი ადვოკატ ხაჭაპურიძეს ყინწვისის ჯგუფის ხელმძღვანელთან გოგუაძესთან ჰქონდა სატელეფონო საუბარი. ესეც გაუგებარ კავშირს ჰგავდა. თუკი ამ ორ პროცესს შორის კავშირი იყო, მაშინ ეს ორი პროცესი კულმინაციის დროს ერთად რატომ არ შეირწყა და ე.წ. მოსკოვის ჯგუფი რატომ აღმოჩნდა თბილისიდან მოშორებით გასული. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რომ მოსკოვის ჯგუფი მიტინგით დაინტერესებული არ იყო.

***— ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყინწვისში დაკავებული ჯგუფი ოქრუაშვილის ჩამოსვლას ელოდებოდა და მისმა ჩამოუსვლელობამ დატოვა ისინი ტყეში? და კიდევ, „სახალხო კრებას“ და ოქრუაშვლს მოსკოვში სხვადასხვა პარტნიორები ჰყავთ?***

— მე ყინწვისის ჯგუფისთვის ვერც ოქრუაშვილის მნიშვნელობა და მათ შორის ვერც ოქრუაშვილის გარემოცვა ვერ დავინახე. ამ ჯგუფში შემავალი პირები არ არიან ოქრუაშვილზე ორიენტირებულები. ოქრუაშვილის ჩამოუსვლელობამ ვერ შეაჩერა მისივე პარტიის წევრები. ძმები გაჩეჩილაძეები აქციაზე იყვნენ და დაზარალებულებშიც აღმოჩნდნენ.

***— ოქრუაშვილმა რუსეთის პირველ არხს მისცა ინტერვიუ, რომელშიც საქართევლოს ხელისუფლება ჩეჩენი „ბოევიკებისთვის“ ხელშეწყობაში დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, აჩიმეზ გოჩიევს, რომელსაც ბრალი ედება 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგადონსკში საცხოვრებელი ბინების აფეთქებაში, საქართველოს ხელისუფლებამ კორიდორი არა ერთხელ მისცა. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება შეესაბამებოდეს ოქრუაშვილის მტკიცება სინამდვილეს. და, საერთოდ, ოქრუაშვილი ცრუობს, რუსეთის დავალებას ასრულებს თუ რა უნდა ვიფიქროთ?***

— ოქრუაშვილის განცხადებები იმ აუდიტორიაზეა გათვლილი, რომელსაც მისი ნათქვამი გულს მოხვდებოდა. ამ ტიპის განცხადებები მას სჩვევია. საკმარისია გავიხსენოთ მისი განცხადებები, რომლითაც მან ქართულ აუდიტორიას პატარკაციშვილის თემაზე ინფორმაცია შესთავაზა, რამაც მაშინ პროტესტის დიდი ტალღა გამოიწვია. რახან პატარკაციშვილის თემა რუსეთისთვის აქტუალური არ არის, რახან ოქრუაშვილი რუსეთის ტელეარხზე გამოდიოდა, მან რუსული საზოგადოებისთვის აქტუალური თემატიკა შეარჩია. ოქრუაშვილმა თავის ამპლუას ამჯერადაც არ უღალატა. რაც შეეხება იმას, რამდენად რეალურია, რაც მან განაცხადა. სიმართლე გითხრათ, მიჭირს იმის მტკიცება, რომ ოქრუაშვილის ნათქვამი რეალობაა. ოქრუაშვილი არ ტოვებს იმდენად სერიოზული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას, რომ მის განცხადებებს დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ.

***— 26 მაისს ღამით დაწყებული ამბავი ჯერ არ დასრულებულა. მომხდართან დაკავშირებით დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმის. ყველაზე ხშირად ისმის ასეთი მოსაზრება — ოპოზიციის ლიდერებმა იცოდნენ, რომ ხელისუფლება აქციას დაარბევდა, მაგრამ შეგნებულად წავიდნენ ავანტურაზე. რატომ წავიდა ოპოზიცია შეგნებულად ხელისუფლებასთან ამ სახის დაპირისპირებაზე? და კიდევ, თავის მხრივ ხელისუფლება რატომ წავიდა აქციის დაშლის რადიკალურ ქმედებებზე და ორივესთვის რა შედეგებით დასრულდა მომხდარი, ანუ რა მოიგო ხელისუფლებამ და რა - ოპოზიციამ?***

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ნიკა კვინტრაძის მკვლელობას გამოვიძიებ!

## ომებს და რევოლუციებს უპასუხისმგებლო ლიდერები ახდენენ

ქეთი ხომერიკი

**რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ საკუთარი ხალხი 26 მაისს ხელისუფლებამ, რა ბრძანება იყო გაცემული უშუალოდ სააკაშვილის მიერ, რატომ უწოდებს ბურჯანაძეს უპასუხისმგებლო პოლიტიკოსს ალასანია, რას აპირებს „რვიანი“ და რა აძლევს ალასანიას იმის იმედს, რომ „ნაციონალებს“ დათმობებზე წამოიყვანს და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს, ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**

ირაკლი ალასანია:

— მთავარი, რამაც საზოგადოება და ჩვენ, პოლიტიკური ძალები აღგვაშფოთა და დიდი უსამართლობის განცდა გაგვიჩინა, არის ის, რომ სააკაშვილის მხრიდან მოქალაქეების წინააღმდეგ გაუგონარი სისასტიკის გამომჟღავნება გრძელდება და ეს, მათ სამოქმედო არსენალში დამკვიდრდა. სრული შესაძლებლობა არსებობდა, რომ აქცია მშვიდობიანად დაშლილიყო, ამის რესურსი შსს-ს ნამდვილად ჰქონდა და თავიდან, თითქოს, ასეც მიდიოდა მოვლენები, მაგრამ შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ არ დატოვეს გასასვლელი, ანუ კორიდორი და გავიგეთ ინფორმაციები, რომ პირდაპირი ბრძანება იყო მეთაურებზე გაცემული, რომ ქალები, ჟურნალისტები და ასაკოვანი ხალხი გაეტარებინათ, ხოლო მამაკაცები სასტიკად ეცემათ, აი, ამის პატიება არ შეიძლება და ეს საზოგადოებამ ხელისუფლებას არც უნდა აპატიოს. ამიტომაც მოვითხოვთ საგამოძიებო კომისიის შექმნას და სიმართლის დადგენას, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს. აქ, არ არის საუბარი იმაზე, რომ ჩვენ, სამართლებრივი და მორალურ□პოლიტიკური შეფასებები იმიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი თვითმიზანია, ვიღაც კონკრეტული გამოვავლინოთ, არა, ეს, ჩვენს მომავალს სჭირდება, რათა მომავალში ეს, არავინ გაიმეოროს. დაუსჯელობის სინდრომი ჩვენს ქვეყანში აღარ უნდა იყოს. ბუნებრივია, ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზატორებს, იმათ, ვინც იცოდა, რომ ამით პოლიტიკური ცვლილება არ მოხდებოდა, ამას ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენება მოჰყვებოდა და ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც იქ მისული იყვნენ გაჭირვების და არა რომელიმე ლიდერის მხარდაჭერის გამო, დააყენეს ასეთი საფრთხის ქვეშ, მაგრამ ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ასეთი ტრაგედია და კრიზისი ქვეყნის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს აჩენს. 26 მაისმა დამანახვა, რომ ჩვენ, 20 წელი ერთი და იგივე ადგილს ვტკეპნით და აქედან გამოსავალი ერთადერთია — გავიგოთ, რომ არასწორად ვაკეთებთ პოლიტიკას და პოლიტიკის კეთების ფორმები შეცვალოთ. აქ, პირველ რიგში, ყველა პოლიტიკურმა ძალამ ღიად, დეკლარილებულად უარი უნდა განვაცხადოთ ხელისუფლების შეცვლის სხვა გზებზე, გარდა სამართლიანი არჩევნებისა. და საზოგადოებისთვისაც საჭიროა, რომ ეს გაიგონოს პოლიტიკური ძალების მხრიდან.

— ***კეთილი, თუმცა, სად არის სამართლიანი არჩევნები, არ ტარდება და...***

— დღეს, რასაც „რვიანი“ აკეთებს და რაშიც ჩართული ვართ არის ის, რომ არჩევნები სამართლიანი გავხადოთ. აქ არის სამი ძირითადი მიმართულება, რაზეც საზოგადოებასთან ერთად უკვე ვაპირებთ ცვლილებების მიღწევას. ეს არის საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული უშუალოდ კოდექსი და მასთან დაკავშირებული საკითხები, პოლიციის დეპოლიტიზაცია, სასამართლოს გათავისუფლება და ბუნებრივია, მედიის თავისუფლება. აი, ეს საკითხებია, რაზეც დიდი კონსენსუსის მიღწევა შეიძლება და მით უმეტეს, მას შემდეგ რა ტრაგედიაც დატრიალდა 26 მაისს.

— ***კვლავ გაქვთ იმის იმედი, რომ ვამპირ და პირსისხლიან ხელისუფლებად წოდებული რეჟიმი, თქვენთან მოლაპარაკებებს განაახლებს და დათმობებზე წამოვა?***

— ახლა, დღეს, როცა დაკრძალვაა ჩვენი ერთ-ერთი თანამოქალაქის საარჩევნო რეფორმაზე საუბარი მიჭირს, მაგრამ ზოგადად მინდა პასუხი გაგცეთ, რომ ჩვენ, თუ პოლიტიკური შეთანხმებების მიღწევა ვერ ვისწავლეთ, ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება. რაც არ უნდა გვიჭირდეს და ვთვლიდეთ, რომ ხელისუფლების ბუნება ძალადობრივია, ეს უნდა შევძლოთ. ხელისუფლებაში არის ბევრი გონიერი ადამიანი, რომელსაც არ მოსწონს ის, რაც მოხდა და შეუძლია გავლენა იქონიოს რაღაც-რაღაცებზე.

— ***სად იყვნენ 26 მაისს ეს გონიერი ადამიანები, რატომ აცემინეს და დაახოცინეს უდანაშაულო ადამიანები?***

— მათ კონკრეტულად ამ პროცესებზე გავლენა არ აქვთ, თუმცა, მე არ ვამართლებ იმას, რომ ისინი ჩუმად არიან, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ურთიერთობები ჩვენს ოპონენტებთან, ორივე მხარემ, სხვანაირად ქვეყანას წინ ვერ წავიყვანთ. სხვანაირად იქნება მუდმივად მსხვერპლი, ძალადობა და ურთიერთდაპირისპირება. ამიტომაც ჩვენ გამოვედით ინიციატივით, რასაც მოჰყვა ასევე შემხვედრი ინიციატივები სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომ გავაკეთოთ ერთიანი სამოქალაქო მოძრაობა, რომელიც გაგვაერთიანებს ყველას ერთი ამოცანის ირგვილ და ესაა სამართლიანობის აღდგენა და სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

— ***ითქვა, რომ სოლიდარობის აქციაზე საზოგადოების დიდმა ნაწილმა რვიანის მიმართ დიდი აგრესია გამოამჟღავნა, ეს ასე იყო, ბატონო ირაკლი?***

— ეს არის არაგულწრფელი და ცრუ ინფორმაცია, მე, იქ ვიყავი და არავის არანაირი აგრესია არ გამოუმჟღავნებია, პირიქით. ჩემთან საუბრისას სწორედ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ერთი სწორი გზა დარჩა და ამაზე კონსოლიდაცია უნდა გავაკეთოთ, რადგან წინა დღეს დაინახა საზოგადოებამ, რომ ძალადობას არაფერი კარგი არ მოაქვს. ახლა მთავარია, რომ ჩვენს თავში ვიპოვოთ ძალები, ამ ტრაგედიამ მეტი სტიმული უნდა მოგვცეს იმისთვის, რომ პოლიტიკური შეთანხმებები გავაჩინოთ.

— ***რომელიმე რადიკალური ძალა, თუ კვლავ ქუჩის აქციებით შეეცდება ხელისუფლების შეცვლას, გაჰყვება საზოგადოება და საერთოდაც, ხელისუფლებას რაც სურდა, იმას მიაღწია, ანუ ხალხი დააშინა?***

— კარგი კითხვაა და მინდა პირდაპირ გიპასუხოთ. საზოგადოება რომ არ შეშინდა, ეს გამოჩნდა სწორედ სოლიდარობის აქციისას, მაგრამ საზოგადოებამ აშკარად დაინახა, რომ რევოლუციებითა და კატაკლიზმებით პოლიტიკური ცვლილებების მიღწევას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დავუსვათ, და აი, ეს მაძლევს იმის იმედს, რომ ჩვენ შევძლებთ ახალი პოლიტიკური მიდგომით, ახალი პოლიტიკური ფილოსოფიით და ახალი პოლიტიკური სიმწიფით საზოგადოების წინ წაყვანას.

— ***რატომ გადადგა ასეთი ნაბიჯი ბურჯანაძემ, ასე ვთქვათ, პროვოკაციაზე რატომ წავიდა, ვინ ვინ და პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ხომ დანამდვილებით იცოდა, რომ აქციას დაარბევდნენ?***

— ძალიან ძნელია პასუხები გავცე იმ შეკითხვებს, რომელიც თითოეულ მოქალაქეს და მათ შორის, მეც დამებადა, იმას თუ რატომ მოიქცა ბურჯანაძე ასე. ამას პასუხი ალბათ, ობიექტურმა გამოძიებამ უნდა გასცეს. რა იდგა ამის უკან, რის საფუძველზე იყო თავდაჯერებული ზოგიერთი ორგანიზატორი, რომ ცვლილება შედგებოდა, პასუხები გამოძიებამ უნდა გასცეს, ამიტომაც მე მგონი, პოლიტიკური შეფასებების გარდა სამართლებრივ შეფასებას, თუ არ ჩატარდა ობიექტური გამოძიება ვერ მივცემთ.

— ***თქვენ იმედი გაქვთ, რომ ობიექტური გამოძიება ჩატარდება? თქვენ საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვთ, გამოდის, ფიქრობთ, რომ ის უწყება, რომელმაც ბრძანება გასცა, გამოძიებას ჩაატარებს?***

— თუ ობიექტური გამოძიება დღეს არ ჩატარდა, ხვალ, ზეგ მაინც ჩატარდება. გირ-



გვლიანის საქმეც იმის მიმანიშნებელია, რომ სამართალმა შეიძლება დიდხანს იაროს, მაგრამ თავის გზას მაინც იპოვის. ჩვენ ხომ სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება გვინდა, ამიტომ ყველა სამართლებრივი გზა სიმართლის დადგენის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ თუ არასდროს დავაყენეთ საკითხი, რომ შეიქმნას საგამოიებო კომისია და მისცეს სამართლებრივი შეფასება, რა თქმა უნდა, ამისთვის მაშინ არავინ, მათ შორის, არც საერთაშორისო თანამეგობრობა შეიწუხებს თავს და არც საზოგადოებაში დაიბადება ის აზრი, რომ თურმე შეიძლება ამ საკითხის დაყენება. რაც შეეხება, თვითონ პარლამენტს, პარლამენტის საგამოიებო კომისიას აქვს უფლება გამოძიება განახორციელოს და არა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თუ, რა თქმა უნდა, ეს წარუმატებლობით დამთავრდა, მაშინ სხვა გზას მივმართავთ. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, ჩვენ, ბრძოლის ყველა სამართლებრივი ფორმა უნდა გამოვიყენოთ.

— ***და მაინც, თქვენი აზრით, რატომ გადადგა ბურჯანაძემ მსგავსი ნაბიჯები, ამის შემდეგ მას პოლიტიკაში ყოფნის უფლება აქვს?***

— ეს იყო უპასუხისმგებლო და უტიფარი პოლიტიკოსის მიერ გადაგმული ნაბიჯი, რომელსაც ჩვენი საზოგადოებისთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა. პოლიტიკაში ყოფნა-არყოფნის საკითხს კი წყვეტს მხოლოდ საზოგადოება. ეს ჩემი და ცალკეული ადამიანების გადასაწყვეტი არ არის, თუმცა მგონია, რომ საზოგადოების დიდმა უმრავლესობამ საქართველოს ახალი გზით სიარულს, შეთანხმებების გზით სიარულს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პარტია „საქართველოს გზა“-სთან არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური დარბაზის გამოხმაურება კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს საკვირაო ქადაგებაზე

ხელისუფლებამ უკვე დაამთავრა ძალაუფლების უზურპაციის პროცესი. ახლა მათი მთავარი საზრუნავია არა ქვეყნის კეთილდღეობა, არამედ ხელისუფლების შენარჩუნება. ამისათვის ის არაფერზე უკან არ დაიხევს. გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ადმინისტრაციულ რესურსს. ისევ შეეცდება არჩევნების გაყალბებას, არ მოერიდება სამოქალაქო დაპირისპირებას და რეპრესიებს. მათი ერთადერთი დასაყრდენი დღეს დაქსაქსული ოპოზიციაა. ამიტომ მთელი მისი პიარ-მანქანა მიმართულია იმისკენ, რომ არ მოხდეს ოპოზიციის რაიმე სახით გაერთიანება და კოორდინაცია. სწორედ ამიტომ ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას რომ ხელისუფლებამ შესძლოს თავისი მიზნების განხორციელება , არ უნდა დაუშვას სამოქალაქო დაპირისპირება, არ უნდა დაუშვას პოლიტიკური პროცესების გაუმართლებელი ესკალაცია, არ უნდა აჰყვეს პროვოკაციებს, რომელიც საზოგადოების გათიშვას ემსახურება.

ჩვენი მიზანია ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა, მაგრამ ყველამ უნდა ვაღიაროთ რომ ამ მიზნის მიღწევა, ვერც ერთ პოლიტიკურ პარტიას, ან ბლოკს დამოუკიდებლად არ შეუძლია, მხოლოდ ჩვენი რესურსების მაქსიმალური მობილიზების გზით შესაძლებელი იქნება დასახული მიზნის მიღწევა, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ ოპოზიციური ძალების ერთობლიობას ალტერნატივა არ გააჩნია. სწორედ ამიტომ გვერდზე უნდა გადავდოთ პარტიული და პირადი ამბიციები და შევძლოთ გაერთიანება იმ ერთადერთი ამბიციის გარშემო, რომელსაც ქვეყნის მომავალი ჰქვია. ერთად შევიმუშავოთ მოქმედების გეგმა, ერთად მოვძებნოთ ის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც მიგვიყვანს გამარჯვებამდე. ეს გზა ნამდვილად არსებობს და ეს გზა ჩვენს ხელშია.

სწორედ ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა გახდეს ოპოზიციის ერთიანობის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამისათვის ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა გამონახონ ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელიც მისცემს მათ საშუალებას დიალოგის გზით მოახდინონ თავიანთი ხედვებისა და პოზიციების ურთიერთშეჯერება და მოქმედების კოორდინაცია. ჩვენი აზრით, დღეისათვის პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკური სათათბიროს „პოლიტიკური დარბაზის“ ფორმატი, როგორც ეს გვირჩია პოლიტიკოსებს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II.

პოლიტიკური დარბაზი წარმოადგენს სათათბირო ორგანოს, რომელიც იმუშავებს მრგვალი მაგიდის ფორმატში და მიიღებს გადაწყვეტილებებს შეთანხმებული სამუშაო რეგლამენტის მიხედვით. დარბაზის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, ერთიანი პოლიტიკური აზრის ფორმირება და შესაბამისი ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. დარბაზის მიზანია მოამზადოს საფუძველი იმისათვის რომ პოლიტიკური პროცესის გადამწყვეტ ფაზაში, საზოგადოებრივ პოლიტიკური სპექტრი იყოს მაქსიმალურად კონსოლიდირებული და ორგანიზებული.

რა გეგმებიც არ უნდა შეიმუშაონ პოლიტიკურმა პარტიებმა, მათი განხორციელება არ მოხდება, თუ ეს გეგმები და ხედვები ვერ მოიპოვებს საზოგადოების მხარდაჭერას. საზოგადოებას აკისრია უდიდესი როლი დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ დღეს უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრივი სპექტრის კონსოლიდაცია.

ხელისუფლების პიარ-მანქანა დაუღალავად მუშაობს ოპოზიციის გასათიშად, მაგრამ უფრო მეტ ძალისხმევას უთმობს საზოგადოების გათიშვას და არა უბრალოდ გათიშვას, არამედ ჩვენი საზოგადოების მთლიანად ჩარეცხვას და მის ადგილზე მართვადი ფსევდოსაზოგადოების შექმნას, რომელიც მთლიანად თავისუფალი იქნება ეროვნული ამბიციებისაგან. მათ ძალიან კარგან იციან ის საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ სწორედ საზოგადოებრივი აზრი ქმნის პოლიტიკურ აზრს და არა პირიქით. კარგად იციან, რომ თუ საზოგადოებრივი აზრი გაერთიანდა, ის აუცილებლად გამოიწვევს პოლიტიკური აზრის გაერთიანებას და ცდილობს, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას.

ბუნებრივია, დღევანდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება არ რჩება საზოგადოების მხრიდან რეაგირების გარეშე. საზოგადოება ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. იქმნება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კეთდება განცხადებები, იმართება აქციები, მაგრამ დღემდე საზოგადოებას არ გააჩნია ის ასპარეზი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების მეტ ორგანიზებულობას, სადაც შესაძლებელი იქნება ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ასეთი საზოგადოებრივი ასპარეზის ყველასათვის მისაღებ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ „საზოგადოებრივი დარბაზი“, სათათბირო, რომელიც იმუშავებს მრგვალი მაგიდის ფორმატში და ღია კარის პრინციპით.

საზოგადოებრივი დარბაზი წარმოადგენს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თავისუფალი დიალოგის საშუალებას. დარბაზის მიზანია ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე და პოლიტიკურ პროცესებზე ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. დარბაზი საშუალებას მისცემს პოლიტიკურ პარტიებს გამოიტანონ თავისი ხედვები საზოგადოების სამსჯავროზე. დარბაზმა ხელი უნდა შეუწყოს ერთიანი საზოგადოებრივ პოლიტიკური აზრის ფორმირებას, საზოგადოებრივი სპექტრის კონსოლიდაციას და ორგანიზებას.

ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია თავისუფალი და სოლიდარული საზოგადოების გარეშე. ქვეყანა მხოლოდ მაშინაა ძლიერი, როცა არსებობს ქვეყნის მომავლის ერთიანი ხედვა და მის განხორციელებაში ყველა ერთად მონაწილეობს, ამიტომ დღეს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია საზოგადოებრივ აზრს და საზოგადოების ორგანიზებულობას. სწორედ სოლიდარული საზოგადოების ფორმირების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი დარბაზი და მასში საზოგადოების ყველა სფეროს წარმომადგენლების და არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა.

როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი დარბაზის ფორმირება იქნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის ერთიანობისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. მან ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოზიციების დაახლოებას და საერთო საზოაგდოებრივ-პოლიტიკური აზრის ფორმირებას.

შეიძლება ხელისუფლება საზოგადოების ზეწოლის შედეგად წამოვიდეს გარკვეულ დათმობებზე, მაგალითად საარჩევნო გარემოს ან მედია გარემოს გაუმჯობესებასთან მიმართებაში, შეიძლება ძალების კონსოლიდაციის მიზნით მოხდეს ცალკეული პოლიტიკური ბლოკების ჩამოყალიბება, მაგრამ ეს მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯებია რომელიც არ არის საკმარისი საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, ხელისუფლების ხელში რჩება უდიდესი ადმინისტრაციული რესურსი რომელსაც აუცილებლად გამოიყენებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი საშუალებაა მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია სრულიად სახალხო მოძრაობის სახით, რომელიც ერთი მიზნის გარშემო ორგანიზაციულად გააეთიანებს ჭეშმარიტად ეროვნულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ სპექტრს.

საერთო სახალხო მოძრაობა თავისთავად ვერ შეიქმნება, მას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს გარკვეული პროცესები, როგორიცაა ერთიანი პოლიტიკური აზრის ფორმირება, ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ფორმეირება და ბოლოს, ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ფორმირება. ეს უღრესად რთული პროცესია, მაგრამ ესაა ერთადერთი შანსი გამარჯვებისა და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

მიგვაჩნია, რომ სწორედ პოლიტიკური დარბაზი და საზოგადოებრივი დარბაზი წარმოადგენს იმ ასპარეზს, რომელიც ჩამოაყალიბებს ერთიან საზოაგდოებრივ-პოლიტირკურ აზრს და რომლის ბაზაზეც შესაძლებელი იქნება სრულიად სახალხო მოძრაობის ფორმირება; ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის სახით.

შედით საიტზე atb.ge



# ოპოზიცია სახალხო დამცველის უფლებების გაზრდას ითხოვს

ნანა მიშელაშვილი

**„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია სახალხო დამცველისთვის უფლებების გაზრდას ითხოვს. გუშინ ბაღათურიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე ისაუბრა.**

ჯონდი ბაღათურიას თქმით, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, სახალხო დამცველის ინსტიტუტი ყველაზე ეფექტურია, თუმცა, მას ამ უფლებამოსილების სრულყოფილი განხორციელებისათვის ეფექტური ბერკეტები არ გააჩნია.

ჯონდი ბაღათურია ითხოვს, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს უფლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს და იმავდროულად ჰქონდეს უფლება გამოძიებაზე და საქმის მიმდინარეობაზე მონიტორინგი განახორციელოს.

„ქართული დასის" ლიდერი აღნიშნულ ინიციატივას გადაუგზავნის სახალხო დამცველს და ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციებს, რის შემდეგ უკვე მის ინიცირებას საქართველოს პარლამენტში მოახდენს.



ბაღათურიას თქმით, სახალხო დამცველს ძლიერი დასკვნა აქვს, მაგრამ რეაგირება არ არის, ზოგ შემთხვევაში აღიძვრება საქმე, მაგრამ არ სრულდება და ხან არც აღიძვრება საქმე.

— ეს ცვლილებები საშუალებას მისცემს ომბუდსმენს, ოპერატიულად განახორციელოს თავის ფუნქცია — დაიცვას ადამიანების უფლებები, — განაცხადა ბაღათურიამ.

# მურმან დუმბაძე კვლავ თელავის იზოლატორშია

ორგანიზაცია „ემსახურე საქართველოს" ხელმძღვანელის მურმან დუმბაძის ადვოკატი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის„ თელავის ოფისის ხელმძღვანელი მარეხ მგალობლიშვილი უარყოფს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო თელავის იზოლატორიდან მურმან დუმბაძის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ.

— ჩვენ გუშინ დავწერეთ შუამდგომლობა და მოვითხოვეთ მურმან დუმბაძის საავადმყოფოში გადაყვანა. მას სჭირდება გამოკვლევა, რადგან სასტიკად ცემის შემდეგ არის ავად, მუცლის არეში აქვს ტკივილები და ვვარაუდობთ, რომ ნეკნები აქვს ჩამტვრეული. მასთან

წითელი ჯვრის„ წარმომადგენლებიც იყვნენ შესულები. მათი რეკომენდაციაც იყო დუმბაძის სტაციონარში გადაყვანა, მაგრამ პატიმარი ამ დრომდე იზოლატორში რჩება, — განუცხადა მარეხ მგალობლიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

თელავის იზოლატორიდან მურმან დუმბაძის თელავის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ ინფორმაცია ცოტა ხნის წინ გავრცელდა. ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს თელავის საავადმყოფოს მორიგე ექიმმა ვასიკო გოტაძემ არ დაუდასტურა.

მურმან დუმბაძე სამართალდამცავებმა დაუმორჩილებლობის ბრალდებით 26 მაისს, თბილისში, განვითარებული მოვლენებისას დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულს 30 დღით პატიმრობა შეუფარდა. პატიმარი თელავის იზოლატორშია მოთავსებული.

— დუმბაძე სასტიკად არის ნაცემი და მთელ სხეულზე დაზიანებები აღენიშნება. დაკავებულს თელავის იზოლატორში 2 დღის განმავლობაში არ მიეწოდებოდა საკვები. ამ დრომდე არ გაწევია მას სათანადო სამედიცინო დახმარება, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

მედიანიუსი

# ნიკა კვინტრაძის მკვლელობას გამოვიძიებ!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

და დაპირისპირების წარსულში დატოვებას, ნამდვილად, დაუჭირა მხარი.

***— ფარულ ჩანაწერებზე რას იტყვით, ბიწაძეს უკვე ბრალი წაუყენეს, ვინ იქნება შემდეგი, ანუ ელით თუ არა ორგანიზატორების დაკავებებს?***

— ჩანაწერების გამოქვეყნება აქციის დაშლის შემდეგ და არა მანამდე არასწორი იყო. შსს-ს უნდა მიეღო პრევენციული ზომები, თუკი მათ ეს მტკიცებულებები ჰქონდათ. რაც შეეხება ჩანაწერების ავთენტურობას, გამოძიების პროცესს დაველოდები და შემდეგ შევაფასებ. მაგრამ აშკარაა ერთი რამ, ხელისუფლებას თუ მტკიცებულებები გააჩნდა, უნდა გამოემჟღავნებინა ადრე, ვიდრე მოხდებოდა ეს ტრაგედია. ისეთი განცდა მრჩება, რომ ის ჩასაფრებულის პოზიციაში იდგა, ამ მასალებს ინახავდა, რომ შემდგარი დაპირისპირების და ტრაგედიის შემდეგ გამოეჩინა და ეს სწორედ გარეძალებისთვის დაებრალებინათ. ჩემი აზრით, რუსეთის საფრთხით ასეთი სპეკულაცია არ აძლევს საქართველოს შანსს, რომ მომავალში სწორი გზით განვითარდეს. ჩვენ რუსეთის საპირისპიროდ არ უნდა ვმოქმედებდეთ, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ანუ საქართველოს თავისი გზა აქვს. რუსეთი რომ მეგობარი არ არის და ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებული აქვს, ეს ყველას კარგად გვესმის, მაგრამ ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ თავად გავძლიერდეთ. გავაძლიეროთ ჩვენი ინსტიტუტები და დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში, ვერანაირი მტერი საქართველოს ვერ დაამარცხებს და ვერც ვერაფერს დააკლებს.

***— ხელისუფლებამ მხოლოდ ხალხი დასაჯა და არა ლიდერები, რატომ?***

— ეს ყოველთვის ასეა, ომებს, რევოლუციებს და დაპისირპირებებს უპასუხისმგებლო ლიდერები ახდენენ, მსხვერპლი კი ყოველთვის უდანაშაულო საზოგადოებაა. მომავალში მაინც არ უნდა დავუშვათ შეცდომა და არ გავყვეთ ისეთ ლიდერებს, არ ავირჩიოთ ისეთი ლიდერები, რომლებიც ასეთი უპასუხისმგებლო დაპირისპირებისკენ წაგვიყვანენ, შემდეგ ხალხს დააფიცებენ, რომ არ დავიშალოთო და პირველები დატოვებენ ბრძოლის, ანუ აქციის ველს. მე მგონი, ეს ჩვენთვის დიდი მაგალითი და გაკვეთილი უნდა გახდეს და ცხოვრება ახლებური მიდგომებით უნდა გავაგრძელოთ.

***— ხელისუფლებისთვის მიცემული ბოლო ვადა მაისი იყო, მაისი დამთავრდა, შედეგი კი არ დადგა, რას აპირებს რვიანი, ბატონო ირაკლი?***

— იცით, ამ ფორსმაჟორულმა სიტუაციამ ფიქრის დრო თვითონ საარჩევნო საკითხებზე არ დაგვიტოვა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 26 მაისის შემდეგ მეტად აქტუალური გახდა პოლიტიკური შეთანხმებების მიღწევის რესურსი. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული შეთანხმებები, რაც სამართლიან საარჩევნო გარემოს შეეხიდება, შედგება. და თუ მაინც არ შედგა, მაშინ საზოგადოებას ჩვენს გადაწყვეტილებას გავაცნობთ. რვიანი ამ დღეებში გააკეთებს განცხადებას.

***— რა არის ბოლო ვადა, როდემდე გაიჭიმება ეს პროცესი?***

— ვადებს არ დავასახელებ, თუმცა ვიმეორებ, მაქვს იმის იმედი, რომ შეთანხმებები შედგება. იცით, 26 მაისის შემდეგ ჩემში სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა, რადგან ძალიან კარგად ვიცოდი, რა ბუნებითაც მართავდა ის ქვეყანას, მაგრამ ჩემში კიდევ უფრო გამძაფრდა პოლიტიკური შეთანხმებების მიღწევის სურვილი და ამ მხრივ, მეტ აქტიურ ნაბიჯებს გადავდგამ. ჩვენ პოლიტიკურ შეთანხმებებზე გასვლა, თუ ვერ შევძელით, ქვეყანა დაიღუპება. ამ პროცესში საზოგადოების ჩართვით ეს მეტად შესაძლებელი გახდება.

***— და თუ შეთანხმება არ შედგა, შემდეგ რა ხდება? ამ საარჩევნო გარემოს პირობებში არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ?***

— რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება არ შედგა, მოდით, ამაზე თუ არ შედგა მაშინ ვისაუბრებ. სანამ საარჩევნო სისტემა არ შეიცვლება, მოლაპარაკების პროცესი არ დასრულდება და არ შედგება ახალი თვისობრივად საარჩევნო გარემო არჩევნებზე საუბარი ნაადრევი და ზედმეტია.

***— ითქვა, რომ რვიანი ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აშშ-ს თხოვნით აწარმოებს, რაშიც რვიანს აშშ გარკვეულ თანხასაც კი უხდისო, ამაზე რას იტყვით, ბატონო ირაკლი?***

— იმდენად უაზრო და უსაფუძვლო ინფორმაციაა, რომ სერიოზული კომენტარის გაკეთებას არც საჭიროებს. ვიმეორებ, ეს ინფორმაცია არასერიოზული და უსაფუძვლოა.

***— კვლავ 26 მაისის ტრაგედიას მინდა მივუბრუნდე, აქციის ორგანიზატორები თქვენკენ იშვერენ ხელს და აცხადებენ, რვიანი აქციაზე რომ მოსულიყო, უფრო ბევრი ხალხი მოიყრიდა თავს და ვერ დაგვარბევდნენო, ამაზე რას უპასუხებთ მათ?***

— ეს აბსოლუტურად არაგულწრფელი და აზრსმოკლებული დამოკიდებულებაა. ჩვენ სწორედ რომ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ამ აქციას პოლიტიკური შედეგი არ მოჰყვებოდა და მე ეს ორგანიზატორებისთვისაც მაქვს სხვადასხვა ფორმით ნათქვამი, იმიტომაც არ დავუჭირეთ მხარი ამ აქციას. მე არასდროს მივიღებ ისეთ აქციაში მონაწილეობას და გავუძღვები ისეთ პროცესს, რომელიც ვიცი, რომ წინასწარ განწირულია და არაფერ სიკეთეს არ მოიტანს. ვიმეორებ, მე არასდროს მივიღებ ისეთ აქციაში მონაწილეობას, რომლის წარმატებაში და პერსპექტივაში დარწმუნებული არ ვარ, ეს ერთი და მეორე, როდესაც ვიცი, რომ ჩემ მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო უდანაშაულო ადამიანები შეიძლება დაისაჯონ. ბუნებრივია, ყველამ იცოდა თავიდანვე, რომ ეს არ იყო შედეგის მომტანი აქცია და აქციის ორგანიზატორებს იმის თქმის არანაირი საფუძველი არ აქვთ, რომ ჩვენ შევუშალეთ რამეში ხელი.

***— შაშიაშვილმა მადლობა გადაგიხადათ იმისთვის, რომ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსი უწოდეთ და აღნიშნა, ალასანია არა ჩვენი, არამედ ხალხის გვერდით უნდა დამდგარიყოო...***

— ნამდვიდ არ ვიცი, რას ამბობს ბატონი შაშიაშვილი, ჩვენ აქ აქციის მიზანშეწონილობაზე ვსაუბრობთ. ჩვენ სწორედაც რომ ხალხის გვერდით ვდგავართ, საზოგადოების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს ცვლილებას, ოღონდ მშვიდობიანი ფორმით და იმ ადამიანების გვერდით ვდგავართ, რომლებიც იქ უდანაშაულოდ დაისაჯნენ და მაქსიმალურ მხარდაჭერას ვუჭერთ სამართლებრივი და უფლებების დაცვის კუთხით.

***— თქვენი ინფორმაციით, რამდენი ადამიანია გარდაცვლილი, ბატონო ირაკლი?***

— ძნელი სათქმელია, მე განსაკუთრებით შემძრა იმ მამაკაცის, ნიკა კვინტრაძის ამბავმა, სურათზე ჩანს, რომ დაკავებულია და შემდეგ კი ერთ-ერთ სახურავზეა აღმოჩენილი. ჩემთვის პრინციპის და ღირსების საკითხი იქნება ის, რომ ეს ამბავი ბოლომდე მივიყვანო და დღეს იქნება თუ ხვალ, მე ამ სიმართლეს აუცილებლად დავადგენ.

# „სახალხო კრებას" არასამთავრობოებთან შეხვედრა სურს

„წარმომადგენლობით სახალხო კრებას" 26 მაისს მომიტინგეების დაშლის დროს დაზარალებულ ადამიანების ბედით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა სურს.

როგორც „სახალხო კრების" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, უმოკლეს ვადებში უნდა გაიმართოს აღმასრულებელი საბჭოს და იმ ორგანიზაციების შეხვედრა, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას და ეხმარებიან 26 მაისს დაზარალებულ მომიტინგეებს, რათა მოხდეს სახალხო კრების„ მიერ მოპოვებული ინფორმაციის მათთან შეჯერება და დაზუსტება.

— კოორდინირებული მუშაობა ხელს შეუწყობს დაზარალებული ოჯახებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას და გადაიდგმება უფრო ეფექტიანი და ქმედითი ნაბიჯები მათ დასახმარებლად. სახალხო კრება„ მადლობას უხდის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას და ადვოკატთა კორპუსს 26 მაისს დაზარალებულთათვის გაწეული დახმარებისთვის, — ნათქვამია „სახალხო კრების" განცხადებაში.

მედიანიუსი

# გიორგი თარგამაძე დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დიდ ბრიტანეთში კონსერვატიული პარტიის მიწვევით მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტში დაგეგმილია გიორგი თარგამაძის შეხვედრები გაერთიანებული სამეფოს მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ლონდონის უნივერსიტეტში ბრიტანულ-ქართული ასოციაციის წევრებსაც შეხვდება, სადაც გიორგი თარგამაძე სიტყვით გამოვა. იგი საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე, ქვეყნის განვითარების ქრისტიან-დემოკრატიულ ხედვასა და სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობაში ევროპული სახელმწიფოების როლზე ისაუბრებს.

დიდ ბრიტანეთში გამგზავრებამდე უმცირესობის ლიდერი რიგაში, ლატვიის ტრანსატლანტიკური ორგანიზაციისა და საქართველოს ევროპის სახლის ორგანიზებულ კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას.

გიორგი თარგამაძის ევროპული ვიზიტი 8 ივნისს დასრულდება.

მედიანიუსი

# დავით ბაქრაძე დღეს საგარეჯოს ეწვევა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დღეს საგარეჯოს ესტუმრება. პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ბაქრაძე საგარეჯოში საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნობა. ასევე დაგეგმილია მისი შეხვედრა მოსახლეობასთან.

მედიანიუსი

# 26 მაისი ყველასთვის წამგებიანი იყო და ამ დღეს ყველა დამარცხდა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

— საუბრის დასაწყისში ვთქვი, რომ ამ ყველაფერში ჩემთვის ბევრი რამ არის გაუგებარი. ბევრ გაუგებრობაში იმასაც ვგულისხმობ, რომ ოპოზიციის წინაშე პრაქტიკულად ხელისუფლების მოქმედების, ორი - 2007 წლისა და 2009 წლის მაგალითი იყო. ოპოზიციაში არ შეიძლება, არ სცოდნოდათ ხელისუფლების მოქმედების მანერა, ანუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ოპოზიციის მოქმედებაში ვერ შევატყვე, რომ მან გაითვალისწინა წინა წლების გამოცდილება.

გაუგებარი იყო, როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მოქმედება. ხელისუფლებამ მოჭარბებული იუველირული სიზუსტით ჩაატარა პროცესები 2009 წელს, როდესაც ოპოზიციური ტალღა ჩრდილში მიიყვანა. სრულიად გაუგებარია ამჯერად რატომ მოიქცა ხელისუფლება ისე, როგორც 2007 ნოემბერს და არა ისე, როგორც 2009 წელს. 2007 წლის 7 ნოემბერი მისთვის წამგებიანი იყო, ხოლო 2009 წლის აპრილის მოვლენები მისთვის მომგებიანად დასრულდა. თუ რატომ წავიდა ხელისუფლება წამგებიან ნაბიჯზე, გაუგებარია. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც იმთავითვე წამგებიანი ნაბიჯებზე წავიდა, ასე რომ, წამგებიანი ნაბიჯებზე წასვლა ორივე მხრიდან გაუგებარია.

ახლა რაც შეეხება მოგება-წაგებას. მოხდა ის, რაც გასაგები იყო, ყველა სცენარებით უნდა მომხდარიყო. მოსახლეობაში ჟერ უფრო მეტი კრიტიკული დამოკიდებულებაა ხელისუფლების მოქმედებაზე. სავარაუდოდ, ეს იმიტომ არის ასე, რომ ხელისუფლების მხარე ჩანს დარბევის ავტორი, რომლის შედეგად ბევრი ადამიანი დაზარალდა და ოთხი გარდაიცვალა. ხელისუფლების მიმართ იმიტომაც არის პრეტენზია, რომ ის ხელისუფლებაა. ის სტატუსი და როლი, რასაც ხელისუფლება ჰქვია, არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მხოლოდ ალუფები მიიღო. ხელისუფლებაში ყოფნა შენი ქვეყნის მოქალაქეების მფარველობასაც ნიშნავს. ლიდერი, რომელიც მფარველი არ არის, ლიდერად ვერ ჩაითვლება. ხელისუფლება თავის მოქალაქეებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზეც კი უნდა მფარველობდეს. ახლა საკითხი ასე დგას — მოქალაქეებს თავისი ხელისუფლების შიში საკუთარ ტერიტორიაზე აქვთ. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია ლოგიკა შემოატრიალო და მხოლოდ ოპოზიცია აკრიტიკო. ამიტომაც არის, რომ საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. ხელისუფლებამ მისდამი საზოგადოების დამოკიდებულება წააგო და ეს რომ ასეა, თავადაც კარგად იცის. ეს დატყდა ალღუმის დროს გაკეთებულ ცვლილებებში, იმასაც, რომ მეორე და მესამე დღეს გამართულ დიდ საპროტესტო აქციების წინააღმდეგ მან ძალა არ გამოიყენა; ეს ეტყობა იმ ხელოვნურ ვერსიებს, რომლებსაც ხელისუფლება ავრცელებს.

აშკარაა, რომ ხელისუფლება თავის გამართლებას ცდილობს. ხელისუფლება იმ თვალსაზრისით არის ცოდვაა, რომ თავი იმ დღეში ჩააგდო, რომელშიც არის. ეს ეტყობა თითოეულ პოლიტიკოსს, რომელიც ამ თემაზე მსჯელობს. ხელისუფლების წარმომადგენლებს თავის თავში დარწმუნებული და ბედნიერი ხალხის იერი არ აქვთ. მაგრამ, ჩემთვის ის არის გაუგებარი, თუ რატომ ჩააგდო ასეთ დღეში თავი ხელისუფლებამ. რამდენიმე წელია, სულ მანტრებს ვერსია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებაში მეტისმეტად ახალგაზრდა გუნდი ხომ არ მოვიდა? ალბათ, გამოუცდელობით აიხსნება ის, რომ ხელისუფლება თავის წარმატებებზე ვერ სწავლობს. მხედველობაში მაქვს 2009 წლის აპრილის მოვლენები, როცა ხელისუფლებისთვის ყველაფერი მომგებიანად დასრულდა. 26 მაისი ყველასთვის წამგებიანი იყო და ამ დღეს ყველა დამარცხდა.

ინტერპრესნიუსი

# სააკაშვილს მალე განახებთ ბექებზე დადებულს

## რისი იმედი აქვს ოპოზიციურ რვიანს

**ოპოზიციურმა რვიანმა ხელისუფლებას ვადა 31 მაისამდე მისცა. ამ დრომდე ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით თავისი ხედვა უნდა წარმოედგინა. დღეს უკვე 2 ივნისია, ხელისუფლება კი არ ჩქარობს. როგორც ჩანს, არც ოპოზიციურ რვიანს ეჩქარება სადმე.**

**რატომ არ ჩქარობენ რვიანის წევრები, რას ფიქრობენ ისინი დარბევაზე, რა შემთხვევაში იქნება აქციები სასარგებლო, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.**

თეა მარხვაიძე

*— თქვენ მიერ ხელისუფლებისთვის მიცემული ვადა ამოიწურა. რა იქნება შემდეგი თქვენი ნაბიჯი? როდემდე აპირებთ კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმას?*

— არანაირ ვადას ხელისუფლებას არ ვუხანგრძლივებთ. იცოდეთ, რომ ჩვენ კონსტრუქციული კი არა, ყველაზე რადიკალურები ვართ. სწორედ ჩვენი პოზიციაა ყველაზე რადიკალური.

*— რატომ არის ყველაზე რადიკალური თქვენი პოზიცია?*

— იმიტომ, რომ ზუსტად იმ სუსტ წერტილში არტყამს სააკაშვილს, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ რადიკალიზმი არ ნიშნავს იდიოტობას. სააკაშვილს იმ პროცესის ძალიან ეშინია, რომელიც ჩვენ დავიწყეთ. ამ მიმართულებას საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს. ასევე მთავარია ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე 8 პარტია არის ერთიანი. ეს კი საზოგადოების დაკვეთაა. ხშირად ჩვენ გვსაყვედურობენ, რატომ არ ერთიანდებით.

*— თქვენ როდისღა გაერთიანდით?*

— ჩვენ დღეს ვდგავართ ერთიან პოზიციაზე. არადა, ეს რვა პარტია ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. ჩვენ თითქმის არაფერში არ ვგავართ ერთმანეთს. ლიდერებს შორის არის პიროვნული შეუთავსებლობა. ამის მიუხედავად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხზე მოვახერხეთ გაერთიანება. ჩვენ გვწამს, რომ საარჩევნო გარემო უნდა გაუმჯობესდეს. ამ იდეის გარშემო ჩვენ ერთიანები ვართ. ამით სააკაშვილის ბექებზე დადება არის ძალიან მნიშვნელოვანი. რასაც ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ.

*— სააკაშვილის ბექებზე დადების პირობა ბევრმა დადო, მაგრამ ჯერჯერობით ყველა იქეთ დადო სააკაშვილმა ბექებზე. თქვენ ვითომ რატომ იქნებით გამონაკლისი?*

— ეს იმის ბრალია, რომ ამ ძალებს არასწორი ლოზუნგი ჰქონდათ. ისინი ითხოვდნენ, გადადგეს სააკაშვილი. ამ მოთხოვნით ასი ათასობით ადამიანი იყო ქუჩაში გამოსული. სააკაშვილი არ გადადგა იმიტომ, რომ ლოზუნგი არასწორია. არასწორია, რადგანაც ჩვენი პრობლემა მარტო სააკაშვილი არ არის. მოსახლეობისთვის მთავარი პრობლემაა დიქტატურა. ტირანია და ერთპარტიული მმართველობა უნდა დამთავრდეს. პრეზიდენტის გადაყენება ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

*— აბა, რა გადაწყვეტს ამ პრობლემას?*

— ძალაუფლების გაყოფა. ამ მიზნის მისაღწევად მთავარი საპარლამენტო არჩევნებია და არა საპრეზიდენტო. პარლამენტში რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ძალა უნდა შევიდეს და ამით მოსახლეობა აუცილებლად იგრძნობს შვებას.

*— პარლამენტში თქვენი შესვლით მოსახლეობამ როგორ უნდა იგრძნოს შვება?*

— რამდენიმე პოლიტიკური ძალა თუ იქნა პარლამენტში, ამას ძალაუფლების გაყოფა მოჰყვება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს არავინ არ დაატერორებს, სახლებიდან არავინ არ გამოყრის, არ დაიჭერს და არ მოკლავს. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების გაყოფით. არ შეიძლება ერთი ადამიანის ხელში ასეთი ძალაუფლება იყოს.

*— მერე რატომ არ ყოფთ?*

— აუცილებლად მოვახდენთ ძალაუფლების გაყოფას. იცოდეს ხალხმა, რომ ჩვენი ბრძოლა არის ძალიან რადიკალური. ეს ბრძოლა არის იმის გარანტი, რომ ადამიანებმა ამ ქვეყანაში მშვიდად იცხოვრონ.

*— მოდით ისევ ვადებს დავუბრუნდეთ. თქვენ არ მიპასუხეთ თუ რას აპირებთ, ვადის ამოწურვის შემდეგ?*

— პირობა ასეთი იყო, რომ მაისის ბოლოს დასრულდებოდა შეთანხმებების პროცესი. ხელისუფლება 2 თვეა გაურბის მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომას. ის სუსტ მოჭიდავესავით იქცევა. გარბის არენიდან, რათა მთავარ ბრძოლაში არ მიიღოს მონაწილეობა. ამის მიუხედავად, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ. ვიბრძვით იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში საარჩევნო გარემო შეიცვალოს. სააკაშვილს არ უნდა ჰქონდეს არჩევნების გზით ხელისუფლების პყრობის საშუალება.

*— ამბობთ, ბრძოლას ვაგრძელებთო. ამბობთ, ხელისუფლება სუსტ მოჭიდავესავით არენიდან გადის, რომ არ დაგვეჭიდოსო. უკაცრავად, მაგრამ ვის ეჭიდავებით?*

— არენიდან გასვლა პრობლემა არ არის. მას აუცილებლად შემოვათრევთ.

*— როდის შემოათრევთ?*

— გეუბნებით, რომ შემოვათრევთ.

*— როდის? როდის?*

— ვადების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ის ვადა, რომელიც იყო დათქმული, არ შეასრულა. ამისთვისაც დაისჯება.

*— დაისჯება ვითომ?*

— დაისჯება. დაისჯება მოცემული პირობის შეუსრულებლობის გამო. ბრძოლა მიზნის მისაღწევად გრძელდება. ჩვენ აუცილებლად შემოვიმატებთ საზოგადოებას. უფრო მეტი შემართებით მოვითხოვთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. სააკაშვილს აღარ მივცემთ იმის საშუალებას, რომ არენიდან გამოძვრეს.

*— ამბობთ, საზოგადოებას შემოვიმატებთო. კონკრეტულად ვის შემომატებას აპირებთ?*

— საზოგადოების ფართო ფენების, ვისაც ამ ქვეყანაში უნდა ცვლილებები. ოღონდ არ უნდა გასვლა რუსთაველზე, სადაც არის ხიფათი. იქ სააკაშვილი ყოველთვის გამოიყვანს 10 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებულ სპეცრაზმელს. ეს ბრძოლა უნდა გადავიდეს საარჩევნო ურნებთან,

*— აქ სპეცრაზმის გამოყენება არ მოხდება?*

— საბაბი არ ექნება. საარჩევნო ურნები იქნება ის იარაღი, რომელიც დაამარცხებს სააკაშვილს.

*— რატომ გგონიათ, რომ სააკაშვილს საარჩევნო ურნებით დაამარცხებთ?*

— დროშის ტარებით სააკაშვილს ნამდვილად ვერ დაამარცხებ. ამ ტარებით სააკაშვილის წინააღმდეგ გამოსვლა არის ტანკზე ჯოხის ცემა, რომელიც ჩვენ 1989 წლის 9 აპრილს ვნახეთ.

*— თუმცა 9 აპრილმა კომუნისტური რეჟიმი საფუძვლიანად შეარყია.*

— წლევანდელმა 26 მაისმაც შეარყია სააკაშვილის რეჟიმი. 9 აპრილის ტრაგედია მაშინ დამთავრდა არჩევნებით. არჩევნების გზა არის გამოსავალი. მხოლოდ ამ მეთოდით შეგვიძლია აღმოსავლური ტირანის შეცვლა ცივილურად. დღეს სააკაშვილი კი შეარყია 26 მაისმა, მაგრამ ეს ძალიან დიდ ფასად მოხდა. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ეს მთელი საქართველოს ტრაგედიაა. ჩვენ მოსახლეობა გვსაყვედურობს, რომ არჩევნებს ველოდებით, მაგრამ იმ დაღუპულებისთვის დღეს ეს ვადებიც აღარ არსებობს. ამიტომ გვინდა ჩვენ ვადები. საქართველომ რევოლუციებში დაკარგა 20 წელი. თუ დემოკრატია გვინდა, მაშინ არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება არჩევნების გზით.

*— არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა კარგია, მაგრამ ესეც რომ არავის გამოსდის?*

— იმიტომ, რომ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება არჩევნებს აყალბებს.



ასე იყო შევარდნაძე, ასე არის სააკაშვილი, რომელიც შევარდნაძეზე უარესი გამყალბებელია. ჩვენ არჩევნების გზით უნდა დავამარცხოთ სააკაშვილი და შევარდნაძე ერთად.

*— შევარდნაძე რატომ? ის აკი უკვე დამარცხებულია?*

— როგორ გეკადრებათ, ის და სააკაშვილი ისევ აქ არიან. გვეგონა, რომ შევარდნაძეს თავი მოვაჭერით, მაგრამ მეორე თავი ამოუვიდა. სააკაშვილს რომ ახალი თავი არ ამოუვიდეს, ის არჩევნების გზით უნდა დავდოთ ბექებზე.

*— ამომრჩეველს გვაქვს იმის გარანტია, რომ ოპოზიციური რვიანი რაგატკებით არ აპირებს გადატრიალების მოწყობას?*

— ნამდვილად არ ვაპირებთ ასეთ რამეს.

*— იმაშიც დარწმუნებული ხართ, რომ რამე შეთქმულებებზე არ გისაუბრიათ ოპერატიულ თათბირებზე?*

— არ გვისაუბრია. ჩვენ ვაპირებთ ხელისუფლების მშვიდობიანი ფორმებით შეცვლას. რაგატკები ჩვენს არსენალში არ არის. რაში გვჭირდება რაგატკა, როცა შეგვიძლია რეჟიმს სასიკვდილო ჭრილობა ფურცლით მივაყენოთ.

*— ჰოდა, მაშინ ფურცლების გადატრიალებაში დაგდებენ ბრალს.*

— ვერ დაგვდებენ. მე მხედველობაში საარჩევნო ბიულეტენი მქონდა. დამიჯერეთ, ეს მახვილზე უარესი იქნება.

*— ამ დღეებში თქვენ შეხვდით დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. რას ფიქრობენ ისინი 26 მაისის დარბევაზე? ოპოზიციის ერთი ნაწილი ამ დარბევაზე პასუხისმგებლობას ამერიკის ელჩს აკისრებს.*

— არ შეიძლება ჩვენი შეცდომები სხვებს გადავაბრალოთ. გავიხსენოთ, რა ხდებოდა ეგვიპტეში. იქ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა ქუჩის აქციები. როცა ცხადი გახდა, რომ მუბარაქს უნდა დაეთმო, მაშინღა გააკეთა ამერიკამ განცხადება ხალხის მხარდასაჭრად. დიპლომატია არის ძალიან ფრთხილი რამე. არ დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ ლიბიის პრობლემის მოსაგვარებლად მედიატორად დანიშნა რუსეთი. ამიტომ არ გვინდა ქარის წისქვილებთან ბრძოლა. ჩვენ უნდა ვეძებოთ მეგობრები. ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებები არ გამოგვადგება. ის სააკაშვილს გაახარებს.

*— რატომ გაახარებს ეს სააკაშვილს?*

— მას უნდა, რომ ჩვენ საელჩოებს ვაგინოთ.

*— რაში აწყობს ეს სააკაშვილს?*

— მივა და ეტყვის, რომ ამას რუსები მიწყობდნენო. ასე უთხრა მან ელჩს 26 მაისთან დაკავშირებითაც.

*— დაიჯერეს მერე ელჩებმა, რომ ამას რუსეთი აწყობდა?*

— მე ვერ გეტყვით, დაიჯერეს თუ არა, მე ვიცი, რომ სააკაშვილის განცხადებებმა მათზე სერიოზული გავლენა მოახდინა. მან ელჩები დაარწმუნა, რომ ეს აქცია იყო მიმართული საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. დაარწმუნა იმაში, რომ მზადდებოდა გადატრიალება.

*— ოპოზიციურ რვიანში არიან ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების მტკიცებით, 2007 წელს აპირებდნენ გადატრიალებას. მათზეც გვაჩვენეს 4 წლის წინ ფილმები.*

— მე არ ვამბობ, რომ გადატრიალებას აწყობს ვინმე.

*— მე თქვენ არ მიგულისხმიხართ. მაინტერესებს, საელჩოებს არ უჩნდებათ კითხვა, რომ გადატრიალების მცდელობაში დადანაშაულებულები ახლა კონსტრუქციულ ოპოზიციას წარმოადგენენ.*

— მე არ ვიცი, რა კითხვები უჩნდება საელჩოებს. მე ვიცი, რომ ჩვენ დასკვნების გაკეთება უნდა ვისწავლოთ. უპასუხისმგებლო განცხადებების გამო ჩვენ ბევრჯერ დავკარგეთ საერთაშორისო მხარდაჭერა. ამიტომ ჩვენი ამოცანაა მეგობრების მოძებნა, რათა სააკაშვილმა საელჩოებთან ის იარაღი ვერ გამოიყენოს, რომელსაც ახლა წარმატებით იყენებს. ჩვენ ამ მიზნით შევხვდით საელჩოების წარმომადგენლებს.

*— მოდით ისევ გადატრიალების თემას დავუბრუნდეთ. თუ ხელისუფლებას ასეთი სერიოზული მასალები ჰქონდა, აქამდე რატომ არ მოახდინა რეაგირება. ასეთი მასალების გამოქვეყნება ამა თუ იმ აქციის დარბევის შემდეგ რატომ ხდება?*

— ეს თაღლითობაა. ეს დოკუმენტები უნდა გამოიყენონ სასამართლოზე. ცოტა უცნაურია, როცა ხელისუფლებას აქვს ასეთი დოკუმენტები და არავის არ აკავებს. ასეთი მასალები თუ ჰქონდათ, აქციებამდე უნდა წარმოედგინათ. ასეთ შემთხვევაში აქციაზე არავინ არ მივიდოდა. ხელისუფლებამ კი სხვანაირად გადაწყვიტა. უცნაურია ისიც, რომ ამ აქციის ორგანიზატორებს არ აკავებენ.

*— ეს რაზე მიუთითებს?*

— იმას, რომ ხელისუფლებს აწყობს ასეთი პროცესები.

*— რაში აწყობს ეს ხელისუფლებას?*

— ხელისუფლება გეგმით მუშაობდა. როცა ეს პროცესი დაიწყო, ბურჯანაძეს არანაირი გეგმა არ ჰქონდა. მაშინ, როცა ხელისუფლებას ზუსტად გათვლილი გეგმა ჰქონდა. ეს იყო ზეგეგმები. ნურავის ნუ ეწყინება თუ ვიტყვი, რომ ის აქციახელისუფლების გეგმებში ჩაჯდა.

*— აბა, ზევით რომ ამბობდით, იმ ღამემ ხელისუფლება შეარყიაო?*

— შეარყია. ამის დადასტურება იყო შაბათს გამართული აქცია. უამრავი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. იცოდეს სააკაშვილმა, რომ ვერ დააშინებს ხალხს. საქართველოში ასეთი ძალადობა მიუღებელია.

*— დასავლეთი მომხდართან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებას და დამნაშავეების დასჯას ითხოვს. როგორ ფიქრობთ, დაისჯება ვინმე?*

— არავის არ დასჯიან. სააკაშვილი თავის თავს ხომ არ დაისჯის. დასავლეთი ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

*— თუკი არავინ არ დაისჯება, რატომ მიიჩნევთ მას მნიშვნელოვნად?*

— ეს პოზიცია მიუთითებს იმაზე, რომ 26 მაისის ტრაგედია ასე მარტივად არ დასრულდება. დამნაშავე სააკაშვილი აუცილებლად დაისჯება.

*— თუ მანამდე იქეთ არ დაგსაჯათ?*

— ვერ დაგვსჯის.

*— ბურჯანაძეც ასე ფიქრობდა.*

— მე არ ვიცი, ის რას ფიქრობდა. მე ვიცი, ჩვენი გზა არის სწორი და რაც მთავარია, უხიფათო. ამიტომ გაუჭირდება მას ჩვენი დასჯა და დარბევა. ვერ დაგვარბევს იმიტომ, რომ თუ აქციას გავმართავთ, ის იქნება 1 ან 2 საათიანი.

*— ამ ერთ საათში რატომ ვერ დაგარბევთ ვითომ?*

— იმიტომ, რომ ვიტყვით სათქმელს და წავალთ.

*— თუ გაგიშვებთ, კი წახვალთ.*

— ჩვენი გზა არ არის ხიფათიანი. თუ სწორი გზით მიდიხარ, მაშინ შეიძლება ხიფათზეც წახვიდე. ოღონდ უნდა იცოდე, რისთვის კვდები. ერთი სააკაშვილი რომ მეორეთი შეიცვალოს, ამის გამო ადამიანი არ უნდა მოკვდეს. ჩვენს ბრძოლაში ადამიანები არ მოკვდებიან. სააკაშვილს კი ბექებზე დადებულს განახებთ.

## 26 მაისის აქციის დაშლის შედეგად არავინ დაკარგულა!

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 26 მაისის აქციის დაშლის დროს არავინ დაკარგულა და დადასტურებული შემთხვევების გარდა არც არავინ გარდაცვლილა, — ამის შესახებ სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მან არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაციები იმის შესახებ, თითქოს 26 მაისის ღამეს დაიკარგნენ ადამიანები და არის გარდაცვალების მეტი შემთხვევა, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადდა.

რაც შეეხება ნიკა კვინტრაძესა და სულიკო ასათიანს, რომლებიც შს სამინისტროს ცნობით, 27 მაისს მეტრო „თავისუფლებასთან“ მდებარე მაღაზიის სახურავზე გარდაცვლილები იპოვეს, შოთა უტიაშვილი აცხადებს, რომ ამ ფაქტების გამოძიება ჯერჯერობით დასრულებული არ არის და ზუსტად არაფრის თქმა შეიძლება, თუმცა, მისივე თქმით, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ისინიც აქციის მონაწილეები ყოფილიყვნენ.



ოფიციალური მონაცემებით, 26 მაისის ღამეს ოთხი ადამიანი გარდაიცვალა. ისინი არიან შსს-ს თანამშრომელი ვლადიმერ მასურაშვილი, აქციის მონაწილე ნოდარ ცხადაძე და ზემოთ ნახსენები ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი.

თუმცა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები აქციის დაშლის შემდეგ არაერთი დაკარგულისა და 4-ზე მეტი გარდაცვლილის შესახებ იუწყებიან. ორი დღის წინ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ გამოაქვეყნა 49 ადამიანისგან შემდგარი სია, რომლებიც, მათი ინფორმაციით, 26 მაისის ღამეს გაუჩინარდნენ. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ სია შედარებულია შსს-სა და სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ სიებთან და ეს ადამიანები არც ერთ მათგანში არ აღმოჩნდნენ და, შესაბამისად, არც პატიმრობაში იმყოფებიან.

**ინტერპრესნიუსი**

# პანკისში არაჯანსაღი სიტუაციაა

## ოპოზიციამ რუსეთის მიმართულებით არ უნდა იაქტიუროს



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, თქვენ როგორ შეაფასებდით ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს? როგორც ცნობილია, მან ერთ-ერთ რუსულ ტელეარხს მისცა ინტერვიუ და საქართველოს მთავრობა ჩეჩენი „ბოევიკების“ მფარველობაში დაადანაშაულა...***

— რაც შეეხება ჩეჩენი „ბოევიკების“ მფარველობას, განსაკუთრებით ვარდების რევოლუციის შემდგომ მე ამის თაობაზე არა მარტო ინფორმაცია არა მაქვს, არა მაქვს უბრალოდ ყურმოკრული ამბავიც კი. აქედან გამომდინარე ჩემთვის რთული იქნება ამის კომენტირება. ისე უნდა გითხრათ, რომ მე არაერთხელ მითქვამს და გამომიწვევია გულისწყრომა ხელისუფლებისა და პანკისური საზოგადოებისაც, იმიტომ, რომ ვამბობ — პანკისში არ არის ჯანსაღი სიტუაცია.

***— რაში გამოიხატება ეს არაჯანსაღი სიტუაცია?***

— ამის თაობაზე შემიძლია რომ მოგახსენოთ. მე ვთვლი, რომ რადიკალური ისლამის მომხრეებმა, რომლებსაც სხვანაირად ვაჰაბიტებს ეძახიან, მოახერხა შეევიწროვებინა ტრადიციული ისლამის წარმომადგენლები და ასე ვთქვათ, მდგომარეობა გაიმყარა. თუმცა, ეს მდგომარეობის გამყარება, მათი რელიგიური უპირატესობით კი არ არის გამოწვეული, არამედ ვილაცამ თვითონ ადგილობრივ ხელისუფლებაში, რაიონის ხელისუფლება მყავს მხედველობაში და არ გამოვრიცხავ, რომ ამაში უშიშროებაც იყოს ჩართული და ალბათ ასეც არის, მოინდომა, რომ ხეობა გაეკონტროლებინა ამ ადამიანის მეშვეობით. დღეს ყველანაირი ბერკეტი პრინციპში ამ ადამიანების ხელშია. მე ხაზი მინდა გავუსვა, რომ რასაკვირველია, არაფერი საწინააღმდეგო ისლამის არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კავკასიას აქვს თავისი დამახასიათებელი რელიგიური მოზაიკა, მათ შორის ისლამიც არის სპეციფიკური კავკასიაში. მოსული ისლამი, რომელიც დღეს არის პოპულარული კავკასიის რიგ რეგიონებში და მათ შორის პანკისის ხეობის ახალგაზრდობაში, მე მიმაჩნია, რომ ეს არის თავს მოხვეული. მე დღეს მსაყვედურობენ, რომ ვარ ისლამის წინააღმდეგი, მე არა ვარ სუფთა ისლამის წინააღმდეგი, მე ვარ იმის წინააღმდეგი, ვინც შეიძლება იდგეს იმ ძალების უკან, ვინც ამ ახალგაზრდებს სუფთა ისლამისკენ მოუწოდებს. ჩვენ გამოცდილება გვაქვს იმისი, რა მოხდა ჩრდილოეთ კავკასიაში. მე მიმაჩნია, რომ ეს სახიფათო პროცესია. მე რის თქმა მინდა, მე მაქვს ეჭვი, რომ რაღაც უჯრედი მზადდება, რადგან შემდეგ ამ უჯრედმა გავლენა იქონიოს იმ პროცესებზე, რომელიც ქედს იქით მიმდინარეობს. აი, ეს მაშინებს ყველაზე მეტად. მე მომდის ჭორები, რომ ხეობაში ფული გაჩნდა. იქ არის ხე-ტყის ბიზნესი და ასე შემდეგ, რომელსაც ეს ჯგუფები მფარველობენ, თუმცა, ის ფული, რომელზეც მე ვსაუბრობ, არ არის ამ ბიზნესიდან შემოსული, რადგან ის იმაზე მეტია, ვიდრე შეიძლება ამ ბიზნესიდან იყოს შემოსული.

***— რას გულისხმობთ?***

— მე არ გამოვრიცხავ, რომ ზოგიერთი აზიური ქვეყნის სპეცსამსახურები დიდი ინტერესით აკვირდებიან იქ მიმდინარე პროცესებს და არა მარტო აკვირდებიან, არამედ ეხმარებიან კიდეც და ზუსტად პანკისის ხეობაში. მე სხვას ამის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ. მოდით, დავუბრუნდეთ ისევ ირაკლი ოქრუასვილს, მე ადამიანს, რომელიც არ არის დიდ პოლიტიკაში ასეთი რამის თქმა შემიძლია, რომც სცოდნოდა ირაკლი ოქრუაშვილს ეს ამბავი, არ უნდა ეთქვა. არ უნდა ეთქვა არავითარ შემთხვევაში. გარდა მაგისა. თუ ეს ის პერიოდია, რომელსაც ის ასახელებს — 2005-2006 წლებს, იმ პერიოდში ის იყო ხელისუფლებაში და თანაც ძალოვან სტრუქტურებში იყო, მინისტრი იყო ბოლოს და ბოლოს, ხომ შეეძლო ამაზე გავლენა მოეხდინა და ეს ამბავი აღეკვეთა, თუკი ასე იყო და მას ეს არ მოსწონდა. რაც შეეხება ტყუილს, ოქრუაშვილის მიერ ნათქვამს...

***— რას გულისხმობთ?***

— საქმე ის არის, რომ აჩიმას გოჩიაევის თაობაზე რასაც ოქრუაშვილი ლაპარაკობს, ეს არის ტყუილი. აჩიმას გოჩიაევი, ჩემი დაზუსტებული ინფორმაციით, მაქსიმუმ 2001 წლის მერე საქართველოში არ გამოჩენილა. რაც შეეხება იმას, კორიდორი მისცა თუ არა მას საქართველოს ხელისუფლებამ, ოქრუაშვილმა ეს ამბავი შეიძლება ყურმოკვრით იცოდეს, იმიტომ, რომ იმ პერიოდში ის საქართველოს ხელისუფლებაში ან არ იყო და თუ იყო, მეორე ხარისხოვან როლს თამაშობდა სადღაც საკრებულოში. რა იცოდა მაშინ ოქრუაშვილმა, კორიდორს აკეთებდა თუ არ აკეთებდა საქართველოს ხელისუფლება. გოჩიაევი და მისი მეწყვილე კრიმშამხალოვი ერთად მოხვდნენ საქართველოში და მათ იპოვეს თავშესაფარი იმ დაჯგუფებასთან, რომელიც იმყოფებოდა პანკისის ხეობაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კრიმშამხალოვი და გოჩიაევი როდესაც საქართველოში მოხვდნენ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ისინი მონაწილეობდნენ თუ არა მოსკოვის ოლქში სახლების აფეთქების საქმეში, ეს მერე გაირკვა, მერე დაადგინა რუსეთის შესაბამისმა სტრუქტურებმა. საქართველოს სამართალდამცავებმა საწყის ეტაპზე, დარწმუნებული ვარ, არც იცოდნენ გოჩიაევი და კრიმშამხალოვი დამნაშავენი იყვნენ თუ არა ამ კონკრეტულ საქმეში. შემდეგში დაიწყო მათი ძებნა და მე ვიცი ერთი რამ, რომ კრიმშამხალოვი ქართველმა სამართალდამცავებმა ლაგოდეხთან დააკავეს, იქ სროლაში დაიღუპა მისი თანხმლები პირები და დაკავებული კრიმშამხალოვი შემდეგ გადასცეს რუსეთს. რაც შეეხება გოჩიაევს, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, გოჩიაევის დასაკავებელი სპეცოპერაცია გაიმართა ნატანებში ან გრიგოლეთში, დაზუსტებით არ მახსოვს, იქაც მისი თანმხლები ორი პირი ჩავარდა, ხოლო თვითონ გოჩიაევმა გაასწრო აჭარიდან თურქეთში. აი, ასე მოხდა. ამის თაობაზე ირაკლი ოქრუაშვილს შესაძლოა ზოგადად სცოდნოდა არა დეტალურად როგორც თვითონ ყვება. ჩემთვის ერთი რამ არის ცნობილი, რომ მაქსიმუმ 2002 წლის შემდეგ გოჩიაევი საქართველოსი არ ყოფილა. რაც ოქრუაშვილმა რუს ჟურნალისტს უთხრა, ეს არ არის სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული განცხადება, ეს უფრო არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული. ამიტომ ირაკლი ოქრუაშვილს ეს რომც სცოდნოდა, არ უნდა ეთქვა.

***— რა რეაქციები შეიძლება მოჰყვეს ამას რუსების მხრიდან?***

— რუსეთი აგროვებს ასეთი ტიპის ინფორმაციებს და მერე ასეთი ტიპის ფორმით ავრცელებს ხოლმე და ამით მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე. როგორც ჩვენ შევქმენით მტრის ხატი რუსეთისაგან, ისე ისინი ქმნიან ჩვენგან მტრის ხატს და ეს არის იმფორმაციული ომის ნაწილი. მერე შეიძლება ერთ მშვენიერ დრეს რუსეთმა ეს ყველაფერი გამოიყენოს ჩვენ წინააღმდეგ მორიგი აგრესიის შემთხვევაში. საზოგადოების აზრის შემზადების პროცესი, ეს არის უწყვეტი პროცესი. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ 2008 წლის ომის წინა პერიოდში, ასეთი ტიპის მუშაობა უკვე მიდიოდა. სწორედ ამიტომ 2008 წლის ომის დროს რუსული საზოგადოებრივი აზრი იყო კატეგორიული წინააღმდეგი საქართველოსი და ქართველების. ამიტომ მოხდა, რომ ქართველების გამოყრა, ცხოველებივით რომ შეყარეს თვითმფრინავებში, ამან არ გამოიწვია რუსული საზოგადოების აღშფოთება, ზუსტად იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი ამისთვის შემზადებული იყო. რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი თვლიდა, რომ ქართველები არიან მათი მტრები. ასეთ აგრესიულ ქმედებებს ჩვენ სულ უნდა ველოდებოდეთ რუსების მხრიდან.

***— გამოდის, რომ ოქრუაშვილი რუსული მხარის წისქვილზე ასხამს წყალს...***

— მე არ მჯერა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ვერ ხვდებოდეს, რომ მან ამით ხელისუფლებას კი არ ავნო, არამედ ავნო ქვეყანას.

***— რაც შეეხება ასევე მეორე აქტუალურ თემას, ხელისუფლება აცხადებს, რომ სახალხო კრების ლიდერები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ, რამდენად იყო ეს ასე?***

— ესეც საინფორმაციო ომის ნაწილია, რომელსაც აწარმოებს ხელისუფლება თავის ხალხის მიმართ. რა გადატრიალება უნდა მოეხდინა 1500 კაცს. ამიტომ იხმარება სიტყვა მცდელობა. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეიძლება მიუსადაგო ერთ კაცს, ორს ან შვიდს და 1500. ამ ტერმინს როგორც გინდა, ისე მოიხმარ, იმიტომ, რომ ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი ტერმინია. იმ ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც ამ დარბევების შემდეგ საავადმყოფოებში აღმოჩნდა, არაფრის გადამტრიალებელი რომ არ იყო, ეს დარწმუნებით შემიძლია გითხრათ და არც ფიქრობდნენ ამაზე. მათთვის იყო მთავარი საპროტესტო განწყობის დემონსტრირება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს ასეთი მიდგომა, საკმარისია საპროტესტო განწყობა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე მისაღებია მათთვის, იმ წუთში ის ხდება რუსეთის აგენტი და ის ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას. ეს მათი პიარტექნოლოგიის ნაწილია.

***— გაკეთდა შეფასებები, რომ მსგავსი კომპრომატებით ხელისუფლება თავისი გადამეტებული ქმედების გამართლებას ცდილობსო...***

— რასაკვირველია, ასეა. რაღაცნაირად ხომ უნდა გადაიფაროს ის, რაც მოხდა. მაგალითად, ძალიან ნიშანდობლივია ზოგიერთი პროსახელისუფლო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შედგენილი დოკუმენტი, სადაც წერია, რომ უნდა დაისაჯოს ის მხარე, ვინც ამისი ინსპირირება მოახდინა, ანუ რადიკალური ოპოზიციის მიზნებზეა ლაპარაკი და რასაკვირველია, გამოძიებული უნდა იყოს ძალის გადამეტება. პრინციპში ესეც თვალთმაქცული განცხადებაა, ახლა ძალის გადამეტების გამოძიება გაიჭიმება უსასრულოდ, ვინ უნდა გამოიკვლიოს? ვინც გამოიყენა ძალა, იმან უნდა გამოიკვლიოს საკუთარი შეცდომები და დანაშაული?! და უნდა დაისაჯოს აქციის ორგანიზატორებიო. აქ იგულისხმება ბურჯანაძე და სახალხო კრების ლიდერები. რაშია საქმე, იცით, ძალიან კარგად არის გათვლილი პიარტექნოლოგიის ეს ფორმა. თვითონაც გადასარევად იციან, რომ ნონა გაფრინდაშვილი, გოგი ქავთარაძე და სხვები, თვითონ იქნებიან პირველი მტერი იმისი, ვინც რუსეთის მეშვეობით საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მოინდომებს. ძალიან კარგად იციან ეს ამბავი. ამიტომ გამოყვანილი ჰყავთ ერთი კონკრეტული ლიდერი — ბურჯანაძე, რომელმაც მე ვთვლი, რომ არასწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც პუტინის გვერდით დადგა იმ აღლუმის დროს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ოპოზიციის აქტივობა რუსეთთან მიმართებაში უშედეგო იქნება, იმიტომ, რომ ეს ვნების გარდა მათ სხვას არაფერს არ მოუტანდა. ეს დემონსტრატიული ვიზიტები მოსკოვში, რბილად რომ ვთქვა, უშედეგო იყო. ეს გამოიყენა, თორემ ხელისუფლებამაც გადასარევად იცის, რომ ირაკლი ბათიაშვილისნაირი პიროვნება არასოდეს რუსეთთან ალიანსზე არ წავა და რუსეთის მეშვეობით საქართველოში ხელისუფლების შეცვლას არ მოინდომებს. მოსკოვშიაც იციან, სხვათა შორის, ძალიან კარგად, რომ ნინო ბურჯანაძე არაფერი პრუსული პოლიტიკოსი არ არის. ამის თაობაზე რუსულ მედიაში იწერებოდა და იწერება დღესაც. ეს არის ისეთივე პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა ძალები, მათ შორის რუსეთიც საკუთარი მიზნების მისაღწევად. ეს პოლიტტეგნოლოგიების ნაწილია და ცდილობენ ხალხი ამ რეჟიმში ჩააყენონ, ფიქრობდნენ, რომ ისინი რუსეთის მეშვეობით ცდილობდნენ გადატრიალებას, რასაკვირველია, ძალის გადამეტება მოხდა, მაგრამ ეს არის ცალკეული პოლიციელების გადაცდომა. არ არის ეს მართალი, იმიტომ, რომ თვითონ 26 მაისის ოპერაცია ისე იყო დაგეგმილი, რომ შანსი არ ჰქონდათ დემონსტრანტებს, რომ გაქცეულიყვნენ იქიდან, იმიტომ, რომ ეს იყო ალყა, ეს არ იყო მოედნის გაწმენდა, ეს იყო კლასიკური ალყა. ეს კადრებშიც კარგად ჩანს და ლოგიკიდანაც გამომდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედების. იმიტომ, რომ 7 ნოემბერს მათ ეს „შეცდომა“ დაუშვეს, როდესაც მოედნიდან ხალხი გარეკეს და ხალხი წავიდა და რიყეზე შეგროვდა. იგივე რომ არ გამეორებულიყო ამიტომ ჩატარდა ასეთი ოპერაცია, ალყა, დარბევა და სასტიკად გასწორება იმისთვის, რომ მეორედ აღარავინ გაბედოს გამოსვლა. სხვათა შორის, ნებსით თუ უნებლიეთ ბენდუქიძემ ეს გაახმოვანა კიდეც, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილე ხალხი, მეორედ ამას აღარ გააკეთებს. პრინციპში ეს გათვლილი იყო თავიდანვე. ისე მე ძალიან მაინტერესებს, თუ ბენდუქიძისთვის შეიძლება კამსამოლსკაია პრავდასთვის ინტერვიუს მიცემა და ეს დადებითი მოვლენაა, რატომ არ შეიძლება სხვისთვის და რატომ უარყოფოთი მოვლენა, როცა ოპოზიციის წარმომადგენლები აძლევენ რუსულ პრესას ინტერვიუს. ეს იყო კლასიკური დარბევა და განსაკუთრებული სისასტიკე. ეს გათვლილი იყო იმაზე, რომ ხალხმა მეორედ გამოსვლა არ გაბედოს. მე არა მგონია ისეთი უჭკუოები იყვნენ ხელისუფლებაში, რომ ვერ ხვდებოდნენ, ეს ისეთ შედეგს არ მოიტანდა და ვერც მოიტანა.

***— საპირისპირო შედეგი მივიღეთ, მეორე და მესამე დღეს გაცილებით დიდი რაოდენობის ხალხი გამოვიდა ქუჩაში...***

— სწორედ რომ საპირისპირო შედეგი მივიღეთ. მოხდა პოლარიზაცია საზოგადოების. მე ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოებაში არ არიან ადამიანები ვინც ასეთი ტიპის დარბევას მხარი არ დაუჭირა, დაუჭირეს კი, იყვნენ ასეთი ადამიანები. რომ შეხვიდეთ მაგალითად ფეისბუქში, ნახავთ, რომ არის გაჩაღებული ერთმანეთის ლანძღვა-გინება. არა აქციის მონაწილეების ან ხელისუფლების, არამედ პირადულზე გადავიდნენ ადამიანები. ერთმანეთს ეძახიან მხოლოდ ერთ ტერმინს — ეს არის რუსეთის აგენტი, ორივე მხარე. პრინციპში დადებილდა საზოგადოება, იქამდე მივიდა საქმე. საღი განსჯის უნარი არავის აღარ შერჩა და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება სამწუხაროდ, რომ ხელისუფლების პოლიტიკაა ასეთი, რომ ხდება საზოგადოების ორ ნაწილად გაყოფა — ჩემები და სხვები. ხელისუფლებისთვის მთელი ქვეყანა გაყოფილია ასე, ვინ არის ჩემი მოკავშირე და ვინ არის ჩემი მოწინააღმდეგე.

***— როგორც ცნობილია, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბადრი ბიწაძეზე, როგორ ფიქრობთ, სხვა ლიდერებზეც აღიძრება?***

— შეიძლება აღიძრას, მაგრამ ხელისუფლება არ არის დაინტერესებული მათი დაკავებით. ხელისუფლება ზუსტად რომ უბრალო ადამიანების დათრგუნვაზე არის ორიენტირებული, იმისთვის, რომ მომავალში ოპოზიცია დატოვონ გულშემატკივრებისა და თანამზრახველების გარეშე. ამაზეა გათვლილი, თორემ თუ ისინი გადატრიალებას ამზადებდნენ, მარტო ბურჯანაძე ხომ არ გეგმავდა გადატრიალებას. ხელისუფლებას სულ სხვა მიზნები ჰქონდა, მან მშვენივრად იცის, რომ ისინი არანაირი გადატრიალების მომმზადებლები არ იყვნენ. ის საუბრები, რაც ტელევიზიით გვაჩვენეს, მე არ ვამბობ, რომ ეს დამონტაჟებულია, შეიძლება ეს ლაპარაკები მართლა იყო, მაგრამ ეს ლაპარაკები ჩემთვის არ არის მანიშნებელი იმისა, რომ ეს ადამიანები აპირებდნენ ამა თუ იმ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას. გარდა მაგისა, ჩვენ ასეთი საუბრები არაერთხელ გვაქვს მოსმენილი წინა წლებში, არავინ არ დასჯილა ამის გამო, გარდა იმისა, რომ მორალური ზიანი მიაყენეს და ერთ-ერთი მათგანი, ვინც 2007 წელს რუსეთის აგენტად იყო მონათლული, დღეს შვეიცარიაში საქართველოს ელჩად ინიშნება. თუ რუსეთის აგენტია, შვეიცარიის ელჩად როგორ ინიშნება?! ამიტომ ვამბობ ეს ყველაფერი არის პიარტექნოლოგიები და არა სისხლის სამართლის დანაშაული. ყოველ შემთხვევაში ხელისუფლების ნაბიჯები ამისკენ მიბიძგებს, რომ ვიფიქრო.

# ბაჩო ახალაია ორდღიანი ვიზიტით პოლონეთში იმყოფება

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკაში იმყოფება. მინისტრმა უკვე გამართა პირისპირ შეხვედრა მის პოლონელ კოლეგა ბოგდან კლიჩთან. შედგა ასევე ორი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროების დელეგაციების შეხვედრაც. საუბრის მთავარი თემა სამშვიდობო მისია, ნატო-სთან პარტნიორობა, საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე პოლონეთის მხარდაჭერა იყო. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის ფარგლებში ერთობლივი გეგმების შემუშვებას. მინისტრ კლიჩის განცხადებით, ეს გეგმები პოლონეთისთვის, როგორც ევროკავშირის მომავალი პრეზიდენტი ქვეყნისთვის, ერთ-ერთი მთავარი სამუშაო თემა იქნება.

პოლონეთისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები სამხედრო განათლების სფეროში ურთიერთობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა კოლეგას შემოდგომაზე საჩხერის სამთო სკოლაში, რომელსაც „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ცენტრის სტატუსი აქვს მინიჭებული, პოლონეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მომზადება შესთავაზა.

ბოგდან კლიჩმა კი, თავის მხრივ, ბაჩო ახალაიას შესთავაზა, ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში მომავალი წლისთვის ექსპერტის გამოგზავნა, რომელიც სამშვიდობო მისიების წარმოების საკითხებზე ერთწლიან სალექციო კურსს ჩაატარებს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია შეხვედრებს გამართავს პოლონეთის სეიმის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის წევრებთან, პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელთან. დაგეგმილია ასევე “პოვონსკის“ პანთეონში სმოლენსკის ტრაგედიის მსხვერპლთა და ქართველი ოფიცრების მემორიალების ყვავილებით შემკობა.

ინტერპრესნიუსი

# უსინათლო მოსწავლეებს ბავშვთა დღე მიულოცეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თბილისის 202 უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს ბავშვთა დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

თბილისის 202 უსინათლო ბავშვთა სკოლაში 50 ბავშვი სწავლობს, მათგან 23 პანსიონური მომსახურებით სარგებლობს. ეს სკოლა და ზოგადად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები სამინისტროს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ არიან.

მინისტრის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში 202 სკოლის რეაბილიტაცია დაიწყება, მოწესრიგდება და ბავშვთა საჭიროებებს მოერგება სველი წერტილები და სხვა კომუნიკაციები. უკვე ახალი სასწავლო წლიდან ამ სკოლის მოსწავლეები განახლებულ გარემოში გააგრძელებენ სწვლას, — აცნობეს „მედიანიუსს" განათლების სამინისტროდან.



202-ე სკოლას სამინისტრომ უკვე გადასცა ბრაილის საბეჭდი მანქანა, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და ტაქტიკური სასწავლო მასალები. თანამედროვე აპარატურასთან სამუშაოდ სამინისტრომ ამ სკოლის პედაგოგებიც გადაამზადა. სკოლას ასევე გადაეცა სპეციალურად სუსტი მხედველობის ბავშვებისთვის განკუთვნილი წასაკითხი აპარატურა, რომელიც მორგებულია ნებისმიერი ბავშვის მდგომარეობაზე და აქვს სხვადასხვა მანიპულაციის საშუალება, როგორიცაა ტექსტის გადიდება, ფერის შეცვლა და მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია. უსინათლო ბავშვებს გადაეცათ სხვადასხვა სახის გამადიდებელი შუშები.

უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის პედაგოგები სწავლასთან ერთად, ზრუნავენ თავისი აღსაზრდელების სოციალურ ადაპტაციასა და საზოგადოებრივ საქმიანობებში მათ ჩართულობაზე. ამ სკოლის მოსწავლეები ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ.

წელს სკოლას ოთხი მეთორმეტეკლასელი ჰყავს, ისინი საატესტატო გამოცდებში მონაწილეობენ და შემდეგ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ყოველწლიურად წარმატებით აბარებენ. მათთვის საგამოცდო მასალა ბრაილის შრიფტზეა ადაპტირებული.

**მედიანიუსი**

# რა გამოხმაურება მოჰყვება ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას

## ექსპერტთა კლუბი პარლამენტს გადაწყვეტილებას უწონებს



**მიმდინარე წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა ჩერქეზთა გენოციდი აღიარა. ამ აღიარებას ჩერქეზული დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას ჩერქეზები ოვაციებით შეხვდნენ. ოვაციები და ემოციები არც ქართველ დეპუტატებს დანანებიათ.**

**თეა მარხვაიძე**

ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები ჩვრქეზთა გენოციდის აღიარების საკითხს სიფრთხილით უყურებდნენ. მათი თქმით, ამ აღიარებას შესაძლოა რუსეთის გაღიზიანება გამოეწვია. გაღიზიანებული რუსეთისგან კი ყველაფერია მოსალოდნელი.

საინტერესოა ისიც რატომ დაინტერესდა საქართველო ჩერქეზთა ბედით. დასავლეთზე განსაკუთრებით კი ამერიკაზე ჩაციკლულ ნაციონალებს ადრე კავკასიის ხსენება სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. ახლა, როგორც ჩანს დაკვეთაა ასეთი.

წინა მოწვევის პარლამენტში ჩეჩნეთთან მეგობრობის ჯგუფი შეიქმნა. ამ ჯგუფის შემადგენლობაში ნაციონალებიც შედიოდნენ. მაშინ რუსეთთან ჩვენი ვარდოსნები სიამ-ტკბილობაში იყვნენ. და როგორც ჩანს არ სურდათ რუსეთისთვის გულის ტკენა. ამიტომაც ეს ჯგუფი სასწრაფოდ დაშალეს. და პროჩეჩნურად განწყობილ დეპუტატებს შენიშვნებიც მისცეს.

ახლა კი ჩეჩნების და ჩერქეზების ბედზე ჩვენი ხელისუფლება გულდათუთქული მოსთქვამს. ექსპერტთა ნაწილი შიშობს, რომ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოს შეიძლება ცუდად შემოუბრუნდეს.

როცა ამ თემაზე საუბარი დაიწყო, საქართველოში მოქმედმა სომხურმა ორგანიზაციებმა პარლამენტს მიმართეს. მათაც მოითხოვეს გენოციდის აღიარება. საქართველომ ამ საკითხთან დაკავშირებით მაშინ კომენტარი არ გააკეთა.

არადა სომხების გენოციდი მსოფლიოს 20-მდე ქვეყანას აქვს აღიარებული. ჩერქეზების გენოციდი კი პირველებმა ჩვენ ვცანით.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთი ამ აღიარებას აუცილებლად შემოგვიბრუნებს ცუდად. რა იქნება საპასუხო ნაბიჯი ამას მომავალი გვაჩვენებს. ქართველი ექსპერტების მეორე ნაწილი კი ამ აღიარებას დადებით მოვლენად აფასებს. ამ კატეგორიას განეკუთვნება „ექსპერტთა კლუბი".

— ეს მეტად საპასუხისმგებლო და სარისკო გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმა მიიღო ჩერქეზული საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნის საფუძველზე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და რაც მთავარია ანალოგიური ქმედებების შეწყვეტისა და სამომავლოდ მისი გამეორების შესაძლებლობის აღკვეთის მიზნით. საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ აცნობიერებდა რა მიღებული აქტის ყველა მოსალოდნელ შედეგს და თხოვნით მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას ცნოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაბნეული მრავალმილიონიანი ჩერქეზი მოსახლეობის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების უფლება. საქართველოს პარლამენტის ეს გაბედული გადაწყვეტილება ქართული სახელმწიფოსთვის ამ მეტად რთულ ეტაპზე მოულოდნელი აღმოჩნდა არა მარტო წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური წრეებისათვის, არამედ თვით იმ ჩერქეზული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისთვისაც, რომლებიც წლების მანძილზე სვამდნენ ამ საკითხს და მიმდინარე წლის მაისშიც მრავალმა მათგანმა გაუგზავნა თხოვნა ქართულ საკანონმდებლო ორგანოს, — ამბობენ „ექსპერტთა კლუბში".

კლუბის განმარტებით, მიმართვები ანალოგიური თხოვნით არაერთგზის დაიგზავნა ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ხელმძღვანელობის სახელზე, თუმცა პრაგმატულობისა და რუსეთთან ურთიერთობის შესაძლო გართულების ფაქტორიდან გამომდინარე ჯერჯერობით ისინი დუმილს არჩევენ.

ჩვენებური ექსპერტების თქმით, ჩუმი კმაყოფილებით შეხვდა თბილისის გადაწყვეტილებას თურქეთიც, სადაც დევნილი ჩერქეზი მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანია და რამდენიმე მილიონს შეადგენს.

— საერთაშორისო საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება თუ რით უპასუხებს მოსკოვი თბილისის ამ გამოწვევას. დაბნეული რუსული დიპლომატიაც დუმს და ჯერჯერობით ერიდება ოფიციალური პოზიციის დაფიქსირებას. ეს დუმილი მოულოდნელად დაარღვია რესპუბლიკა ადიღეს დედაქალაქმა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 29 მაისს ქ.მაიკოპში ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ხასეს" ხელმძღვანელის იბრაგიმ იაგანოვის ინიციატივით ჩატარდა რუსეთის არასამთავრობო ჩერქეზული ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განხილვის მთავარ საკითხად აღნიშნულ სხდომაზე გამოცხადდა ისტორიულ სამშობლოში ჩერქეზების რეპატრიაცია და მისთვის ხელისშეწყობა. ერთი შეხედვით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩერქეზული არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო არავითარი შეფასების გამოთქმას არ აპირებდა თბილისის 20 მაისის აქტთან დაკავშირებით. თუმცა 31 მაისს გამოქვეყნებული 8 არასამთავრობო ჩერქეზული ორგანიზაციის მიერ საქართველოს პარლამენტისადმი გაგზავნილი სამადლობელი წერილის პათოსი, რომელიც იმავე 29 მაისს და ისიც ქ.მაიკოპშია ხელმოწერილი, იძლევა იმ ვარაუდის დაშვების საშუალებას, რომ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის ცნობაც იყო და მათ ბევრი განსჯის შემდეგ ბიძგი მისცეს ზემოთნახსენები ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ოფიციალურად გაეჟღერებინათ იგი. ამას აუცილებლად მოყვება სხვა ჩერქეზული და არა მხოლოდ ჩერქეზული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოხმაურებაც, — ამბობენ „ექსპერტთა კლუბში".

საქართველოში გამოგზავნილი წერილის ავტორები მთელი ჩერქეზი ხალხის სახელით გულწრფელ მადლობას უხდიან საქართველოს პარლამენტს და მთელ ქართველ ხალხს ჩერქეზების ყველაზე ტრაგიკული და მტკივნეული საკითხის გულთან ახლოს მიტანისთვის და მისი სამართლიანად შეფასებისთვის.

— საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის ცნობამ ახალ თვისობრივ დონეზე აიყვანა ამ საკითხის განხილვა. ეს არის პირველი ნაბიჯი სამართლიანობის აღდგენისა და ჩერქეზი ხალხის თავის ისტორიულ სამშობლოში გაერთიანების გზაზე.ჩერქეზი ხალხის გენოციდის ცნობით თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ მსგავსი ტრაგედიების გამეორების და ხალხების მიმართ არაადამიანური მოქცევის აღსაკვეთად.ხელმძღვანელობდა რა საერთო საკაცობრიო ღირებულებების თანმიმდევრული დაცვით საქართველოს პარლამენტმა ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ხელი შეუწყო მშვიდობასა და განვითარების სტაბილურობას მთელი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში, — ნათქვამია წერილში.

ექსპერტების განმარტებით, ჩერქეზი ხალხის გენოციდის ცნობის საკითხი პირველად 1992 წლის 7 თებერვალს დაისვა, როცა ყაბარდო ბალყარეთის რესპუბლიკის პარლამენტმა დადგენილება მიიღო ამ საკითხზე, ადიღეს რესპუბლიკის პარლამენტმაც გაუგზავნა თხოვნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ჩერქეზთა გენოციდის ცნობის შესახებ. ჩერქეზულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ეს საკითხი დააყენეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპარლამენტის და რუსეთის ხელისუფლების წინაშეც, თუმცა ყველა მათგანი ამ საკითხის მხოლოდ ზოგადი განხილვით შემოიფარგლა.

1997 წელს აფხაზეთშიც იყო მცდელობა 1866 წლის აფხაზების აჯანყების შემდეგ მიღებული შედეგებისთვისაც მიენიჭებინათ გენოციდის სტატუსი. დღეისათვის შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ძალიან საეჭვოა რუსეთმა აფხაზებს ან ჩრდილოეთ კავკასიის რომელიმე ხალხს მისცეს საშუალება თავისი ნამდვილი დამოკიდებულება გამოხატოს, საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისის პრეცენდენტის მიმართ.გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა და კავკასიური პოლიტიკის ერთერთმა აქტიურმა გამტარებელმა საქართველომ, ჩერქეზი ხალხის საუკუნოვანი ტკივილის განკურნების საქმეში პირველმა დააფიქსირა თავისი მტკიცე პოზიცია.

„ექსპერტთა კლუბს" აინტერესებს ვინ იქნება შემდეგი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენს საზოგადოებასაც აინტერესებს. ხალხს იმის გაგებაც სურს თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ აღიარებას.

საინტერესოა გააგრძელებს თუ არა პარლამენტი გენოციდების აღიარებას. ნუგზარ წიკლაურმა დაგვიბარა ამაზე არ შევჩერდებითო. მომდევნო შეიძლება ჩეჩენი ერის გენოციდის აღიარება იყოს.

ისე არც ის არის გასაკვირი თუ საქართველოს პარლამენტი უფრო შორს წავიდეს და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დამოუკიდებლობა გროზნოში გაქცეულმა ზვიად გამსახურდიამ აღიარა.

# სათამაშო აპარატების მფლობელებს ცხოვრება უძვირდებათ

**ნანა მიშელაშვილი**

სათამაშო აპარატის სალონის მომწყობებს კანონი უმკაცრდებათ. ახალი კანონპროექტის ავტორი ფინანსთა სამინისტროა. მისი განხილვა საპარლამენტო კომიტეტებში უახლოეს დღეებში დაიწყება.

სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე სანებართვო მოსაკრებელი ძვირდება. ანუ სათამაშო აპარატის მფლობელებს ცხოვრება გაუძვირდებათ. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც კანონპროექტი ძალაში შევა.

კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციით, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის ტერიტორიაზე 20 000 ლარი ღირს, სხვა ტერიტორიაზე კი — 12 000 ლარი. ახალი კანონპროექტით კი, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა წელიწადში 50 000 ლარიდან 1 000 000 ლარის ჩათვლით ეღირება.

რაც შეეხება ტერიტორიულ საკითხს, ამ განაკვეთის ფარგლებში სათამაშო აპარატების სალონის მოწყობაზე სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთს ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, მთავრობა დაადგენს.

ახალი პროექტის თანახმად დგინდება, რომ სათამაშო აპარატის სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა 10 ათასი ლარი იქნება. ამავე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით, ნებართვები 1 წლის ნაცვლად, 5 წლით გაიცემა.



სათამაშო ბიზნესზე ნებართვა 1 წლის ნაცვლად ხუთი წლით გაიცემა. აქამდე სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა, ტოტალიზატორის მოწყობის, ლოტოსა და ბინგოს მოწყობის და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაიცემოდა 1 წლის ვადით. ახალი პროექტით კი, აღნიშნული ნებართვები 5 წლის ვადით გაიცემა. ახალი ცვლილებების მიხედვით, ამის მიზანი გადასახადის გადამხდელების ხელშეწყობაა, რათა საშუალება მიეცეთ გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა.

ახალი კანონპროექტის ავტორი ფინანსთა სამინისტროა და მისი განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება. დეპუტატების ნაწილი ამ კანონპროექტს ჯერ არ გასცნობია. ვინც კანონპროექტს უკვე გაეცნო, მათ მისი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. საკომიტეტო განხილვების შემდეგ კანონპროექტის განხილვა პლენარულ სხდომაზე მოხდება, რის შემდეგაც ძალაში შევა.

# ნინო ბურჯანაძეს, როგორც ქალს და დედას, თანაგრძნობას ვუცხადებ

**„თანადგომას ვუცხადებ „სახალხო კრებას", მიუხედავად ჩვენ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა იმ საკითხში, სადაც საქმე ეხება ჩვენს ფასეულობებს, ტრადიციებს, მზად ვარ, დავდგე მათ გვერდით,"— ეს განცხადება ირინა სარიშვილმა გუშინ სტუდია „ობიექტივში" გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. სარიშვილის თქმით, ის გაოცებულია ინტელიგენციის ინერტულობით, მისი აზრით, ინტელიგენციამ აუცილებლად უნდა ამოიღოს ხმა.**



შორენა გონგლაძე

— ინტელიგენციას მე არ უნდა ვახსენებდე, რომ ხმა უნდა ამოიღონ, სახალხო კრებაში გარდა პოლიტიკური ფიგურებისა, არიან ძალიან ცნობილი, ძალიან საამაყო ადამიანები, რომლებიც ჩვენ არ უნდა დავტოვოთ მარტო და პირველ რიგში მარტო არადატოვების ვალდებულება აქვს სწორედ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. რაც შეეხება მიმართვას „ხარისხიანი რვიანის“, უფრო სწორად თვრამეტიანის მისამართით. მე მათგან განსხვავებით, ნინო ბრჯანაძის გვერდით და არც ხელისუფლებაში ყოფნისას და არც ოპოზიციაში ყოფნი დროს არ ვმდგარვარ. არასოდეს გამიზიარებია მისი პოზიციები და დღესაც ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხებზე სხვადასხვა აზრი გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ აქციას მე არ ვეთანხმებოდი, როცა დარბევის საშიშროება გაჩნდა, მე როგორც ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე წავედი ამ აქციაზე და დავდექი იმ ხალხთან ერთად რომელსაც არბევდნენ. ხალხის რაოდენობა ხელისუფლებას უკან ვერ დაახევინებდა, მაგრამ პოლიტიკოსთა რაოდენობა რომ ყოფილიყო, იქ მეტი და ხელიუფლებას დაენახა, რომ ამდენი დამხმარე არ ეყოლება განსაკუთრებით დიდი რვიანის წევრი პარტიების სახით, რა თქმა უნდა, იმ ბინძურ ცილისმწამებლურ კამპანიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახალხო კრების მიმართ, ვერ გააკეთებდა. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ განსაკუთრებით ხარისხიანი რვიანის წევრებს, რომ ხელისუფლების ეს პოლიტიკა აუცილებლად შეეხება ძალიან ბევრ მათგანს, მათ არ შეეხება მხოლოდ, ვისაც მომავალ ხელისუფლებაში ადგილებს უმზადებენ საპარლამენტო არჩევნებში ამ ხელისუფლებასთან შერევის გზით. ამიტომ მათთან, ვისთანაც ამ ხელისუფლებას გარიგება ჯერჯერობით არ დაუსრულებია, ისინი მინდა გავაფრთხილო, სანამ ეს შოლტი მათ ხარისხიან ზურგებსაც არ მოხვდება, მანამდე მოუხმონ გონებას, სინდისს და არ დატოვონ განსაცდელში არც „სახალხო კრება“ და არც მთლიანად ის სიტუაცია, რა სიტუაციასაც ჩვენ დღესდღეობით ვუყურებთ. მე ნამდვილად მინდა შეკითხვა დავუსვა ბატონ ალასანიას, რომელი კრიტერიუმით არჩევდა ის ხარისხს და უხარისხობას, მასაც თავის მოყვანილობა ჰქონდა მხედველობაში თუ რაიმე სხვა რამ. მე მინდა მივმართო საზოგადოებას, რომელმაც ასეთი აქტიურობა გამოიჩინა მომხდარი მოვლენების გარშემო, ნუ გარიყავენ ისინი პოლიტიკოსებს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკოსების გარიყვა ავტომატიურად ნიშნავს უკვე სკამზე მჯდომი პოლიტიკოსების ინტერესებში შესვლას. სამოქალაქო საზოგადოებამ სოლიდარობა უნდა გამოუცხადოს ყველა დევნილ, ყველა დარბეულს და მათ შორის ყველა პოლიტიკურ ლიდერს, რომლის მიმართაც დევნა და ცილისმწამებლური კამპანია ხორციელდება, ეს არის უბედურება, რომელიც ყველას კარზე მოაკაკუნებს. — აცხადებს სარიშვილი. მისივე თქმით, საჭიროა შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

— მე არ მინდა, რომ სოლიდარობის მოძრაობა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ცრემლების ღვრით და არ გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. როცა სამოქალაქო საზოგადოება ითხოვს დამნაშავეების დასჯას, მე ვეკითხები სამოქალაქო საზოგადოებას, ვის ვთხოვთ ჩვენ დამნაშავეების დასჯას იმას ვინც ბრძანება გასცა? თუ იმ ელჩებს რომლების სანქციითაც მოხდა ეს ყველაფერი და რომლის მიმართაც ჩვენი სახელოვანი რვიანი არ აკეთებს არანაირ განცხადებას და პირიქით, მიუხედავად ყველაფრისა, მოგვიწოდებენ, რომ თურმე ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების იმედი უნდა გვქონდეს დამნაშავეების დასჯისას. ვინმეს სჯერა, რომ რომელიმე სპეცნაზელი გაბედავდა იმის ჩადენას, მას რომ სრული კარტ ბლანში არ ჰქონოდა ხელისუფლებისგან და ხელისუფლებას კი თავის მხრივ მწვანე შუქი მისცა სწორედ ელჩების განცხადებამ და სააკაშვილიც სწორედ ამ განცხადებას იფარებს წინ. რაც შეეხება ეროვნული მოძრაობის აღორძინების თაობაზე ინფორმაციას, შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური გაერთიანება „იმედი“ ნამდვილი ეროვნულდემოკრატები გამოვიდა ინიციატივით ამ მოძრაობის აღდგენასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე თავს შევიკავებ რაიმე კონკრეტულისგან, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადამიანები დაინტერესდნენ ამ იდეებით, ლაპარაკი არ მაქვს პარტიებზე, ძალიან მალე ჩვენ ალბათ ამის თაობაზე განცხადებას გავაკეთებ, მანამდე კი პირველი ინიციატივა გამოვხატოთ ჩვენ მხარს ვუჭერთ სოლიდარობა პოლიტპატიმრებ აქციას, რომელიც შეეხება ყველა დაზარალებულის მხარდაჭერას, და რაც ჩვენს შესაძლებლობებში იქნება ამ არასამთავრობო ორგანიზაციას გვერდით დავუდგებით. — აცხადებს სარიშვილი, ხოლო კითხვაზე, მისი ნინო ბურჯანაძისადმი დამოკიდებულება ხომ არ არის ქალური სოლიდარობა, სარიშვილის თქმით:

— აქ ბიოლოგიურ ნიშანს მნიშვნელობა არ აქვს. მე მგონი არც მე და არც ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ამ ნიშნით არ ვიმყოფებით პოლიტიკაში, ერთადერთი მომენტი რაც არის, შეიძლება ითქვას, რომ ნინო ბურჯანაძე როგორც ქალი, როგორც დედა გამოჩნდა მთელს ამ პერიპეტიებში და მეც მის მიმართ როგორც ქალის და დედის თანადგომის ბუნებრივი სურვილი და აღშფოთება გამიჩნდა, ეს იყო, როცა მის შვილს აპატიმრებდნენ.

— მომავალში ხომ არ აღმოჩნდებით თქვენ და ნინო ბურჯანაძე ერთ პოლიტიკურ ორბიტაზე, ხომ არ მოხდება თქვენი პოლიტიკური გაერთიანება?

— ეს პოლიტიკური ტერმინოლოგია გაერთიანება, ხელის ჩამორთმევა, ძალიან ნაადრევია, ჯერჯერობით ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის პოზიცია, რომელიც ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გვექნება ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მიმართ რომელიც ებრძვის ამ ხელისუფლებას, არ თამაშობს ამ ხელისუფლებასთან და არ აპირებს უკან დახევას. ამ მომენტამდე ჩვენ შეუძლია ყველამ თავის გვერდით მდგომად ჩაგვთვალოს, რა ფორმით იქნება ეს უკვე სხვა საქმეა. მე პირადად მაქვს ერთი მიზანი, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს თვისობრივად და არა მხოლოდ სახელებით და გვარებით. სახალხო კრების ბოლოდროინდელმა მოქმედებამ, განსაკთრებით დარბევის შემდგომ დამარწმუნა, რომ ამ ადამიანებისთვისაც მთავარი მიზანი არის ეს. ამ მიზანთან დაკავშირებით აბსოლუტურად ყველასთან, ჩვენ შეიძლება კონკრეტულად ამ საკითხში გამოვძებნოთ საერთო ენა.

## საქართველოში მყოფი უცხოელი ექსპერტები გამოსაშვები გამოცდების საბოლოო შედეგებს გაეცნობიან

დღეს ბათუმში ევროპისა და აშშ-ს საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები შედეგებს გამოსაშვები გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო შეხვედრაზე განიხილავენ.

2011 წლის გამოსაშვები გამოცდები 1 ივნისს მათემატიკის გამოცდით დასრულდა.ნაციონალური მასშტაბის გამოცდები 1500-ზე მეტ სკოლაში მიმდინარეობდა. 8 საგანში ტესტირება 47 ათასზე მეტმა მოსწავლემ გაიარა.

მედიანიუსი

## „ევროპული საქართველოსთვის“ გაკეთებულ განცხადებას აპროტესტებენ

საქართველოს სოციალ-დემოკრატები ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენებთან დაკავშირებით ავრცელებენ განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობა, მასთან დაახლოებული ჯგუფები და მედია, ცდილობენ თავისი ქმედებების ლეგიტიმურობა დააფუძნონ საზოგადოებაში იმ აზრის დამკვიდრებაზე, რომ ამგვარი ქმედება და მეთოდები ჩვეული და მიღებულია ევროპაში.

— ეს არის სიმართლის დამახინჯება და ამის საფუძველზე საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება. ჩვენ როგორც ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტია, გამოვხატავთ ჩვენს უაღესად ნეგატიურ დამოკიდებულებას და შეშფოთებას იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფის პოზიციის გამო, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ პროევროპულობაზე და გაერთიანებულნი არიან კოალიციაში ,,ევოპული საქართველოსთვის, — არნიშნულია განცხადებაში.

სოციალ-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ ამგვარი განცხადებები და ასეთი ორგანიზაციები აშორებენ ქვეყანას ევროპისაგან, ახდენენ ჭეშმარიტად დემოკრატიული და ქართველი ხალხისთვის ბუნებრივი ორიენტაციის დისკრედიტაციას.

— გვწამს, რომ მხოლოდ ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჭეშმარიტად ევროპულ ღირებულებებზე დაყდნობით შეძლებს საქართველო, თავიდან აიცილოს იზოლაციისა და მარგინალიზაციის პერსპექტივა, დაადგეს ევროპული ტიპის დემოკრატიული დახელმწიფოს მშენებლობის გზას, — აცხადებენ სოციალ დემოკრატები.

შეგახსენებთ, რომ გუშინ კოალიციამ „ევროპული საქართელოსთვის“ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ „სახალხო კრების“ აქციების მონაწილეებისა და ორგანიზატორების მიმართ გადადგას ადეკვატური ნაბიჯები.

მედიანიუსი

## აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ



აფხაზეთიდან დევნილ ბავშვებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით და ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ორგანიზებით 200-მდე ბავშვი გამოიკვლიეს.

პროფილაქტიკური გასინჯვები ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ექიმ სპეციალისტებმა ჩაატარეს. ღონისძიებას აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამია და აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლექსო ლაგვილავა დაესწრო.

— ჩვენთვის მნიშვნელოვანია პატარებზე ზრუნვა, რადგან ჯანმრთელი მომავალი თაობა არის ჩვენი ქვეყნის სიძლიერე, — განაცხადა გიორგი ბარამიამ.

პროფილაქტიკური გასინჯვების დასრულების შემდეგ ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ ტკბილეული, ბავშვთა კვების პროდუქტები, პირადი ჰიგიენის ნივთები და სათამაშოები.

საჩუქრები უზრუნველყვეს სამინისტროს პარტნიორმა კომპანიებმა: „ჯისი, „ჰუმანა ჯორჯია“, „ჯეოსტარი-მოლფიქსი“, „ალიანსი (ჯონსონ ბეიბი)“, „მეგაკო“, „ფი-ეს-სი“, „ბარამბო“, „ჯიმარტი„.

ინტერპრესნიუსი

## სამოქალაქო რეესტრის თანამშრომლებმა ბავშვთა დასახმარებლად სისხლი გაიღეს



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ და იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლებმა ბავშვთა დასახმარებლად სისხლი გაიღეს.

სამოქალაქო რეესტრის ცნობით, იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე მოქმედმა ,,სისხლის ბანკმა„ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დღეს აქცია დაიწყო.

აქცია, სახელწოდებით - ,,გადაეცი სიცოცხლის უფლება - გაიღე სისხლი!“ ბავშვთა სიცოცხლის დაცვის კვირეულის ფარგლებში მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება.

ნებისმიერ კომპანიას, უმაღლეს სასწავლებელსა და სამთავრობო უწყებას აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს აქციაში, ჩააბაროს სისხლი და დაეხმაროს „სისხლის ბანკს“ კრიზისული სიტუაციების მართვაში.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლები მუდმივად მზად არიან მსგავს აქციებში მიიღონ მონაწილეობა.

— ჩვენი თანამშრომლები რამდენიმე დღის განმავლობაში პერიოდულად გამოცხადდებიან კლინიკაში და ჩააბარებენ სისხლს, რომელიც ინტენსიურად იქნება გამოყენებული საჭიროების შემთხვევაში,— განაცხადა ვაშაძემ.

ინტერპრესნიუსი

## სომხეთის ოპოზიციის ლიდერი მთავრობასთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა

რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, სომხეთის ოპოზიციის ლიდერი ლეონ ტეტ-პეტროსიანი მთავრობასთან მოლაპარაკებების დასაწყებად მზადაა. ამის შესახებ მან გუშინ ერევანში გამართულ ფართომასშტაბიან დემონსტრაციაზე განაცხადა. პეტროსიანმა დედაქალაქის ცენტრში შეკრებილ ათასობით მომიტინგეს პრეზიდენტ სერჟ სარგსიანზე და მისი მთავრობის წევრებზე გამარჯვება ახარა და ხელისუფლებასთან ფორმალური დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოხატა.

— ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა სომხეთის რეალობაში. ჩვენ წარმოვადგინეთ ხელისუფლებასთან დიალოგის კონკრეტული გეგმა, რომელიც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გამართვას ითვალისწინებს, — მიმართა პეტროსიანმა მომიტინგეებს.

მისი თქმით, პრეზიდენტი აქციების შედეგად დათმობაზე წავიდა და აღნიშნული გადაწყვეტილება სამწლიანი ბრძოლის უდიდესი გამარჯვებაა.

ტერ-პეტროსიანმა ქვეყანაში რევოლუციური გზით მოვლენების განვითარებაზე უარი განაცხადა.

— ჩვენთვის დიალოგი არის ერთადერთი და საუკეთესო შესაძლებლობა, რომ გამოვიყვანოთ ქვეყანა კატასტროფიდან. მოლაპარაკებები არის წინაპირობა მთავრობასა და ოპოზიციას შორის ორმხრივი გაგების წარმოქმნის, — დასძინა პეტროსიანმა.

მედიანიუსი

## მომავალი წლის ბოლომდე საქართველოში 150-მდე ახალი კლინიკა მოეწყობა

მომავალი წლის ბოლომდე საქართველოში 150-მდე ახალი კლინიკა მოეწყობა. ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა. მისი თქმით, რამდენიმე თვეში ქვეყანას 60-ზე მეტი ახალი სამედიცინო ობიექტი ექნება. რეგიონებში, ძირითადად, საშუალო ზომის, 15-20, ხოლო ქალაქებში მსხვილი, 70-100-საწოლიანი კლინიკები დაიწყებს ფუნქციონირებას, - აღნიშნა გილაურმა.

პრაიმ-ნიუსი

## უკრაინა აზერბაიჯანიდან ენერგორესურსების მიწოდების ახალ მარშრუტებს განიხილავს

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელიც უკრაინაში აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით ენერგორესურსების მიწოდების ახალი მარშრუტებით უზრუნველყოფს. უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა იური ბოიკომ მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნული ჯგუფის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ცნობისთვის: აღნიშნული გადაწყვეტილება 2010 წლის 28 ოქტომბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის კიევში ვიზიტის დროს მიიღეს.

მედიანიუსი

## ახალშობილთა დაბადების რეგისტრაცია გამარტივდა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმის სამშობიარო სახლს იუსტიციის სახლის წარმომადგენლები ეწვივნენ.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამმართველოს უფროსმა მამუკა სამხარაძემ ახალი სერვისის პრეზენტაცია გამართა - სამედიცინო დაწესებულებების მედპერსონალი ბათუმის იუსტიციის სახლს ახალშობილის დაბადების შესახებ ელექრონული შეტყობინებით აცნობებს. ბათუმის სამშობიარო სახლის თანამშრომელმა მაია ანთიძემ გუშინვე ჟურნალისტების თანდასწრებით ახალშობილის დაბადების ფაქტი ონლაინ დაარეგისტრირა.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები ვალდებული არიან იუსტიციის სახლს ახალშობილის დაბადების შესახებ ყველა ფაქტი ელექტრონული შეტყობინებით აცნობონ, ამის საფუძველზე შემდგომ მოქალაქე სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეძლებს დაბადების მოწმობის მიღებას.

ადრე მოქალაქეს დაბადების მოწმობის მისაღებად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში მისვლა, საბუთების წარდგენა, ანკეტის შევსება უწევდა და მხოლოდ მას შემდეგ იღებდა მოწმობას.

ახალი მომსახურების თანახმად, კი მოქალაქეებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდათ დაბადების მოწმობის მიღება.

**პრაიმ-ნიუსი**

## ლევან სამხარაულის საექსპერტო ბიურო მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს დაეხმარა

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს უნარშეზღუდულ, მიუსაფარ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებს დაეხმარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ბიუროს პრესსამსახურიდან აცნობეს, ბიუროს უფროსი — გიორგი ხიზანიშვილი თანამშრომლებთან ერთად დღის ცენტრ „რწმენას" ეწვია და საკვები პროდუქტებით და ტკბილეულობით დაასაჩუქრა ცენტრში მყოფი ბავშვები. საქველმოქმედო ღონისძიებები გამართეს ასევე ბიუროს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტებმა, კერძოდ, აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტმა ტანსაცმლით უზრუნველყო სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფილიალის ბათუმის ბავშვთა სახლი, ხოლო დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი სსიპ ჭიათურის მე-12 საჯარო სკოლის 33 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელები მოინახულა და სპეციალური ტრენაჟორი და ტკბილეული გადასცა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი თანამშრომლებთან და რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტებთან ერთად აქტიურადაა ჩართული საქველმოქმედო ღონისძიებებში. კერძოდ, ბიუროს თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობაში შემოწირულობის სახით თანხის გაღებით, სხვადასხვა მიუსაფარ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაში; პერიოდულად ბიურო თანამშრომლობს სათნოების სახლ „კათარზის"-თან უმწეო და მიუსაფარ მოხუცებს სადილითა და ტკბილეულობით უმასპინძლდება. ბიურო მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას სამომავლოდაც გეგმავს.

**ინტერპრესნიუსი**

## ავტობუსების გაჩერებებზე ელექტრონული მაჩვენებლების მონტაჟი დაიწყო

თბილისის მერიამ ავტობუსების გაჩერებებზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ელექტრონული მაჩვენებლების მონტაჟი დაიწყო. პირველ ეტაპზე ქალაქში 20 მაჩვენებელი დამონტაჟდა. აგვისტოს ბოლომდე კი მგზავრებით ყველაზე მეტად დატვირთულ 450 გაჩერებაზე მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ზუსტად განსაზღვროს სასურველი მარშრუტის მოსვლის დრო და დროულად გადაადგილდეს.

თბილისის მერმა გიგი უგულავამ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ერთ ერთ გაჩერებაზე დამონტაჟებული ელექტრონული მაჩვენებელი დაათვალიერა და მის მუშაობასა და დროის სიზუსტეს ადგილზე გაეცნო.

გიგი უგულავა: ეს ტაბლოები ონლაინ რეჟიმში მუშაობენ და მგზავებს აბსოლუტური სიზუსტით აწვდიან ინფორმაციას, თუ რამდენ წუთში მოვა მათთვის სასურველი ავტობუსი. ყოველივე ამას დახლოებით იგივე ეფექტი ექნება, რაც შუქნიშნებზე ციფერბლატებისა და წამზომების დაყენებამ მოგვცა. ეხლა სატესტო ვარიანტი ჩაიწერა და ელექტრონული მაჩვენებლები უკვე 20 გაჩერებაზე დამონტაჟდა. აგვისტოს ბოლომდე ქალაქში არსებულ ყველა ძირითად გაჩერებებზე, სადაც რამდენიმე ავტობუსი ერთდროულად მოძრაობს, კიდევ 450 ტაბლო დამონტაჟდება.

**მედიანიუსი**

## ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია გაიხსნა

კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია გაიხსნა. ეკლესია ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა აკურთხა. წირვის შემდეგ ეპისკოპოსმა იქადაგა, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფომაციო ცენტრიდან.

— ჩვენ ყველა თქვენს გვერდში ვართ. მადლობა უფალს დღევანდელი დღისთვის. მე მესმის თქვენი პრობლემები და გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ თქვენი მხარდაჭერისთვის, — აღნიშნა ეპისკოპოსმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 25 აპრილს, მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, კახის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი, მამა ბასილი, ადგილობრივი უშიშროების განყოფილების თანამშრომლებმა საფლავებზე არ გაუშვეს და პარაკლისის გადახდის საშუალება არ მისცეს. კახის მაცხოვრებლების თქმით, წმინდა გიორგის ეკლესია გარედან ნახევრად არის გათეთრებული. უშიშროების თანამშრომლებმა მორჩილები ხარაჩოებიდან ჩამოყარეს.

**მედიანიუსი**

# აქციის დარბევაზე პასუხისმგებლობა ბურჯანაძესაც ეკისრება

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ გიორგი თავდგირიძესთან

***— ბატონო გიორგი, როგორ შეაფასეთ სააკაშვილის მორიგი დარბევის აქცია, ანუ სააკაშვილისეული ვითომ დემოკრატია ხომ შორს წავიდა?***

— რა თქმა უნდა, უარყოფითად შევაფასე. აქ აღშფოთება და შეშფოთება უკვე ზედმეტია. სახელმწიფო, ქართველი ერი ძალიან ცუდად იმართება. ხელისუფლება ძალიან ცუდად მართავს სახელმწიფოს, სახელმწიფოში არის პრობლემები. პრობლემის გადაჭრის გზად ხელისუფლებას არჩეული აქვს ნაჯახის პოლიტიკა.

***— ე.წ. დამოუკიდებლობის დღეს რატომ დაარბიეს და დახოცეს ხალხი?***

— ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე საქართველოს ისტორიაში. ხელისუფლებას შეეძლო დარბევამდე საქმე არ მიეყვანა.

***— მომიტინგეები პარლამენტის წინ მოედანზე არ შეეშვა?***

— არა. მომიტინგეები მოედანზე შეეშვა, მაგრამ ელემენტარულად ადრე გამოექვეყნებინა ჩანაწერები, დამატებით ახსნა-განმარტებები ჩაეტარებინა. ბოლოს და ბოლოს, აღლუმის გადადებაც არ იქნებოდა პრობლემა.

***— ე.ი. თქვენი აზრით, ხელისუფლებისთვის აღლუმის გადადება სჯობდა იმას, რაც მოხდა?***

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, შეიძლება კანონის ფარგლებში ჩატარდა ყველაფერი და, ვთქვათ, გადაცდომები იყო მინიმალური აქციის დაშლასთან შედარებით, აღლუმის გადადება იქნებოდა უპრიანი სიტუაციის გასაჯანსაღებლად. რა მნიშვნელობა აქვს ახლა, ვინ არის მართალი. მთავარია, რომ ხდება დაპირისპირება, ხდება საზოგადოების გახლეჩა. მიუხედავად იმისა, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი, დაზარალებული გამოდის ზოგადად ქართული სახელმწიფო.

მეორე — ჩათვალეთ, რომ მშვენიერი მაქსიმაა — ჰეგელს აქვს ნათქვამი, მირჩევნია ვიყო ჭკვიანი, ვიდრე — მართალი. მან ასეთი მაგალითი მოიყვანა. თუ თქვენი მიმართულებით მოდის მანქანა. თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ სვლა ამ მიმართულებით. თქვენ დაეჯახოთ მას, ან ის დაგეჯახებათ თქვენ და თქვენ უცილობლად მართალი იქნებით, მაგრამ არის მეორე ვარიანტი — თქვენ შეგიძლიათ ოდნავ შეცვალოთ თქვენი გეზი, გაატაროთ მანქანა და ამ შემთხვევაში თქვენ იქნებით ჭკვიანი. იმის თქმა, რომ მართალი ხარ, შეიძლება წამგებიანი იყოს თქვენთვის. ამ შემთხვევაშიც, რაც 26 მაისს მოხდა, ეს იყო „დამადასტურებელი" იმისა, რომ ხელისუფლება არის პრინციპული, რომ ხელისუფლება უკან არ დაიხევს, მაგრამ ეს არ არის ბრძნული გადაწყვეტილება...

***— ხელისუფლება პრინციპულია თავის მოქალაქეებთან, თორემ ოკუპანტებთან როგორიც არის, გორში დავინახეთ — გაქცეული.***

— ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ აქციის დაშლაზე. აქციის დაშლა ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესის დასამტკიცებლად განხორციელებული აქცია. დარბევა მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესში შედიოდა, ისევე, როგორც აღლუმის ჩაშლა მხოლოდ იმ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესში შედიოდა, ვინც ხელმძღვანელობდა რევოლუციურ ძალებს. პოლიტიკოსი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, თუ რა პოზიცია აქვს, რა ხდება და რის მიღწევა შეუძლია. გარკვეული ბრძოლა შეიძლება, მაგრამ პოლიტიკაში უკომპრომისო ბრძოლა, არასოდეს უკან არ დავიხევ და ა.შ, რაღაც პოლიტიკურად არ ჟღერს. ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შეიძლება მტრის წინააღმდეგ, როცა შენს მოქალაქეებს მოძალადეებისგან იცავ, მაგრამ პოლიტიკაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ერთი ნაბიჯით უკან არ დავიხევ, პოლიტიკურად არ ჟღერს. აქედან გამომდინარე, ბურჯანაძეს უნდა დაენახა, რომ არ ჰყავს მომხრეების ის რაოდენობა, რომლებიც შეძლებენ პრობლემის გარეშე ხელი შეუშალონ ხელისუფლებას. ბურჯანაძეს რომ ჰყოლოდა რამდენიმე ათასი ადამიანი, ხელისუფლება მათ დარბევას ვერ შეძლებდა, ან არ შეეცდებოდა მათ დარბევას. ამ შემთხვევაში ის იზეიმებდა პოლიტიკურ გამარჯვებას, მაგრამ პოლიტიკური გამარჯვების საფუძველი იქნებოდა რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის დარწმუნება იმაში, რომ მისი პოლიტიკური გათვლები არის სწორი და მისი პოლიტიკური მიზნები ქვეყნისთვის სასარგებლოა. რასაკვირველია, თუკი ის ამას შეძლებდა. ბურჯანაძემ და მისმა მომხრეებმა ეს ვერ მოახერხეს. მათ არ აუწყეს ხალხს, რას გეგმავდნენ, როგორ აპირებდნენ მის განხორციელებას, რა გზებს გამოიყენებდნენ მათი გეგმების შესრულებისთვის. ბურჯანაძემ შეძლო რამდენიმე ასეული ადამიანის მობილიზება.



***— ბატონო გიორგი, საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ამ ხელისუფლებისთვის და სააკაშვილისთვის 100 ათასი კაცი რომ გამოვიდა, არაფერს ნიშნავდა, ნახევარი მილიონი კაცი რომ გამოვიდა, ისიც არაფერს ნიშნავდა. ბერჯანაძეს რამდენი ათასი კაციც არ უნდა მოეყვანა აქციაზე, ხელისუფლება მაინც არ გაითვალისწინებდა.***

— ჩვენ ვარკვევთ ტექნიკურ დეტალებს — პოლიტიკოსი პოლიტიკურ ნაბიჯებს რომ დგამს, მან იცის, რა რაოდენობის მხარდამჭერებით რისი მიღწევაა შესაძლებელი. მე რომ ერთი ბატალიონით ჩინეთის დაპყრობა დავგეგმო, ეს იქნება ავანტიურა. დაახლოებით ასეა ბურჯანაძის ქცევა. მას რომ ჰყოლოდა ასეულ ათასობით მხარდამჭერი, შეეძლო ეფიქრა ხელისუფლებასთან დაძაბულობაზე. როცა შენ გყავს რამდენომე ასეული მხარდამჭერი, ამ ასეულით ხელისუფლებას დაძაბულობას ვერ შეუქმნი, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ უნდა შეუქმნა. მით უმეტეს, როცა ისინი ბოლომდე შენი ერთგულები არიან. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დიდწილად ბურჯანაძეს ეკისრება. თუმცა, პასუხისმგებლობა არა მარტო ბურჯანაძეს, არამდე იმ ადამიანებსაც, რომლებიც მის გვერდით იყვნენ.

***— თქვენ ბრძანეთ, ხელისუფლებას ჩანაწერები ადრე უნდა გამოექვეყნებინაო. შეიძლება ახლა გამოქვეყნებული ჩანაწერები ნამდვილია, მაგრამ ხალხს ამის არ სჯერა. ძალიან დიდი ალბათობაა, რომ შს სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ჩანაწერი იყოს დამონტაჟებული, ყალბი. ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება, როდესაც, მაგალითად, პატარკაციშვილზე ხელისუფლების გამოქვეყნებული ჩანაწერები სულ სხვა იყო, შემდეგ გაზეთებმა სრული ჩანაწერი რომ გამოაქვეყნეს, სრულიად განსხვავებული საუბარი იყო. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ჩანაწერები ადრეც რომ გამოექვეყნებინა, ხალხი დაიჯერებდა? ხელისუფლებას ხომ ხალხი აღარ უჯერებს, თუნდაც მართალი იყოს.***

— ეს ცალკე პრობლემაა. ამ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლებაზე, მას აქვს არა მხოლოდ ერთ შეცდომა, არამედ შეცდომების მთელ ჯაჭვი. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა თავიდან ბოლომდე ეკისრება ხელისუფლებას. შეიძლება ხელისუფლებამ დაგვიდოს რაღაც კოეფიციენტები და ციფრები, მაგრამ ჩვენ ხომ რეალურად ვიცით, რა სიტუაციაა — ჩავიხედოთ ჩვენს ჯიბეებში, გადავხედოთ ჩვენ გვერდით მყოფ ადამიანებს. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან შორს არის განვითარების რეჟიმისაგან. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვვითარდებით და სტაგნაცია გვაქვს. ერთი-ორი ქართველი ოლიგარქი მდიდრდება, მაგრამ ქვეყანაში არ იქმნება დოვლათი, ქვეყანაში არ იქმნება ახალი პოლიტიკური რეალობები, ქვეყანაში არ იქმნება მძლავრი ინსტიტუტები და ა.შ. ავიღოთ დედა-შვილის საუბარი. საბოლოო ჯამში, ჩანაწერი ფანატიკურად განწყობილი ადამიანების გარკვეულ წრეზე იმოქმედებდა. ფალსიფიცირებულია თუ არა, არ მაინტერესებს, იქ არის კერძო საუბარი. მათ შეეძლოთ ნებისმიერი ვარიანტი განეხილათ. ეს არავის საქმე არ არის, მაგრამ თუ ხელისუფლებას უნდა, ამ ჩანაწერით მორალური მხარე უნდა მაჩვენოს, ამ ჩანაწერით ბურჯანაძეს დამატებით არაფერი აკლდება...

***— დიახ, მთელმა ქვეყანამ ნახა, ბურჯანაძე პუტინის გვერდით იდგა და ვისთვისაც ეს ფაქტორი იყო, გაითვალისწინებდა.***

— როგორც პოლიტიკოსს, ჰქონდა გარკვეული შეცდომები და დამატებით მტკიცებულება საჭირო არ იყო...

***— ის არასოდეს არ მალავდა რუსეთისადმი მის დამოკიდებულებას...***

— მეორე მხრივ, არანაირი ფალსიფიცირებული ჩანაწერი არ იყო, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გამოდიოდა. რა ტექსტიც სააკაშვილმა წაიკითხა, იმ ერთ პატარა გამოსვლაში უამრავი ტყუილი თქვა. მათ შორის, თითქოს ჩვენი ჯარი არის განვითარების უმაღლეს საფეხურზე და ა.შ.

***— ქართული წარმოების ახალი მოდელის მძიმე ტექნიკა რომ წარმოადგინა, არ მოგეწონათ?***

— ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. თუ მორალზე ვისაუბრებთ, ფარული ჩანაწერების გარეშეც არცთუ მაღალი წარმოდგენა გვაქვს ხელისუფლებაში მოსული პირების მორალსა და ზნეობაზე. ამიტომ ამაზე აქცენტის გაკეთება, ცოტა კომიკურია. პიარი და, მით უმეტეს, აგრესიული პიარი საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე მოქმედებს. საქართველოში პოლიტიკურად აქტიური ადამიანების დიდი რაოდენობა კომფორმისტია და მას სჭირდება გამამართლებელი საბუთი. ამიტომ ისინი ამ ჩანაწერებს არ ჩაეჭიდებიან, დაგმობენ და იტყვიან, რომ ფალსიფიცირებული იყო. თუმცა, განაცხადებენ, რომ მათ იცოდნენ, ყველაფერი ასე იქნებოდა და იმიტომ არ ღებულობდნენ მონაწილეობას.

ახლა შევეხოთ ოპოზიციის მთლიანი სპექტრის პასუხისმგებლობის საკითხს. პილატეს მთელი დანაშაული ის იყო, რომ მან ხელი დაიბანა — რაკი თქვენ გინდათ, ქრისტე დასაჯოთ, დასაჯეთო.

***— ანუ ოპოზიციის დანაშაული ის არის, რომ „ხელები დაიბანა"?***

— რა თქმა უნდა. ოპოზიცია გამოვიდა და გარკვევით გვითხრა, რომ ასეთ პროცესებში ჩართვა ეზარება, დაიღალა, კმაყოფილია იმით, სადაც არის, ანუ რა ჭაობშიც ვარ, იქ ვარ და ხელები დამიბანიაო. თუმცა, თავისთვის დაიტოვეს პატარა ნაბიჯები განცხადებებისთვის — ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ეს ასე იქნებოდაო, მაგრამ პოლიტიკოსი მუდმივად უნდა იყოს აქტიური, ყველა პოლიტიკურ პროცესს უნდა კითხულობდეს და ყველა პოლიტიკურ პროცესში უნდა იყოს ჩართული პირდაპირ თუ ირიბად. ამ პროცესში ჩართვა არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი მაინცდამაინც აქციაზე მისულიყვნენ და ბურჯანაძის გვერდით დამდგარიყვნენ. უბრალოდ, ოპოზიციას ეს პოლიტიკური პროცესი გაეპარა. ჩანს, მათ პოლიტიკის ანბანური ჭაშმარიტებები არ ესმით. აქედან გამომდინარე, ისინი პოლიტიკოსები ვერ არიან. ეს დაახლოებით ისეა, ადამიანი თავს რომ დებს, წაკითხული მაქვს რაღაც ნაწარმოებებიო და აღმოჩნდება, თურმე კითხვა არ იცის. ჩვენი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები დაახლოებით ამ დღეში აღმოჩნდნენ იმიტომ, რომ მათ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები თვალთახედვის არედან გამოეპარათ.

# „წლის საუკეთესო მოთხრობის“ ავტორები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ „წლის საუკეთესო მოთხრობის“ ავტორები დააჯილდოვა. ამ ლიტერატურულ პრემიას გამომცემლობა იმ ადამიანებს ანიჭებს, ვისი მოთხრობაც ყველაზე საუკეთესოა. პირველი ლიტერატურული პრემია ზურაბ ლეჟავას გადაეცა, მან ფულადი ჯილდო — 1000 ლარი მიიღო. მას ჯილდო პირადად ბაკურ სულაკაურმა გადასცა. მეორე ლიტერატურული პრემიის მფლობელი თეონა დოლენჯაშვილი გახდა, მან ფულადი პრემია — 500 ლარი მიიღო. მესამე ლიტერატული პრემია კი — 300 ლარი ირმა ტაველიძეს გადაეცა. გასულ წელს საუკეთესო მოთხრობის ავტორი მიშა ბახსოლიანი გახდა. იგი წელსაც შევა საუკეთესო მოთხრობათა კრებულში. მიშა ბახსოლიანმა სადებიუტო წიგნი გასულ წელს გამოუშვა. მოთხრობების კრებული „ყველას უყვარს მარი“ გამომცემლობა დიოგენემ ლიტერატურულ პრემია საბაზე წლის საუკეთესო დებიუტის ნომინაციაში წარადგინა.

თეატრისა და კინოს სახელწიფო უნივერსიტეტის ფოიეში კი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული უნიკალური წიგნები და პერიოდული გამოცემები (რარიტეტი) გამოიფინა. გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნები თარიღდება XVI-XX საუკუნეებით და მათი დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

უკვე წლებია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წლის მანძილზე ინტერნეტში თუ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მოთხრობებს ერთ წიგნად გამოსცემს. კრებულის პრეზენტაცია კი აპრილის თვეში წიგნის ფესტივალზე იმართება. საუკეთესო მოთხრობებს თავად გამომცემლობა არჩევს.

გამომცემლობის გადაწყვეტილებით, სამი საპრიზო ადგილის გარდა, პრიზები სხვა მოთხრობების ავტორებსაც შეხვდათ. მათ შორის ერთ გამარჯვებულს ინტერნეტ მომხმარებელი არჩევს. ლიტერატურულ საიტზე „ლიტერატურა.ჯი“ წარდგენილ 15 ავტორს შორის არჩევანს საიტის მომხმარებელი თავად გააკეთებს.

წლევანდელ 15 საუკეთესო მოთხრობათა შორის რამდენიმე ავტორი პირველად მოხვდა. მათ შორის არიან ალეკო ცქიტიშვილი, მარინა ელბაქიძე და ჯაბა ზარქუა. ჯაბა ზარქუა 23 წლისაა, მას პირადი კრებული ჯერ არ აქვს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა მისი პირველი წიგნის დაბეჭდვას მომავალში აპირებს.

კრებულშია ცნობილი მწერლების მოთხრობებიც. მათ შორის ლაშა ბუღაძის „ერთზე მეტი ორზე ნაკლები“, ასევე, ლიტერატურული კონკურსის „წერო“ გამარჯვებული მოთხრობა „ბავშვობა როგორც სინამდვილეში“.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ 2010 წელს დაწერილ საუკეთესო 15 მოთხრობათა კრებულში გაერთიანებულია — მიშა ბახსოლიანი „დიდი რამე“, მარი ბექაური „ბავშვობა, როგორც სინამდვილეშია“, ლაშა ბუღაძე „ერთზე მეტი, ორზე ნაკლები“, თეონა დოლენჯაშვილი „რეალური არსებები“, მარინა ელბაქიძე „ნატაშა“, ჯაბა ზარქუა „ლაბორატორია: „კანდიდო“, ზურა ლეჟავა „უხურდავებელი მონეტა“, გურამ მეგრელიშვილი „ადამიანის ქალაქი“, რატი რატიანი „მოშეს ხალხი“, ირმა ტაველიძე „გორის ციხე“, ნინო ტეფნაძე „კურდღლები“, დათო ქარდავა „მარტოობის ევქარისტია“, დავით ქართველიშვილი „3:1“, ალეკო ცქიტიშვილი „მთაზე ასვლა“ და ბესო ხვედელიძე „სიკვდილის ბორბალი“.

წიგნი „15 საუკეთესო მოთხრობა“ წელს მერვედ გამოიცა და მასში შესულია 2010 წელს პერიოდულ პრესაში და ლიტერატურულ კრებულებში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო მოთხრობა.

როგორც გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა განაცხადა, ლიტერატურული პრემიის იდეა თავდაპირველად მის თანამშრომელს ეკუთვნოდა, ხოლო წიგნის „15 საუკეთესო მოთხრობა“ სახელწოდება კი გასული საუკუნის 90-იანი წლებში გამოცემული ერთ-ერთი წიგნის „10 საუკეთესო ნაწარმოების“ თითქმის ანალოგია.

საჩუქრები გადაეცათ ასევე წიგნში „15 საუკეთესო მოთხრობა“ შესული მოთხრობების სხვა ავტორებსაც. დაჯილდოვდნენ ლაშა ბუღაძე, რატი რატიანი, მარი ბექაური, მარინა ელბაქიძე.

— ანთოლოგიის „15 საუკეთესო მოთხრობის“ გამოცემა 10 წლის წინ დავიწყეთ. შემდეგ წიგნის ყოველ ფესტივალზე საუკეთესო მოთხრობის ავტორების დაჯილდოვების ტრადიცია ჩამოყალიბდა. ძალიან სასიხარულოა ერთი ფაქტი — წელს მომრავლდა მდედრობითი სქესის ავტორთა რიცხვი, ასევე გაახალგაზრდავდა მათი ასაკიც, — განაცხადა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დირექტორმა თინათინ მამულაშვილმა.

დაჯილდოვების ცერემონიალზე საკუთარი ფავორიტი გამოავლინა კომპანია „ჯეოსელმაც“. კომპანიის რჩეული ახალგაზრდა ავტორი ნიკუშა ანთაძე გახდა. ინტერნეტ რჩეულის ჯილდო კი ახალგაზრდა შემოქმედმა ჯაბა ზარქუამ მიიღო.

# იპოდრომზე მუსიკალური ფესტივალი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

11 და 12 ივნისს თბილისში ალტერ ვიჟენ გრუპის ორგანიზებით მუსიკალური ფესტივალი „ოპენ აირ 2011“ ჩატარდება. როგორც ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი იპოდრომის ტერიტორიაზე გაიმართება.

„მუსიკა ათავისუფლებს“ — ასეთია ორდღიანი დღესასწაულის სახელწოდება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მუსიკოსები და ბენდები. იპოდრომზე საგანგებოდ მოეწყობა საფესტივალო ქალაქი, სადაც დიდ სცენაზე, ორი დღის განმავლობაში 16 მუსიკალური ბენდი გამოვა, მათგან 10 ბენდი და სალომე კორკოტაშვილი საქართველოდან იქნებიან. თბილისში უკვე ელოდებიან სტუმრებს საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან. ორივე საფესტივალო დღეს დაასრულებენ ცნობილი დიჯეები.

ალტერ ვიჟენ გრუპი პროფესიონალთა გუნდია, რომელიც მუშაობს ისეთ სფეროებში, როგორიცაა პრომოუშენი, კონცერტების და ფესტივალების ორგანიზება, მენეჯმენტი,ხმის ჩაწერა და პროდიუსირება, ბრენდის შექმნა და დიზაინი. მის წარმომადგენლებს დიდი გამოცდილება აქვთ მარკეტინიგის, ადგილობრივ და უცხოურ მედიასთან ურთიერთობის, ბრენდინგისა და დიზაინის სფეროში. ალტერ ვიჟენ გრუპს ჩატარებული აქვს რამდენიმე გახმაურებული პროექტი, მათ შორის ევროვიზიის კონცერტები.

**ვახო ბაბუნაშვილი, მუსიკოსი, ფესტივალის ორგანიზატორი:**

— ფესტივალის ფარგლებში, ცნობილი ევროპული ფესტივალების გამოცდილებაზე დაყრდნობით აშენებული საფესტივალო ქალაქი, სრულყოფილი და გამორჩეულად ორიგინალური კონცეფციის მატარებელი იქნება იმ ადამიანებისათვის, ვისაც აინტერესებს არა მხოლოდ თანამედროვე მუსიკალური ტრენდები, არამედ თანამედროვე არტის სხვა გამორჩეული ნიმუშები.

***— როდის დაიწყებთ საფესტივალო ქალაქის მშენებლობას?***

— თავისი მასშტაბებით და შინაარსით გამორჩეული საფესტივალო ქალაქის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიწყება. ეს იქნება ადგილი, სადაც შემოსულ ადამიანს გასვლა აღარ მოუნდება. აქ მოსულ ადამიანებს დახვდებათ ყველაფერი — სასმელი, საჭმელი, რაც მთავარია, კარგი მუსიკა და სუფთა ჰაერი. იპოდრომზე გართობის და თანამედროვე არტის მოყვარულები გაერთიანდებიან.

***— ფესტივალზე დასწრება ისევ უფასო იქნება?***

— არა. ამჯერად ჩვენს ფესტივალზე დასწრება თავისუფალი აღარ არის. ვეცადეთ მინიმალური ფასი დაგვედო ამ ღონისძიებისთვის, ამიტომ ბილეთის ფასი ნამდვილად მცირეა და ის 5 ლარი ღირს.

**აჩიკო გულედანი, მუსიკოსი, ფესტივალის ორგანიზატორი:**

— მოხარულები ვართ, რომ წელს ჩვენს ღონისძიებას „ბრავო რეკორდსის“ ხმის ჩამწერი სტუდიაც აქტიურად უჭერს მხარს. ეს ერთობლივი ძალისხმევა განსაკუთრებით სასარგებლო იქნება, როგორც საფესტივალო, ისე გემოვნებიანი მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებისათვის. ჩვენი ფესტივალი პირველად 2009 წელს ჩატარდა და მან განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მედიის მხრიდან. ფესტივალის ფარგლებში წარმოჩენილი ქართული ბენდების ნაწილმა კი ხელშეკრულება გააფორმა წარმატებულ ევროპულ ლეიბლებთან. ფესტივალი, კვლავ ინარჩუნებს გლობალური ღონისძიების სახელს და მისით დაინტერესება საერთაშორისო მუსიკალურ საზოგადოებაში განსაკუთრებით მაღალია.

***— რით არის გამორჩეული თქვენი ფესტივალი?***

— ეს არის ერთადერთი მასშტაბის და მუსიკალური შინაარსის ფესტივალი, რომელიც ყველასგან გამორჩეულია. მას აქვს მძაფრი დრაივი, ჩვენი მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს დრაივი წელსაც საკმაოდ მაღალი და ხარისხიანი იყოს. წელს „ოპენ აირ ფესტივალს“ ახალი სპონსორი „ნატახტარი“ შემოუერთდა. სლოგანი „განიქარვე“ განსაკუთრებით უხდება იმ განწყობას, რაც 11 და 12 ივნისს იქნება იპოდრომის ტერიტორიაზე. საერთაშორისო სტანდარტებით შექმნილი ფესტივალი განსაკუთრებით სასიამოვნო დროის გატარებას ჰპირდება სტუმრებს.

# პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

ეკა ირემაშვილი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-მთიანეთის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მომავალ ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

3 ივნისიდან 5 მაისამდე საქართველოს პატრიარქის მომავალ ნათლულთა რეგისტრაცია საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში“ იწარმოებს. ნებისმიერმა მსურველმა რეგისტარციისთვის „ლაზარეში“ საჭირო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება ჩვილთა რიგით მე-18 საყოველთაო ნათლობა. ბოლო საჯარო ნათლობა კი 15 მაისს სამების საკათედრო ტაძარში შედგა, სადაც ილია მეორე 650 ბავშვის ნათლია გახდა. ამჟამად საქართველოს პატრიარქს 8.700 ნათლული ჰყავს. ამ ინიციატივით მისი უწმინდესობა 2008 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე გამოვიდა, როცა განაცხადა, რომ საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების მიზნით, მშობლების თანხმობის შემთხვევაში ჯვარდაწერილი ოჯახის ყოველი მესამე და მომდევნო ბავშვის ნათლია გახდებოდა. საქართველოს პატრიარქმა ისიც ბრძანა, რომ ყოველ მეოთხე ბავშვსაც თავად მონათლავს და მას ქართული ეკლესიის მცველის ტიტულს მიანიჭებს.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# „დინამო“ „ბარსელონას“ სტრატეგიული გზით იწყებს

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ, გუნდის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ და გენერალურმა დირექტორმა ზურაბ პოლოლიკაშვილმა გუშინ სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ ახალი მწვრთნელი წარადგინა.

41 წლის ალექს გარსია „დინამოსთან“ 2 პლუს 1 სისტემით კონტრაქტით ითანამშრომლებს. გარსია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ქვეყნის, მსოფლიოს საუკეთესო კლუბის, „ბარსელონას“ წარმომადგენელია.

2007-09 წლებში გარსია ბარსელონას „ჟუვენილ ა“-ს გუნდს ავარჯიშებდა და 3-ჯერ გახადა ესპანეთის ჩემპიონი მის ხელში გაუვლია ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან ლეო მესი, სესკ ფაბრეგასი, პიკე, ბუსკეტსი და პედრო.ბოლო პერიოდში გარსია „ბარსელონას“ ტექნიკურ დეპარტამენტში მუშაობდა.

რომან ფიფიამ წარდგენა ხუმრობით დაიწყო — პრესაში ბევრი იწერებოდა „დინამოში“ მეგრელები მომრავლდნენ და კიდევ ერთი მათგანი მოვიყვანეთ, მხოლოდ კატალონიელი ალექს გარსიაო, რომელიც მალე შეუდგება „დინამოში“ მუშაობასო.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— ამ სპეციალისტთან დაკავშირებით ინფორმაცია ყველას გაქვთ, ამიტომ მასზე არ შევჩერდები. გეტყვით იმასაც, რომ სამშაბათს კიდევ ორი მწვრთნელი ჩამოვა ესპანეთიდან — ერთი იქნება ფიზმომზადების, ხოლო მეორე ბავშვთა აკადემიას მიხედავს. „ბარსელონაში“ არსებული დღევანდელი მეთოდები 90-იანი წლების დასაწყისში იოჰან კრუიფმა შეიტანა და მის კოპირებას ბევრი კლუბი ცდილობს. ჩვენც ამიტომ გადავწყვიტეთ სამწვრთნელო შტაბი ერთიანი ყოფილიყო. მართალია, სახელები შეიძლება ტოპმწვრთნელების არ იყოს, მაგრამ ყველაფერს დეტალურად იცნობენ და სამწვრთნელო გამოცდილების გარდა, მენეჯმენტშიც უმუშავიათ.

**ალექს გარსია:**

— მადლობა, რომ „დინამოს“ მწვრთნელობა შემომთავაზეს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ კლუბს ძველი დიდება დავუბრუნო. ბავშვობიდან მახსოვს ამ გუნდის წარმატებები. ამ ეტაპზე ტიტულებს ვერ დაგპირდებით, მაგრამ გპირდებით დიდ შრომას ჩავდებთ და მოხარული ვიქნები, თუ მაყურებელი სტადიონზე „დინამოს“ მატჩების სანახავად ივლის.

როგორც ირკვევა, გარსია ტიტულების მოპოვებაში ევროსარბიელს გულისხმობდა. ცხადია, შინაურ ჩემპიონატში „დინამოს“ მიზანი პირველობა იქნება — მეტიც, მომავალ სეზონში დუბლის გაკეტება იგეგმება. თუ როგორ, ამის პასუხი უკვე პრესკონფერენციაზე დასმულ კითხვებს მოჰყვა.

— „ბარსელონაში“ ბავშვებთან გიწევდათ მუშაობა, ახლა გაცილებით ზრდასრულ ფეხბურთელებთან მოგიწევთ. რამე განსხვავებას ხედავთ?

— ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. ყველა ფეხბურთელია და ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

— თქვენს ხელში ბევრ ცნობილ ფეხბურთელს გაუვლია.

— დიახ. ვავარჯიშებდი ახალგაზრდულ გუნდს, სადაც გაიზარდნენ ფაბრეგასი, მესი, პიკე, ბუსკეტსი, პედრო... ვეცდები მსგავსი სტრუქტურა „დინამოშიც“ ჩამოვაყალიბოთ და ეს იქნება გზა, რომლითაც ვაპირებთ წინსვლას.

— რა თანხა იქნება ტრანსფერებზე გამოყოფილი?

**რომან ფიფია:**

— ამას ამ ეტაპზე კონრეტულად ვერ გეტყვით, რადგან ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. გააჩნია, რას მოითხოვს გარსია, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდაა. ცხადია, ლეგიონერები გუნდს გააძლიერებენ, მაგრამ ისინი მალევე დაბრუნდებიან უკან, ხოლო მანამდე ახალგაზრდა ფეხბურთელებს გზას დაუბლოკავენ. ჩვენ 1-2 წლიან პერსპექტივაზე არ ვფიქრობთ.

— ხომ არ გაქვთ გეგმაში უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების „დინამოში“ დაბრუნებას?

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— გვქონდა მოლაპარაკებები რამდენიმე მათგანთან, მაგრამ ნაჩქარები გადაწყვეტილება არ მივიღეთ. ამასთან, ბევრ სირთულეებს წავაწყდით, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ჩემპიონატის დონით, რომელიც მათ არ აკმაყოფილებს. თუმცა, რამდენიმე მათგანის ჩამოყვანაზე ისევ ვმუშაობთ. ერთია, ძირითადი აქცენტი მაინც ახალგაზრდებზე გაკეთდება.

— უახლოესი გეგმებში რა შედის? როგორც ვიცით, თანამშრომლობას მადრიდის „ატლეტიკოსთანაც“ აპირებდით და ბარსელონელების ჩამოყვანით ეს პროექტი ისევ აქტუალური დარჩება?

— 16-17-18 ივნისს ჩვენთან „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ჩამოვა. გვაქვს საინტერესო პროექტები და შევეცდებით ყველა რესურსი გამოვიყენოთ. მანამდე გუნდი ავსტრია□სლოვენიაში გაემგზავრება შეკრებაზე და 4 საკონტროლო მატჩს გამართავს. დავიწყებთ ავსტრიის მეორე ლიგის გუნდით და შემდეგ სლოვენიურ „მარიბორს“, ხორვატულ „ვარტექსსა“ და ავსტრიულ „შტურმს“ ვეთამაშებით. შეკრება 7 ივნისს დაიწყება და 23-ში დამთავრდება. ამასობაში ცნობილი გახდება ჩვენი პირველი მეტოქე ევროპის ლიგაზე და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

— ბატონო ალექსს, თუ იცით რამე საქართველოს ჩემპიონატის დონეზე და რა წარმოდგენა გაქვთ?

— ვიცი ის, რომ ბოლო სეზონში ჩემპიონატში რამდენიმე ფინანსურად ძლიერი გუნდი გამოჩნდა და კონკურენცია გაიზარდა. ამიტომ ჩვენი მიზანია ახალი სეზონისთვის მაქსიმალურად მოვემზადოთ.

# *დავით კვირკველია:* „ხორვატებს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ბერძნები — გვიფრთხიან“

**დავით კვირკველია ეროვნული ნაკრების შეკრებაზეა გამო ახებული. ბერ ნული „პანიონიოსის“ ფეხბურთელმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და წარბზე რამდენიმე ნაკერი დაადეს, თუმცა საშიში არაფერი აღმოჩნდა. კვირკველია ეროვნულ გუნდთან ერთად ვარჯიშს ჩვეულ რიტმში აგრ ელებს და ხორვატია-საქართველოს ხვალინდელი მატჩისთვის ჩვეულად ემზადება.**



კვრიკველიას ხორვატიაში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ.

***— საბერძნეთსა და ახალ კლუბს როგორ შეეწყვეთ?***

— ადაპტაცია არ გამჭირვებია, რადგან ძალიან მეგობრული გუნდი დამხვდა. ისე კარგად მიმიღეს, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. მეგონა სადღაც ოჯახში მოვხვდი, ასეთი რამ იშვიათად მინახავს.

***— „პანიონიოსი“ საბერძნეთის სუპერლიგაში მე-10 ადგილზე გავიდა. როგორ ფიქრობთ, გუნდს მეტი პოტენციალი არ ჰქონდა?***

— ჩემი მისვლისას გუნდი გასავარდნ ზონაში, მეთოთხმეტე ადგილზე იყო. აქედან გამომდინარე, მეათე ადგილი ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თანაც ჩემპიონატის დასკვნითი ნაწილი ძალიან კარგად ვითამაშეთ — ბოლო 7 ტური არ წაგვიგია. საერთოდ კი, მეათე ადგილით კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნებით, ალბათ, მეტიც შეგვეძლო.

***— საბერძნეთის ჩემპიონატი ძალიან ადრე, 17 აპრილს დასრულდა, ფორმის შენარჩუნება თუ მოახერხეთ?***

— ჩვენ არ გავჩერებულვართ, ვვარჯიშობთ და ამხანაგურ შეხვედრებს ვატარებთ, ასე რომ, ფორმა არ დაგვიკარგავს.

***— “პანიონიოსში“ რა პოზიციაზე გათამაშებენ?***

— დაცვაში, ნახევარდაცვაში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საყრდენადაც კი.

***— საყრდენ ნახევარმცველობას მწვრთნელი ხშირად გავალებს?***

— ეს იძულებითი გადაადგილება ორჯერ მოხდა, რადგან ჩვენი ორი ნახევარმცველი დისკვალიფიცირებული იყო და მწვრთნელმა პოზიცია შემიცვალა. უმთავრესად, ფლანგზე მაყენებს.

***— ყაზანის „რუბინში“ სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ გქონდათ, რაც ძალიან ცუდად დაგეტყოთ ნაკრების თამაშების დროს. ფორმა თუ აღიდგინეთ?***

— უთამაშებლობის პერიოდში ნაკრებში ჩემი გამოსვლით თავადაც უკმაყოფილო ვიყავი, ვგრძნობდი, რომ მეტი შემეძლო, მაგრამ სასურველ კონდიციებში არ ვიყავი. ასეთ დროს სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენა ძალიან ძნელია. ახლა კი, რა თქმა უნდა, სათამაშო პრაქტიკამ მიშველა. ეგაა, თავიდან ვერც საბერძნეთში ვთამაშობდი, რადგან სატრანსფერო ფურცლის გამო პრობლემა შემექმნა. ფიფას წესდებით, სეზონში 3 კლუბთან კონტრაქტის გაფორმება არ შეიძლება, მე კი გასულ სეზონში ყაზანის „რუბინმა“ მახაჩყალის „ანჟიში“ გამანათხოვრა, შემდეგ დავუბრუნდი და მეგონა, რუსეთში სეზონის დასრულებასთან ერთად ლიმიტის ვადაც დასრულდა. ამიტომ საბერძნეთში დაუფიქრებლად წავედი, მაგრამ „პანიონიოსში“ გადასვლა მესამე ტრანსფერად ჩამითვალეს და თამაშის უფლება არ მომცეს. მხოლოდ სამი ტურის შემდეგ მივიღე სატრანსფერო ფურცელი. არადა, ამ დროს ქართულ პრესაში ხშირად იწერებოდა, თითქოს არ მათამაშებდნენ. უბრალოდ, ვერ მათამაშებდნენ. ამის შემდეგ სულ ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი, თანაც 90 წუთი და ფორმაც აღვიდგინე.

***— საბერძნეთისა და რუსეთის ჩემპიონატებს შორის დიდი განსხვავებაა?***

— საკამოდ დიდი, რადგან რუსებმა ბოლო წლებში ფეხბურთში იმხელა ფული ჩადეს, ბერძნებს კი არა, სხვა ბევრ ქვეყანას გაუსწრეს და დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა აქვთ. რუსეთის წლევანდელი პრემიერლიგაც ისე დაიწყო, ველარ გაიგებ, ვინ ლიდერია, ვინ — აუტსაიდერი. თუნდაც ის რად ღირს, რომ რუსებისთვის მაღალი კლასის ფეხბურთელების მიწვევა უკვე ჩვეული ამბავია, ბერძნებს ინფრასტრუქტურითაც ჯობნიან. საბერძნეთში კი ორი გამოკვეთილი ლიდერია, „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“, ზოგჯერ მათ აეკ-ი თუ შეებრძოლება, თორემ ყველამ წინასწარ იცის, რომ ჩემპიონი მათ შორის ერთ-ერთი გახდება.

***— საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვანი შეხვედრისთვის ემზადება. რას ფიქრობ მატჩზე და ჩვენს შანსებზე?***

— ხორვატებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და მათთან თამაში ნებისმიერ ნაკრებს უჭირს, ისინი ყველანაირად ეცდებიან, სასურველ შედეგს მიაღწიონ.

***— საბერძნეთიც ჩვენი მეტოქეა და საინტერესოა, ათენში ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩვენი ნაკრების მიმართ?***

— ათენში ფრის შემდეგ თბილისში ხორვატიასაც მოვუგეთ. ამ ორმა შეხვედრამ მათი დამოკიდებულება აბსოლუტურად შეცვალა და პატივისცემით განეწყვნენ. ხვდებიან, რომ ჩვენ აღარ გვყავს ისეთი სუსტი ნაკრები, ყველა რომ უგებდა. ამბობენ, რომ საქართველოს უკვე ჯგუფის ნებისმიერ ფავორიტთან მოგებაც შეუძლია, ერთგვარად შეშინებულნიც კი არიან.

***— ანუ საბერძნეთის ნაკრებს საქართველოსთან უეჭველ ფავორიტად აღარ მიიჩნევენ?***

— რა თქმა უნდა, აღარ მიიჩნევენ. კლუბში ბიჭებს რომ ველაპარაკები, ვხვდები, ძველებურად თავდაჯერებულები არ არიან და ამბობენ, რომ საქართველოს, ისრაელს და საბერძნეთს ერთნაირი შანსები გვაქვსო. მათ ორი ქულით ჩამოვრჩებით და თავი ქუდში ნამდვილად არ აქვთ. ბერძნებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა კი სურთ, მაგრამ ბოლო შეხვედრას თბილისში აქვთ და ეს ადარდებთ. არავინ იცის, როგორ დასრულდება ეს მატჩი.

## შედეგები

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| იაპონია-პერუ | 0:0 |
| **ევრო-2013. (21)** | |
| ფარერები-ჩრ.ირლანდია | 0:0 |
| **ამხანაგური მატჩები (21)** | |
| აზერბაიჯანი-მოლდოვა | 1:0 |
| პორტუგალია-გერმანია | 4:2 |
| **ევროპის ჩემპიონატი (19)** | |
| გერმანია-უნგრეთი | 3:0 |
| ინგლისი-ჩერნოგორია | 1:0 |
| თურქეთი-მაკედონია | 3:1 |
| შვეიცარია-ესპანეთი | 1:2 |
| **ამხანაგური მატჩი (18)** | |
| შვედეთი-პოლონეთი | 1:2 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| **პლეი-ოფი** | |
| სერვეტი-ბელინცონა | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ნბა. ფინალი 4 მოგებამდე** | |
| მაიამი-დალასი | 92:84 |
| სერიის ანგარიში | 1:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **როლან გაროსი** | |
| **ქალები** | |
| სკიავონე-პავლუჩენკოვა | 1:6;7:5;7:5 |
| კუზნეცოვა-ბარტოლი | 6:7;4:6 |
| **კაცები** | |
| მიურეი-ტროიცკი | 4:6;4:6;6;3;6:2;7:5 |
| ფედერერი-მონფილსი | 6:4;6:3;7:6 |

# ტატიშვილის ასეული დროებით გადაიდო

საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი ძალიან ახლოს იყო, საუკეთესო ასეულში შეებიჯებინა, მაგრამ ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს.

ჩვენებურმა პირველად ითამაშა „დიდი სლემის“ ტურნირის ძირითად ბადეში და სენსაციურად უგებდა მსოფლიოს მე-11 ჩოგან მარიონ ბარტოლის, მაგრამ საბოლოოდ, მაინც წააგო და რეიტინგში სულ 5 ქულით დაკმაყოფილდა.

თუმცა, ეს არაფერი — ბულონის ტყეში წაგებას ბალახის სეზონის პირველივე მატჩში მარცხი დაერთო. ინგლისის ქალაქ ნოტინგემში „აეგონ ტროფის“ (75.000 დოლარი) პირველ წრეში ჩვენებურმა ბერძენ ელენი დანილიდუსთან (154) წააგო — 6:3, 6:7, 4:6. როგორც ხედავთ, აქაც თავიდან ქართველი დაწინაურდა, რომელიც ბრიტანეთში მე-4 ნომრად იყო განთესილი. ორშაბათის რეიტინგში ტატიშვილი 120-ე ჩოგნობამდე დაიხევს უკან და, რაც უფრო მთავარია, ბლომად ქულას დაკარგავს.

# „ბარსა“ ახალი ტალანტის ძიებაში

„ბარსელონამ“ თვალი „ერკულესის“ 20 წლის მცველ კიკო ფემანიას დაადგა. ამის შესახებ კატალონიური სპორტული გაზეთი „სპორტი“ იუწყება. ფემანია მარჯვენაფლანგელია, კარგად თამაშობს, როგორც დაცვაში, ასევე ნახევარდაცვაში, ამასთან საკმაოდ ტექნიკურია და უფრო შემტევი სტილისაა. სავარაუდოდ, ფემანია დანი ალვეშის შემცვლელი გახდება. აპრილში „დეპორტივოსთან“ მატჩში, როცა „ერკულესმა“ 1:0 მოუგო გალისიურ კლუბს, კიკო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან ბრწყინვალე საგოლე პასი ტიაგო გომეშს გაუკეთა. სულ კი სეზონში 6 საგოლე პასი მიითვალა.

ეს რაც შეეხებოდა ფემანიას, თუმცა კატალონიელთა უპირველეს საზრუნავი ლონდონის „არსენალიდან“ სესკ ფაბრეგასის გადაბირებაა. „ბარსელონა“ მზადაა, „მეთოფეთა“ კაპიტნის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გაიღოს.

შეგახსენებთ, რომ კატალონიელები ფაბრეგასით დაინტერესებას

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# „მაიამიმ“ ფინალი საშინაო მოგებით დაიწყო

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) ფინალური სერია მოულოდნელობის გარეშე დაიწყო. შინაურ „ემერიქან ეარლაინს არენაზე“ ფავორიტად შერაცხულმა „მაიამი ჰითმა“, „დალას მავერიქსს“ შანსი არ დაუტოვა 92:84 დაამარცხა.

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, თამაში უხვქულიანი არ ყოფილა, რადგან აქცენტი დაცვაზე ჰქონდათ გადატანილი. „მაიამიმ“ პირველი ნახევარი 43:44 დათმო, თუმცა, საბოლოოდ 8-ქულიანი უპირატესობით იმარჯვა და მიმდინარე ფლეი-ოფში უკვე მეშვიდედ, ის თამაში მოიგეს, რომელშიც დიდი შესვენებისთვის მდევრის როლში იყვნენ.

გადამწყვეტი მესამე მეოთხედის მიწურული გამოდგა, როდესაც „ჰითმა“ რვაქულიანი ჩამორჩენა ოთხქულიან უპირატესობად აქცია. ამ მონაკვეთში სტუმრებმა 14-დან 11 ტყორცნა გააცუდეს, ბურთი ოთხჯერ დაკარგეს და მხოლოდ 10 ქულა ჩააგდეს, მაიამელთა ლიდერებმა ლებრონ ჯეიმსმა და დუეინ უეიდმა კი ჯამში 17 ქულა მოაგროვეს.

„მაიამი“ სასურველ უპირატესობას ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა, გადამწყვეტი კი ის 20-წამიანი ეპიზოდი გახდა, როდესაც უეიდმა მერიონს დააფარა, შეტევაში გადასულმა კი სამქულიანი ზუსტად სტყორცნა და სხვაობა ცხრა ქულამდე აიყვანა.

და ყველაზე მთავარი: მაიამელთა დიდმა სამეულმა — ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდისა და კრის ბოშის შემადგენლობით, ერთობლივად 65 ქულა, 28 მოხსნა და 14 პასი მიითვალა, „დალასის“ გერმანელმა ლიდერმა დირკ ნოვიცკიმ კი 27 ქულა ჩააგდო, თუმცა, საფინალო სირენამდე 3.44 წუთით ადრე ბოშთან ჭიდილისას ტრავმაც მიიღო.როგორც შემდეგ გაირკვა, დირკმა მარცხენა ხელის თითზე მყესები გაიწყვიტა და მკურნალობის გავლაც მოუწევს, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, სერიის მეორე შეხვედრისთვის, რომელსაც ხვალ ისევ მაიამი უმასპინძლებს, მწყობრში იქნება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

კულტურა

# თელავში ნიკო სულხანიშვილის იუბილე იზეიმეს

ეკა ირემაშვილი

თელავში ქართველი კომპოზიტორის, კლასიკური-საგუნდო მუსიკის ფუძემდებლის, ნიკო სულხანიშვილის დაბადებიდან 140-ე წლისთავი იზეიმეს. მუსიკალური ფესტივალი ნიკო სულხანიშვილის მემორიალური დაფის გახსნით დაიწყო. მემორიალური დაფა კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა გახსნა. ფესტივალი, ღია ცის ქვეშ, თელავის სახელმწიფო თეატრის წინ მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ღონისძიებაში კახეთის ექვსი მუნიციპალიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები იყვნენ ჩართული.

ფესტივალზე შესრულდა ნაწყვეტები ნიკო სულხანიშვილის მიერ შექმნილი პირველი ეროვნული ოპერიდან „პატარა კახი" და საზოგადოებრივი ჰიმნი „დიდება ივერსა". ნიკო სულხანიშვილის სახელს უკავშირდება პირველი შერეული (ქალთა და ვაჟთა გუნდის შექმნაც. თელავში მუსიკალური ღონისძიებების პარალელურად წარმოდგენილი იყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. სპეციალურად ამ დღისათვის ჩამოისხა ღვინო — „ნიკო სულხანიშვილი".

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, ლოტბარისა და მომღერლის ნიკო სულხანიშვილის 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით საზეიმო კონცერტი გაიმართა თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზშიც. მასში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის ეროვნული საგუნდო კაპელა, გორის ქალთა კამერული გუნდი, თელავის ქალთა გუნდი, სიონის საკათედრო ტაძრის ვაჟთა მგალობელთა გუნდი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდი, დირიჟორები — გივი მუნჯიშვილი, შალვა მოსიძე, პავლე დემურიშვილი, ლაშა ზაალიშვილი და კონსერვატორიის საგუნდო სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტები.

ნიკო სულხანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საგუნდო მუსიკას. მას გალობას თელავის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდნენ. მოგვიანებით განათლება თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო. საკუთარი შესაძლებლობები მოსინჯა საკომპოზიტორო ჟანრშიც. თელავში მუსიკის მასწავლებლად მოღვაწეობის პერიოდში მან ჩამოაყალიბა ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი. ამ პერიოდში შექმნა თავისი ცნობილი სიმღერა „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად".

თბილისში ცხოვრების პერიოდში ნიკო სულხანიშვილი მეცადინეობდა თეორიულ დისციპლინებში თბილისის სამუსიკო სასწავლებელში. კახეთში მოგზაურობის დროს ჩაიწერა ხალხური სიმღერები. ხელმძღვანელობდა ფასიან გუნდს და ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებულ კაპელას.

ნიკო სულხანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საგუნდო მუსიკას და შექმნა ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები, ზაქარია ფალიაშვილთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართული საგუნდო ხელოვნების განვითარებაში. იგი მუშაობდა ოპერა „პატარა კახზე", რომლის მხოლოდ 2 ნაწყვეტი შემორჩა, მათგან ერთი — ძალზე ცნობილი და პოპულარული სიმღერა „დაიგვიანეს".

# ფოლკლორის ცენტრმა საგალობლების დისკი გამოსცა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში საეკლესიო საგალობლების აუდიო დისკის პრეზენტაცია გაიმართა. დისკი ფოლკლორის ცენტრის არქივში დაცული ქართული საეკლესიო საგალობლების სანოტო ხელნაწერების მიხედვით გამოიცა. კრებულში შესულია კარბელაშვილების სკოლის კახური კილოს საღვთისმსახურო საგალობლები, პირველშეწირულის საგალობლები — იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, გრიგოლ დიალოღოსი, ასევე ქორწინებისა და პანაშვიდის საგალობლები. აუდიო დისკის შემდგენელ-რედაქტორები არიან დავით შუღლიაშვილი და ზაალ წერეთელი. პრეზენტაციაზე ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ცენტრში დაცული საგალობლების სისტემატიზაციას და კრებულების სახით მათ ეტაპობრივად გამოცემას ითვალისწინებს. კრებულის წარდგინებასა და მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს დაესწრო საპატრიარქოსთან არსებული გალობის ცენტრის ხელმძღვანელი აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი. პრეზენტაციაზე „ანჩისხატის" მგალობელთა გუნდმა პირველშეწირულის საგალობლების რამდენიმე ნიმუში შეასრულა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, ანსამბლმა „ანჩისხატი" კონსერვატორიის დიდ დარბაზში ხალხური მუსიკის საღამო ჩაატარა. ანსამბლის წევრებმა წარმოადგინეს ის უძველესი სიმღერები, რომელსაც ქართველი გლეხები მუშაობის პროცესში მღეროდნენ.

— „ნადის" ერთ-ერთი თვისებაა ადამიანების უანგაროდ დახმარება და ასევე, ერთად ხალისით შრომა. „ნადზე" იკრიბებოდნენ სოფლის მაცხოვრებელი და ერთმანეთს მოსავლის აღებაში ეხმარებოდნენ, რის დროსაც, ურთულეს სიმღერებს მღეროდნენ. ჩვენც სწორედ ასეთი ხალისით მოვამზადეთ ეს პროგრამა და ამიტომაც დავარქვით ამ კონცერტს ეს სახელი, — განაცხადა ანსამბლის წევრმა დავით შუღლიაშვილმა.

ფოლკლორის ცენტრმა ავთანდილ თათარაძის წიგნის „ქართული ხალხური ცეკვა" პრეზენტაცია გამართა. წიგნი შედგენილია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული მასალების (დედნების) მიხედვით. კრებულში შესულია ავტორის მიერ ჩაწერილი ყველა სვანური და რაჭული ფერხული, ქართული ცეკვის ილეთთა ტერმინოლოგია, დადგმული ცეკვები და ლექსიკონი. რაჭული ფერხულები მთლიანად და დადგმული ცეკვები პირველად გამოქვეყნდება. „ქართული ხალხური ცეკვა" საკმაოდ სქელტანიანი კრებულია და მოიცავს 400 გვერდს. ეს ავთანდილ თათარაძის ნაშრომთა პირველი სრულყოფილი გამოცემაა. წიგნის რედაქტორი კი ბაია ასიეშვილი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა მარჯანიშვილის თეატრში პოეტის ერეკლე საღლიანის შემოქმედებითი საღამო გამართა. ღონისძიება პოეტის 55 წლის იუბილეს მიეძღვნა. ერეკლე საღლიანი პოეტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომლებიც 70-80-იან წლებში ეროვნულ მოძრაობაში ჩაებნენ. პოეტის პირველი კრებული 1958 წელს გამოვიდა. იგი რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელია. პოეტმა საღამოზე თავისი პოეტური კრებულებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხა. საღამოში ფოლკლორული ანსამბლებიც იღებდნენ მონაწილეობას. საიუბილეო საღამო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

სპორტი

# „იუვენტუსმა" კონტე დააბრუნა



„სიენას" ყოფილი თავკაცი ანტონიო კონტე ტურინის „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. კონტესთვის „იუვენტუსი" კარგად ნაცნობი გუნდია და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაბრუნდა. „ბებერი ქალბატონისა" და კონტეს თანამშრომლობა ამ ეტაპზე ორწლიანი კონტრაქტი შემოიფარგლა.

— „იუვენტუსს" ისევე სურს გამარჯვებების მოპოვება, როგორც მოთამაშე კონტის დროს გახლდათ. ეს კლუბის აღორძინების გზაზე პირველი ნაბიჯია, — ასეთია ტურინელთა პრეზიდენტის ანდრეა ანიელის კომენტარი.

კონტემ, რომელიც „იუვენტუსის" რიგებში 14 წლის განმავლობაში ირიცხებოდა, ახალ რანგში პირველი პრესკონფერენცია გამართა:

— მინდა მადლობა ვუთხრა კლუბს, რომელმაც დაბრუნების საშუალება მომცა. შვიდწლიანი სამწვრთნელო მოღვაწეობის შემდეგ, „იუვეს" თავკაცად დავინიშნე, რაც ჩემი ოცნება გახლდათ. იმის შესახებ, გუნდმა როგორ უნდა ითამაშოს, გარკვეული იდეები გამაჩნია, თუმცა, იმ კონტინგენტის გაცნობის შემდეგ, რომელთანაც მუშაობა მომიწევს, შესაძლოა, მასში გარკვეული კორექტივები შევიტანო. ყოველთვის ვცდილობ, ჩემმა გუნდმა ბურთის ფლობაში მეტოქეს აჯობოს და პირველ ნომრად ითამაშოს. „იუვენტუსში" ყველა მზად უნდა იყოს, რომ გუნდის საერთო ინტერესებისთვის გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს. ფეხბურთელები ვარჯიშზე ბოლომდე უნდა დაიხარჯნონ. გუნდის ლიდერები ალესანდრო დელ პიერო და ჯიჯი ბუფონი უნდა იყვნენ. რაც შეეხებათ ანდრეა პირლოსა და კლაუდიო მარკიზიოს, ისინი „ბიანკონერისთვის" იდეალური ფეხბურთელები არიან. გუნდისთვის ფუნდამენტი უკვე ჩაყრილია, ამდენად, შემადგენლობაში ძირეული ცვლილებების განხორციელებას არ ვაპირებ. ფეხბურთელებს მოტივაციის გრძნობა უნდა გავუღვიძო. მათ საკუთარ თავსაც ბევრი უნდა დაუმტკიცონ. ზოგერთის აზრით, მე მცირე გამოცდილება მაქვს. სწორედ ამიტომ, უნდა დავამტკიცო, რომ ეს ასე არ არის. ახლა, ასეთი საშუალება მეძლევა, — განაცხადა კონტემ.

კომენტარი გააკეთა „იუვეს" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯანლუიჯი ბუფონმაც, რომელიც ლიდერად თავად კონტემ დაასახელა.

— უახლოესი თვეები გამოაჩენს, კლუბმა რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ყოველ შემთხვევაში, კონტეს ბიოგრაფია საქვეყნოდ ცნობილია. როგორც მწვრთნელი, იგი მიზანს მუდმივად აღწევდა და გამარჯვებულის სულიც გააჩნია. მოთამაშის რანგში ანტონიო ძალიან ქარიზმატული და პოზიტიური ადამიანი გახლდათ. მან იტალიის ჩემპიონატი ძალიან კარგად იცის, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეს, გამარჯვების მოსაპოვებლად, ყოველთვის საკმარისი არ გახლავთ. კონტე მოთამაშეებისგან მაქსიმალურად დახარჯვასა და მითითებების სრულყოფილად შესრულებას ითხოვს, ამაში კი მას გუნდის ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერა და გვერდში დგომა დასჭირდება, — აღნიშნა ტურინელთა მეკარემ.

# „ბარსა" ახალი ტალანტის ძიებაში

დასაწყისი მე-13 გვერდზე

სეზონის განმავლობაშიც ავლენდნენ. „ბარსელონას" მცველმა კარლეს პუიოლმა განაცხადა, რომ გუნდის მოთამაშეებსაც ძალიან სურთ თავიანთ რიგებში ამ ფეხბურთელის ხილვა და ისიც დასძინა, რომ დარწმუნებულია ფაბრეგასის ტრანსფერში.

ამასობაში „ბარსა" ერთ ფეხბურთელს შეელია — აქამდე 24 წლის ურუგვაელი მცველი მარტინ კასერესი კატალონიურ კლუბს ეკუთვნოდა და „სევილიაში" იჯარით თამაშობდა. სეზონის ბოლოს ანდალუსიურმა კლუბმა ხელშეკრულებაში ჩადებული უფლება გამოიყენა და კასერესი გამოისყიდა. „სევილია" „ბარსას" 3 მილიონ ევროს გადაუხდის და კიდევ 1,5 მილიონს დაუმატებს, თუ უახლოეს 4 სეზონში კასერესი გუნდს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დაეხმარება. კასერესი 2008 წელს „უელვადან" გადავიდა კატალონიურ გრანდში.

ძირითად გუნდში კასერესმა სულ 13 მატჩი ითამაშა, შემდეგ კი იჯარით „იუვენტუსსა" და „სევილიაში" ითამაშა.

# თუშეთის საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს საგადასახადო კურსის სერტიფიკატები გადაეცემათ

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაკვეთით, თუშეთის საოჯახო სასტუმროების მეპატრონეთათვის საგადასახადო კურსის ტრენინგი განხორციელდა. მისი მიზანი მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ცოდნის ამაღლება და ადგილზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა იყო. კურსი ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ განახორციელა.



2 ივნისს, ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში — თუშეთის საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სერტიფიკატები გადაეცემათ. აკადემიის სასწავლო პროგრამა თემაზე — „საგადასახადოს კურსი დამწყები ბიზნესმენებისათვის" 20-მა ადგილობრივმა მონაწილემ გაიარა.

სასწავლო კურსი მოიცავდა ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ბიზნესის რეგისტრაცია და მისი პროცედურები; საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკული ბუღალტერია. ტრეინინგი თეორიულთან ერთად, პრაქტიკულ სამუშაოებსაც ითვალისწინებდა. კერძოდ, დაგეგმილია მცირე ბიზნესის წარმომადგენლების შეხვედრა შემოსავლების სამსახურის ცენტრთან სადაც ადგილზე გაეცნობიან ამ უწყების საქმიანობის პრინციპებსა და პროცედურებს. რაც მათ მომავალში საგადასახადო ორგანოსთან მუშაობას მნიშვნელოვნად გაუმარტივებს. ტრეინინგის წარმატებული მონაწილეებისთვის, სერტიფიკატების გადაცემის ოფიციალურ ცერემონიას ფინანსთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ბაიბურთი, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორი სერგო ნოზაძე და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თამჯდომარის მოადგილე ბექა ჯაყელი დაესწრებიან.

პრაიმ-ნიუსი



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტკბილი კარტოფილი; 2. მრგვალი წითელი შავწინწკლებიანი მწერი; 3. ხელმოწერის ზუსტი პირი, კლიშე; 4. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყელის სახელწოდება ამერიკაში; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ცირკის არენა, მოედანი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 16. აშშ-ს პრეზიდენტი.

**თარაზულად:** 1. თამარ მეფის დედა; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 10. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 11. მალალხარისხოვანი ყავის ჯიში; 13. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 17. აეროპორტი ბუქარესტში; 18. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 19. მოუქნელი, ზანტი ადამიანი; 20. საარტილერიო ქვედანაყოფი.

*შეადგინა თვოვინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოჰერი; 2. პაქტი; 3. მიოპია; 4. სლენგი; 6. კონაკრი; 9. ცედრა; 11. ვერსალი; 15. იმუნიტეტი; 16. ჩაქურა; 17. ჰიუსტონი; 19. ანანასი; 21. ბარტერი; 22. ბაზელი.

**თარაზულად:** 5. პოლემიკა; 7. ოტრანტო; 8. მერიმე; 10. ბენფიკა; 12. გროგი; 13. გუერა; 14. გარნიტური; 18. პასკა; 20. მარინა; 23. შარიფი; 24. რური; 25. ბერეტა; 26. ლატი; 27. პროტონი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გილდია; 2. ვიში; 3. გერიატრია; 4. შიუცი; 5. პარხალი; 8. ქოქოსი; 9. დარბაზობა; 12. სავანა; 14. ქორქია; 16. ომეგა.

**თარაზულად:** 1. გვირგვინი; 6. გეორგიკა; 7. ლელქაში; 9. დელისი; 10. ჯიდა; 11. ბოკვერი; 13. იფქლი; 15. კაზინო; 17. ფაიზერი; 18. საირმე; 19. საცივი; 20. ფალანგა.

# „აგვისტოს ხუთი დღე“ კინოთეატრებში გამოდის

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე ფილმთან ერთად რუსეთ-საქართველოს ომის რეალობას ამსახველი ფოტომასალაც იქნა წარმოდგენილი. კანის კინოფესტივალზე ფილმის ჩვენების შემდეგ, „აგვისტოს ხუთი დღე“ მსოფლიოს 50 ქვეყანაში გაიყიდება.

ფილმის შემქმნელების გადაწყვეტილებით, „აგვისტოს ხუთი დღე“ ქართულ ენაზე იქნება გახმოვანებული. მსახიობთა შერჩევა უკვე დასრულდა და გახმოვანების პროცესიც თითქმის დასრულებულია. ფილმი ქართულ ენაზე იქნება დუბლირებული და მას ცნობილი ქართველი მსახიობები გაახმოვანებენ. საზოგადოებაში გარვცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ენდი გარსიას პერსონაჟს თავად მიხეილ სააკაშვილი გაახმოვანებდა, თუმცა ეს ინფორმაცია უარყო როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მანანა მანჯგალაძემ, ასევე ფილმის თანაპროდიუსერმა ნიკა ავალიანმა.

— ენდი გარსიას მიხეილ სააკაშვილი არ გაახმოვანებს. საიდან გაჩნდა საზოგადოებაში ასეთი ინფორმაცია, არ ვიცი. ჩვენ ენდი გარსიას გმირის გასახმოვანებლად ხუთი მსახიობი შევარჩიეთ, მათგან კი არჩევანი ერთზე უნდა გაგვეკეთებინა, — განაცხადა ნიკა ავალიანმა.

ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ გადაღებები საქართველოში 2009 წლის სექტემბრში დაიწყო. ფილმზე მომუშავე გუნდმა გადაღებებისთვის თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ფილმში ენდი გარსიას გარდა, სხვა ჰოლივუდელი ვარსკვლავები — ველ ქილმერი და რუპერტ ფრენდიც მონაწილეობენ. მათთან ერთად კი ფილმში ქართველი მსახიობები გივი სიხარულიძე, ანა იმნაძე, მიხეილ გომიაშვილი არიან დაკავებული.

თავად ფილმის რეჟისორი რენი ჰარლინი კი აცხადებს, რომ ეს პროქართული კი არა ომის წინააღმდეგ მიმართული ფილმია და რომ „აგვისტოს ხუთი დღე“ მის კარიერაში ყველაზე პერსონალური ფილმია. მხატვრული ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ფილმის გადასაღებად რეჟისორის განკარგულებაში 40 ტანკი, 8 ვერტმფრენი, 2 თვითმფრინავი და 2.000 ჯარისკაცი იყო. ფილმში არის სცენები, სადაც მთელი ეს რესურსი ერთდროულად არის გამოიყენებული. ფილმის მოსამზადებელ პერიოდში ჩატარდა სპეციალური კვლევა „გაეროსა“ და „ჰუმან რაით ვოჩის“ დასკვნების მიხედვით და ფილმის სცენარი და ისტორიაც სწორედ ამ დასკვნების საფუძველზე შეიქმნა. ფილმში მრავლად არის საჰაერო და სახმელეთო ბრძოლები, ბომბების ცვენა და ცეცხლმოდებული მანქანების ჰაერში ტრიალი. როგორც რენი ჰარლინი განმარტავს, ეს ყველაფერი ფირზეა გადაღებულია და არც ერთი სცენა არ წარმოადგენს „დიგიტალურ ეფექტს“. რეჟისორის ნამუშევარში ქართულ დროშას წვავენ, მოსახლეობას უმოწყალოდ კლავენ, ჟურნალისტების სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აგდებენ. ფილმში ამერიკელი ჟურნალისტისა და ქართველი გოგონას სასიყვარულო ისტორიაც არის ასახული.

ფილმი ჰოლივუდელი რეჟისორის თვალით დანახულ ხუთდღიან ომს ასახავს. სპეციალურად საპრემიერო ჩვენებისთვის საქართველოში ფილმის რეჟისორი რენი ჰარლინი და ფილმში მონაწილე მსახიობებიც ჩამოვლენ. საპრემიერო ჩვენება თბილისის გარდა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იგეგმება.

# ის გამორჩეული იყო

*სიკვდილო, დედას მოუკვდი,*
*დედას რად უკლავ შვილსაო...*

*იმ დღეს მართლმადიდებლური სამყარო ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდა...ერთი პატარა ბიჭი ციდან მოვლენილმა ანგელოზებმა ზეცაში აიტაცეს და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა იქ აუწყეს...*

*ის ევროპული სკოლის IV კლასის წარჩინებული მოსწავლე იყო. ოცნებობდა ცოდნის დონე აემაღლებინა და სპორტის სამყაროში თავისი სიტყვა ეთქვა.*

*25 აპრილს 10 წლის შესრულდა.*

*ვეღარ დაინთო 10 სანთელი...*

*იოვანედ მონათლული ღმერთთან წავიდა, რამეთუ სიკვდილის წინ სიმღერით უხმობდა მას — „ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა“...*



## აღდგომიდან ამაღლებამდე უშენოდ ჩავლილი 49 გაუსა ლისი დღე

რა უცებ გაფრინდა და რა ნელა გაიძურწა, ტკივილით, ლოდინით, დარდსა და ცრემლში ჩამხრჩვალი 40 დღე.

რა უსაშველო და გაუსაძლისი გახდა მდუმარებაში და მშფოთვარებაში მოგონილ სიმშვიდესა და ლოცვა-ვედრებაში გალეული 40 დღე. ქარიშხალივით დაგვატყდა თავს სიკვდილის მეხი და ერთიანად გაგვანადგურა.

ეს არ იყო ქარს მოყოლილი ქარიშხალი, რომლის განკურნებაც დროს შეუძლია. ეს მეხთატეხა იყო უსამართლოდ მართალთა კერაზე გაბნეული.

შენ რომ შეგეძლოს გაიგონო, დილა ადრიან ივერი ბაბუა რა შემზარავი გოდებით გიხმობს: „სადა ხარ ჩემო ჯიგარო ბიჭო, მე ლოგინში უნდა მეძინოს და შენ მიწაში უნდა მეგულებოდე?!“, შენ რომ იცოდე, როგორ გეძებს, დილით სკოლაში რომ წაგიყვანოს, შემდეგ ფეხბურთზე... გეძებს, გეძებს და ამ დროს, როცა ამაოა ეს ყველაფერი, მისი შემზარავი გოდება დაჭრილი ხარივით ასკდება ექოს, და ამ ყველაფერს შენ რომ გრძნობდე, ბნელეთს გაარღვევდი და ბაბუასთან გამოიქცეოდი.

შენი მამიკო ყოველ წუთსა და წამს შენს სურათებს ესაუბრება. ხან ეფერება, ხან გსაყვედურობს, „რატომ მიმატოვე მამი, რატომ გამექეციო“. გარკვეული დრო მწარე რეალობიდან გაქცევა მოინდომეს და მონასტერს მიაშურეს...

შინ დაბრუნებული შენი დედიკო შენს ოთახში შენს ლოგინს ასველებს მწარე ცრემლით. შენი მამიკო კი, დაჭრილი ხარივით ბორგავს... „დავბრუნდი სახლში და ისევ ის კოშმარი დამხვდა, ივიკო ისევ ვერ ვიპოვე“. როცა ერთად არიან შენი მშობლები ერთმანეთს ანუგეშებენ, წუთით განმარტოვდებიან და მათი ცოდვით შენი ანგელოზებიც ტირიან, ალბათ...

შენ რომ ხედავდე, ეთერი ბებია შუაღამეს როგორ მიიპარება შენს ოთახში, რა უსაშველო მონატრებით გიხმობს და გეძახის, აუცილებლად გასცემდი ხმას... მდუმარებაში კლავს შენი მონატრებით გამოწვეულ მწარე ტკივილს შენი უთქმელი მარიამი. პატარა დათა კი, მოწყენილი დაბაჯბაჯებს და წამდაუწუმ იძახის — „ივი, ივიკო“. გულდათუთქული ტირის და გეძებს შენი მაიკო. უსაშველო ტკივილი სჭირს ხათუნა დეიდას და ყველას, ყველას ვისი გულიც შენი სიკვდილის მეხმა დაფლითა...

ჭაღარანარევი წვერით შეიმოსა შენი საგვარეულო, გმინავენ ვაჟკაცები, პატარა მურყვამი წაგვექცაო, გვარის ჯილა თბილი და მოსიყვარულე, კეთილი და სამართლიანი პატარა გმირი, რომლის სიკვდილმა მთელი საქართველო შეძრა.

28 აპრილს ვაკე-საბურთალოს გადასახვევიდან ჯვარით ამაღლების ეკლესიამდე საათობით იდგა ხალხი რიგში, თავად უნდოდა ეხილა ყველას, თეთრ ჩოხაში გამოწყობილ პატარა შავლეგოს როგორ უთბობდა კოცნით უბედური დედა პაწია ტუჩებსა და ცხვირს, როგორ უწეწავდა ქოჩორს, როგორ ევედრებოდა, არ დამტოვო, არ მიმატოვო შვილო!

ბოლო წუთამდე უკვირდა უთქმელ მამას — „ამ ზღვა ცრემლმა ეს პატარა ბიჭი როგორ ვერ უნდა გამიცოცხლოსო“...

როგორ კოცნიდა და ეჩურჩულებოდა ივერი ბაბუა თავის ჯიგარო ბიჭს — „ეს რა მიქენი ბაბუ, ჩემი ადგილი როგორ წამართვი“. როგორ შეატორტმანა სივრცე მთების გულიდან ამოხეთქილმა სვანურმა ზარმა, მთაკაცები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ტაძარში თუ გარეთ და როგორ ვერ შეძლო მუხლმოკვეთილმა, ძალაგამოცლილმა დედამ, სამუდამო ტაძრამდე თავად მიეცილებინა თავისი შვილი...

შებინდებამდე იდგა ხალხი ტაძრის ეზოში და ელოდებოდა ვიღაც, ალბათ, რაღაც სასწაულს, „იქნებ წამოდგეს ეს მძინარე თეთრჩოხიანი პატარა ბიჭი და თავის მწვრთნელს და თავის თანატოლ ფეხბურთელ ბიჭებს, მათგან საჩუქრად მირთმეული ბურთი თავადვე გაუგოროს თვალებანთებულ ცეცხლოვან „ჭელომ“... იქნებ გაანგრიოს სამუდამო ადგილსამყოფელი და შინდაბრუნებულ, მხრებჩამოყრილ ივერი ბაბუს წამოეწიოს და უთხრას — „აქა ვარ, ბაბუ“.

სასწაულები სიკვდილს თურმე ვერ ამარცხებენ. შენი ეკა განმარტოებული შენს ოთახში ტირის, ქვითინებს, გეძახის — „ჩემი შვილი მენატრება, ჩემი ქოჩორა შვილი“ და ეს სულის შემძვრელი დედაშვილური და მამაშვილური მონატრება 40 დღეა აღარ დასრულდა.

შენ ოჯახზე თავსდატეხილი უბედურება, უწმინდესმა და უნეტარესმა ჩვენმა პატრიარქმა როცა გაიგო, თავისთან იხმო შენი ოჯახის წევრები სანუგეშებლად, შენს სურათს როცა დახედა, თქვა „უფლის რჩეულია და უფალმა თავისთან წაიყვანა“-ო. მან კი შენი სურათი დაიტოვა, რათა შენი სულის სადიდებლად ლოცვები აღავლინოს.

მშვიდად განისვენე ცათა სასუფეველსა შინა, შენ ნელი ბებიასა და ჯემალი ბაბუას წილხვედრო, ამიერიდან ისინი იზრუნებენ, ისინი გაგიკვლევენ გზას ლაბირინთებიდან მარადიულ სასუფეველამდე...

*ეთერ ქელი ე*

### პატარა ივერი (ივიკო) ჭელიძის ხსოვნას

*ეს რა მიყავი, ბაბუა,*
*რისხვა დამტეხე ღვთისაო,*
*სვანეთში მთები ატირდნენ,*
*ენგურიც აღმა დისაო!...*
*რად დაამწუხრე მამული,*
*რად ათქმევინე ზარიო,*
*ბაბუს ჯიგარო ვაჟკაცო,*
*რად შემიმცირე გვარიო...*
*ჩემო იმედო, ნუგეშო,*
*არ გამიციო კერია,*
*ნუ წახვალ, მიშვილადელსი,*
*ჯერ ხომ ბაბუას ჯერია!*
*თავი დევგმირი გეგონა,*
*ან რა იფიქრე, ვინ იცის?*
*შეძარი დედა-სვანეთი,*
*ძაძით შემოსე თბილისიც...*
*შეხსენი სამოთხის კარი,*
*ანგელოზები მღერიან,*
*ბებო წინ შემოგეგება*
*იქ წინაპრებიც გელიან...*
*რაღაა ჩემი სიცოცხლე,*
*რა გამიმრთელებს გულსაო...*
*მშვიდობით იყავ, ბაბუა,*
*ნათელ გეფინოს სულსაო!...*

***ზურაბ ლეშკაშვილი***

# სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მარგო გვაძაბია, შვილები ლადო, მადონა, მანონი მამფორიები, შვილიშვილები მარინა, თეა, ჯაბა, ლექსო, ნათია, ქეთინო, მარი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვარლამ ვლადიმერის ძე მამფორია**

პანაშვიდი: 2, 3 ივნისს, 17 საათზე. მირცხულავას ქ.№11

გამოსვენება: შაბათს, 4 ივნისს, 15 საათზე, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე დიდუბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან.



გულრიფშის რაიონის ბალმარანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმამეუღლე მარგო გვაძაბია, შვილები ლადო, მადონა, მანონი მამფორიები, შვილიშვილები მარინა, თეა, ჯაბა, ლექსო, ნათია, ქეთინო, მარი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვარლამ ვლადიმერის ძე მამფორია**

პანაშვიდი: 2, 3 ივნისს, 17 საათზე. მირცხულავას ქ.№11

გამოსვენება: შაბათს, 4 ივნისს, 15 საათზე, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე დიდუბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

შორენა, ცოქალა, ხათუნა ქაჯაიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კაკო ჭყონია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 2 ივნისს, მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიაში.



ძმა თემურ ფარულავა, და ინგა ფარულავა, რძალი ინგა ბასარია, სიძე ელგუჯა გოროზია, ძმისშვილები ნინო, ნიკა ფარულავები, დისშვილები ანი, მარი, ნიკა გოროზიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**დათო გივის ძე ფარულავას**

ტრაგიკულად დაღუპვას.

პანაშვიდი: 2, 3 ივნისს.

დაკრძალვა: 4 ივნისს, 15 საათზე.

მისამართი: თ/დ. მე-10ა კვარტალი, 39-ე კორპუსი, III სადარბაზო, ბინა 61.

ჩვენი ღრმა მწუხარება და სამძიმარი თემურ, ნინო, ნიკა ფარულავებს, ინგა ბასარიას

**დათო გივის ძე ფარულავას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

***ირმა ბასარია, გოგი, ინგა, მარი, ლადო ბერულავები***

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრა თანაუგრძნობს დალი შავგულიძეს მეუღლის

**კოტე გიგაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 2 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **19.05** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.35** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ცეცხლის ხაზზე"** (12) (კ. ისტვუდი) **04.35** მხ. ფილმი **"50 პირველი პაემანი"** (დ. ბერიმორი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ. ფილმი **"ერინ ბროკოვიჩი"** **01.00** მხ. ფილმი **"რადიო"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ.**"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **01.25** მხ.ფ.**"ტრანსპორტერი 3"** (12) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.00** სცენა **11.50, 21.00** სერ. **"მონადირე"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მოკ. ფილმი **"ზღარბი"** **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თუში მეცხვარე"** მე-2ნ. **13.30** კონცერტი – ლიზა ბაგრატიონი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ.ფ.**"ბათა ქექია"** **1**-ლი ნ. **16.35** დოკ.ფ."რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **17.30** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** სასულიერო... 

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 ივნისი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6658

ევრო —2,3799

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7451

რუსული რუბლი — 0,0593

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 15-16
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-39, ღამით — 17-18
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — 4-8

**ამინდის პროგნოზი 2 ივნისისთვის**








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (−)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ქეცბაიამ ხორვატიაში წამსვლელები თქვა

**გუშინ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ იმ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც ხორვატიაში გაემგზავრებიან და 3 ივნისის ევროშესარჩევ მატჩში საქართველოს ღირსებას დაიცავენ. ესენი არიან:**



მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

მცველები: კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (ვოლგა, რუსეთი), აკაკი ხუბუტია (გაზ□მეთანი, რუმინეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (რედინგი, ინგლისი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), კახა ალადაშვილი (ზესტაფონი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი);

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ჯაბა კანკავა („კრივბასი", უკრაინა), ჯანო ანანიძე („სპარტაკი" რუსეთი), ალექსანდრე გურული („კარპატი", უკრაინა), დავით კვირკველია („პანიონიოსი", საბერძნეთი), ირაკლი მაისურაძე („ოლიმპი");

თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი („კარლსრუე", გერმანია), მათე ვაწაძე („ვოლგა", რუსეთი), დავით სირაძე („ნალჩიკი", რუსეთი), ვლადიმერ დვალიშვილი („მაქაბი", ისრაელი), ჯაბა ლიპარტია („ზარია", უკრაინა).

შესაბამისად, ქეცბაიას განაცხადს მიღმა დარჩნენ ნუკრი რევიშვილი, უჩა ლობჯანიძე, ნიკოლოზ გელაშვილი (ტრავმირებულები), არდალიონ მიქაბერიძე, გიორგი რეხვიაშვილი, გიორგი ადამია, გიორგი ხიდეშელი და ირაკლი მოდებაძე.

შეგახსენებთ, რომ ამ რჩეული 21 ფეხბურთელიდან, 20 ნაკრების ბაზაზე, საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება. 2 ივნისს, გუნდს ხორვატიაში შეუერთდება ზურაბ ხიზანიშვილი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## „აგვისტოს ხუთი დღე" კინოთეატრებში გამოდის

*ეკა ირემაშვილი*

ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორის რენი ჰარლინის ფილმი „აგვისტოს ხუთი დღე" თბილისის კინოთეატრებში 5 ივნისიდან იქნე-




ბა ნაჩვენები. თბილისურ პრემიერამდე ცოტა ხნით ადრე კი ფილმი კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე აჩვენეს. კანის საერთაშორისო კინოფესტივალამდე კი „აგვისტოს ხუთი დღე" ვალენსიის სათავგადასავლო კინოფესტივალზე წარადგინეს.

ფილმი კანში, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თემაზეა გადაღებული, თავად რეჟისორმა რენი ჰარლინმა წარადგინა. პრემიერას მსოფლიოდან ჩასული კინოკრიტიკოსები, ჟურნალისტები და კინოინდუსტრიაში მოღვაწე ადამიანები


გაგრძელება მე-15 გვერდზე



30 მაისიდან
იყიდება
„ახალი თაობის" და
„საოჯახო ბიბლიოთეკის"
100 წიგნი
სუპერპროექტის
ადამიანები,
რომელთაც
შეცვალეს
მსოფლიო




ტომი 6
რიშელიე
გაზეთი და წიგნი ერთად
8 ლარი


## ასტროპროგნოზი 2 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

საინტერესო დღეა

**ვერძი** — თავს კარგად იგრძნობთ, დღე საინტერესოდ წარიმართება. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — გზიდან ვიღაც ჩამოდის და კარგი ამბავი ჩამოაქვს. **კირჩხიბი** — მშვენიერი დღეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ლომი** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც დაგეგმეთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — აირჩიეთ საჩუქარი, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. **ღრიანკალი** — დაგეხმარებიან, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ოპონენტები გიტევენ. **თხის რქა** — ბედი გწყალობთ, თამამად იმოქმედეთ. **მერწყული** — ჩამოყალიბდით, გაარკვიეთ, რა გინდათ სინამდვილეში. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. კომპანიის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 3. სისხლის თხევადი ნაწილი; 4. ავსტრიელი ექიმ-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 6. ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორი; 9. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 11. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია საქართველოში; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. პისტოლეტის ჩასადები ტყავის ბუდე; 176. ავტოდრომი საფრანგეთში; 19. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 21. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. შტატი აშშ-ში; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 10. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 12. პადე-კალეს სრუტეში მდებარე ინგლისის ნავსადგური; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. პარფიუმერული ფირმა „ორეალის" მფლობელი; 18. ჩინური ფინიკი; 20. ახალი ღვინო; 23. საესტრადო ჟანრის ლატვიელი კომპოზიტორი მამაკაცი; 24. აეროპორტი პარიზში; 25. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 27. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი